

ლიტერატურული გაზეთი

№13 (173) 1 - 14 ივლისი 2016

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ზაალ სამადაშვილი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ვახტანგ ჯავახიძე

ბექა ქურხული

მანანა ჩიტიშვილი

ცოტნე ჩიქოვანი

პიერ რევერდი

პროზა/პოეზია/დღიური/ინტერვიუ/თარგმანი

გამოთხოვა „მონუმენტურ მხატვრობასთან“

ის წალი იყო, ბუკლეს კეპიანმა ბი ბი კინგმა ფილარმონიის სცენაზე რომ დაუკრა და თბილისის „დინამომ“ „ლივერ-პულს“ მოუგო თავსხმა წვიმაში. მომადგა ძმაცატი და მიიხრა — გინდა, ოთხასი მანეთი გამოიწვიო სამ დღეში? ზაფხული კარზეა მომდგარი, მეუღლე და ორი წლის შვილი ქალაქიდან მყავს გასაყვანი, სუფთა ჰაერზე, რომელიმე ახლო-მახლო სოფელში. ოთხასი მანეთი დიდი ფულია, ბინის დაქირავებას შევძლებ ორი თვით, გამოსაკვებად ხელფასს ვიმყოფინებ... რა საქმეა, რა უნდა გავაკეთოთ-მეთქი, ვკითხე. კერამიკის ფერადი ფილები უნდა ვამტვრიოთ ვიღაც მხატვრისთვისო, მიპასუხა. ვინ მხატვარი, რა ფილები-მეთქი, რომ გავიკვირე, ამიხსნა — შავნაბადაზე „კომკავშირული ქალაქი“ შენდება, ყველაზე დიდი დარბაზის კედელს მოზაიკური პანოთი უპირებენ დამშვენებას და მხატვრისთვის, ვისაც ეს საქმე შეუკვეთეს, დამხმარეები სჭირდებათო. „კომკავშირული ქალაქი“ ცუდად მომხვდა ყურში, თუმცა ჯერ სხვა რამე ვკითხე — სამსახურებს რა ვუყოთ-მეთქი. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ვმუშაობდით მეც და ისიც. ყაზარმული წესრიგი სუფევდა ორივეგან. ცხვირს ვერ გამოყოფდი გარეთ დირექტორის ხელმოწერილი საშვის გარეშე. დამამშვიდა, გაცდენა არ მოგიწევს, პარასკევს საღამოს შევუდგებით საქმეს და კვირა საღამოს მოვრჩებითო და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ანაზღაურების სიუხვეს, ცალკე შენ და ცალკე მე ლამის ერთი თვის ხელფასი გამოგვდის დღეშიო. მაინც ვუთხარი, ბიჭო, მერე მაგათი სიტყვა ინდობა-მეთქი? კომკავშირელები ვიგულისხმე. ეგრე თუ გავყვებით, არავის სიტყვა არ ინდობა, ვინც „ზევით“ არისო და ცერა თითი აიშვირა ჭერისკენ. რა უნდა მეთქვა, დაეყაბულდი...

იმ დროს სამარშრუტო მიკროავტობუსები მხოლოდ თბილისში მოძრაობდნენ, ქალაქიდან გასასვლელად ტაქსი უნდა დაგვექირავებინა. ისეთი გასამრჯელო გველოდა, რომ ეს ხარჯი, ხუთი თუ შვიდი მანეთი, დაუნანებლად გავიღეთ. ჩავედით, შევედით ბეტონის გალავნით შემოღობილ ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც უკვე დასრულებული და მშენებარე ნაგებობები იდგა; კითხვა-კითხვით მივაგენით მხატვარს, იმ დროისთვის იშვიათ ჯინსის კომბინეზონში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც მაგრად გაიხარა ჩვენი დანახვით — ორ დამხმარეზე ვერც ვიოცნებებდით. მასზე უმცროსმა, პიჯაკზე სამკერდე ნიშანდაბნულმა ჩვენსხელა ბიჭმა კი, ფერადი ფილების ორ მოზრდილ, ლამის ჩვენ სიმაღლე გროვასთან მიგვიყვანა, ბრენენტის ცალთითიანი ხელთათმანები მოგვცა და მხრებზე ხელი მოგვიოთათუნა — აბა, თქვენ იცითო!..

დავინყეთ მტვრევა. თავიდან იოლად წავივივინა საქმე. ფილები თხელები იყო და დიდი ძალდატანება არ გვჭირდებოდა მათ დასაქუცმაცებლად ჯერ ორ და მერე ოთხ ნაწილად. უდარდელად შევცქეროდით ჩვენ წინ აღმართულ ბორცვებს და ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ არათუ სამ, ორ დღეში გავუმკლავდებოდით მათ. რაკი მათემატიკოსი ვიყავი, დავინყე ანგარიში — რამდენ ფილას დავამტვრევდით ნუთში და აქედან გამოვძინარე, დღეში რამდენი საათი უნდა გვემუშავა. მარტივი არითმეტიკული გათვლებით — ხუთი-ექვსი საათი.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა დაგვემართა. ჯერ ცერა თითები ავტეკივდა ფილებზე ხშირი დაჭერისაგან, მერე ხელთათმანები დაგვეხა. აღმოჩნდა, რომ გადამტვრეული კიდეები სამართლებივით სერავდნენ ბრენენტს. დროულად არ გამოვიცვალეთ და ვინანეთ, ხელისგულები დავისისხლიანეთ. ცხვირსახოცები გადავიჭიმეთ, ახალი ხელთათმანები მოვირგეთ და გავაგრძელეთ მტვრევა. შებინდებულზე დავტოვეთ იქაურობა, ავტობუსი მოდიოდა „მერვე ლეგიონის“ დასახლებამდე და იმას გამოვეყვით. მეორე დღითაც იმავე ავტობუსს დავემგზავრეთ შავნაბადასკენ. თურმე ჩემ ძმაკაცსაც ჩემსავით გაუტეხია ღამე, ისიც მაგრად გაუნ-


ვალეზია ტკივილს, მისთვისაც წაუსვამთ მალამო ჭრილობების მოსაშუშებლად. მივედით თუ არა, ფილების გროვებს დავუწყეთ ზომვა. ერთ მესამედზე ცოტა ნაკლებით იყო შემცირებული ორივე. ერთმანეთი გავამხსენეთ — ოთხ-ხუთ საათში თუ ამდენი შევძელით, ბოლომდე გავსვალ არ გავიჭირებდებოდა ორ დღეში-თქო. სად იყო, სად — არა, მხატვარიც დაგვადგა თავზე. მოუსვენრობა ეტყობოდა, წამდაუნუნებდა თმაზე ისევე, ხელს. ყბედობისთვის არ გვეცალა და რომ არ ვკითხვით, რა ხდებოდა, თავად გვითხრა — პირველი ჩამოდის და ვენერვიულობო. არ ვიცოდით და იმ დღეს გავნათლდით, „პირველი“ თურმე

ეკუთვნოდა, რომელსაც ყველა მოწინებით შესცქეროდა. მხატვარმა არც აცია, არც აცხელა და თქვა — ჩემი მეგობრები არიანო. ხმა არ ამოგვიღია, გავიღიმეთ ზრდილობიანად. მარტონი რომ დავრჩით, ერთმანეთს გადავხედეთ და ბევრი ვიცინეთ ახალ „მეგობარზე“. სიტყვებმა, რომელიც „პირველის“ შეფასებას მოჰყვა, ხასიათი გამოგვიკეთა და გავაგრძელეთ მტვრევა. ვისხენებდით, როდის შეუტია ჩვენი ქალაქის კედლებს და ვინ იყო „მოზაიკომანიის“ ფუძემდებელი. ვიცოდით რომელია, ლეგენდები კი არ გვქონდა მოსმენილი მის შესახებ? ჩვენ მხატვარს მისი წაბაძვით ეცვა კომბინეზონი და დიდი ალბათობით

ნიადაგე თბილ წყალში მქონდა ჩამბალი დასერილი და შესიებული თითები. ნულარ წახვალო, მიიხრა მეუღლემ, ბოლოსდაბოლოს განგრენას ხომ არ დაიძრებოდა ფულისგულისთვისო. ჯიუტად რომ გადავქნიე თავი, ახსნა სცადა, გამოუძინებელი, გათანგული, ასეთი გაუბედურებული ხელებით ვერ შეძლებ მუშაობასო. გავვიტყდი და ქვისგან გამოთლილ კერპად ვიქციე, რომლის გაქვავებულობას გარე სამყაროდან შემოსული ვერცერთი სიგნალი რომ ვერ არღვევს. ფილები როგორ უნდა მემტვრია — არ ვფიქრობდი, უნდა წავსულიყავი სამტვრევადა — მორჩა. სამაგიეროდ, ჩემმა ძმაკაცმა იცოდა, რა უნდა გვექნა, როგორ უნდა მოვეცუელიყავით და შევხვდით თუ არა — მიიხრა. აღარ მოუყოლია, როგორ ჩაიარა ღამემ — სახეზე ეწერა, მასაც ჩემზე არანაკლები პარკუჭები ეკიდა თვალებზე. მოკლედო, იმის ფული გადავხადევიწითო რაც ვიმუშავეთ და წამოვიდეთო... საქმის ნახევარი ხო გავაკეთეთ, ჰოდა, გამოვართვით ორას-ორასი მანეთი და დავემშვიდობოთ მონუმენტურ მხატვრობასო... ნახევარი კი არა, ფილების ლამის ორი მესამედი გვაქვს დამტვრეული-მეთქი, ვუთხარი. ჩასვლისთანავე დაპატარავებული გროვების ორი დღის წინანდელი სიმაღლე გავახსენე დაბინტული ხელების ანევა-დანევით, წარმოსახვითი — ძველი და რეალური — ახალი ნიშნულის ჩვენებით.

გადავწყვიტეთ, ჯერ მხატვრისთვის გვეთქვა, მუშაობას რომ ვეღარ ვაგრძელებდით და ამის მერე დავლაპარაკებოდით სამკერდე ნიშნიან ბიჭს. გვეთქვა მისთვის, რომ საქმის დიდი ნაწილი გვექონდა შესრულებული და მიუხედავად ამისა, შეპირებული გასამრჯელოს ნახევარზეც გახლდით თანახმა, რაკი მტვრევას ვწყვეტდით. იმედი გვექონდა, რომ ყველაფერი წყენის გარეშე ჩაივლიდა, რადგან ვინც კი ხელებზე დაგვხედავდა, უყოყმანოდ დაიჯერებდა მუშაობის შეწყვეტის მიზეზს. ხელებისთვის არცერთს არ დაუხედავს, არც ჩვენ მოგვიკლავს თავი ჭრილობების დემონსტრირებით. ერთმაც თანაგრძობით გვისმინა და მეორემაც, მხატვარმა დანახვის ნიშნად ამოიხარა კიდევ — ეეჰო... ცივი შხაპი კი სამკერდე ნიშნიანმა ბიჭმა გადაგვავლო. გვკითხა, სამუშაოს სამ დღეში შესრულებაზე ვიყავით შეთანხმებული? თავი დავეუქნიეთ, ვიყავით-თქო. დასრულებულია საქმეო? რა უნდა გვეთქვა, კვლავ თავი გავაქნიეთ, ამჯერად უარის ნიშნად. ჰოდა, ვწუხვარ, მაგრამ რაკი დარჩენას და საქმის ბოლომდე მიყვანას ვერ ახერხებთ, ანუ პირობას არღვევთ, კაპიკსაც ვერ გადაგიხდითო. ესე იგი, რაც გავაკეთეთ არ ითვლება? — ჰკითხა ჩემმა ძმაკაცმა და ხელი დაცოტავებული ფილებისკენ გაიშვირა. რაზეც შევთანხმდით, ის უნდა შესრულებულიყო, სიტყვაზე ვენდეთ ერთმანეთს, სიტყვა — სიტყვაო, გვიპასუხა და შევმინდა, ამ პასუხს მიძიმე გავრძელება არ მოჰყოლოდა. როდის აქეთ დაინყეთ „კამსამოლებმა“ ქუჩის ბიჭებივით ლაპარაკიო, გამოსცრა კბილებს შორის ჩემმა ძმაკაცმა და სანამ გატოვებდა მოვასწრებდი, მოქნეული ხელი ისე ახლოს მიუტანა სახესთან, თითქოს შემდეგ ჯერზე შუბლში ჩაფარებას უპირებდა. ვეძგერე და გამოვნიე უკან. რომ არ დამსხლტომოდა, სალტესავით შემოვჭაფე ხელები, თან აქეთ-იქით დავინყე თვალების ცეცება, ვინმე ხომ არ გვიყურებს-მეთქი. ჩხუბს აქ არავინ დაგვიწყებდა, სამაგიეროდ მილციის გამოძახებას არ დაიპარებდნენ. ვერავინ შევამჩნიე. მხატვარი, რომელიც ამ დროს კედელთან ფუსფუსებდა ხოლმე — სადღაც აორთქლებულიყო. თრევა-თრევიტ გამოვარიდე იქაურობას. რომ მეგონა, დამოშინდა-მეთქი და ხელი გავუშვი, გაიქცა, ჩვენ სამუშაო ადგილთან მიიბრინა და დარჩენილი ფილები ფეხებით მიყარ-მოყარა ზოგი სად და ზოგი სად... ისევ დავებლაუჭე, ამჯერად მკლავზე და ასე ვიარეთ მანამ, სანამ ზურგსუკან არ მოვიტოვეთ მშენებარე „ქალაქი“.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუყვებოდით ნაცნობ-მეგობრებს ჩვენი „გადამტვრევის“ ამბავს და თავიდან თუ გულს ვიოხებდით „გადამტვრევის“ ლანძღვით, მერე და მერე ბრაზი სიცოცხლე გადაიხარდა და ვიცინოდით ხოლმე საკუთარ გულუბრყვილობაზე. ამასობაში ისიც შევიტყვეთ, რომ მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ მოტყუე-



ყველაზე მაღალი რანგის კომკავშირელს ნიშნავდა; ის აპირებდა შემოვლას და მშენებლობისთვის თვალის შევლებას. ცოტა ხანში ლურჯხალათიანი დამლაგებელი ქალებიც გამოჩნდნენ და წვრილი სამშენებლო ნარჩენების გახვეტას შეუდგნენ. ჩვენ შორს ვიყავით იმ კედლისგან, სადაც უქუი ზოლებით მომავალი პანოს კონსტრუქციები იყვნენ შემოსახული. დანახვით — დავინახეთ მუქ კოსტიუმებში გამოწყობილი კაცები, რომლებსაც მხატვარი ხელების ქნევით უხსნიდა რაღაცას, ალბათ იმას, სად რა ფერი და რომელი ფიგურა უნდა „დამჯდარიყო“. თავშიც არ გავგივლია, რომ ეს ჯგუფი ჩვენთანაც გადმოინაცვლებდა — განა რა სანახავი იყო ფილების მტვრევა. არ მიგვდიოდა საქმე კარგად, ვერ ვმუშაობდით ისე, როგორც გვინდოდა. ჭრილობებს არა უშავდათ, მსუბუქად გვწინკინდნენ. თითები გვალაატობდნენ პერიოდულად, ხან გვიშემდეგობდნენ, ხან აგვიკანკალდებოდნენ. სვენებ-სვენებით ვირჯებოდით, თუმცა ვატყობდით, რომ ყოველ ჯერზე დასვენების დრო იზრდებოდა, ხოლო თითების ამოძრავება და დამორჩილება სულ უფრო და უფრო გვიძნელებოდა.

სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად მტვრევებს ვისრესდით გამწარებულეები, ვიღაცის ხმა რომ ჩავგვისმა — რა ინტელიგენტური გარეგნობის დამხმარეები შეგირჩევიათო. მოვიხედეთ და ის ჯგუფი შეგვრჩა ხელთ, წელან კედელთან რომ იდგა. სიტყვები მაღალ, მსუბუქად თმაშეთხელებულ, ორმოციოდე წლის კაცს

ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ერთს კი არა, ათ და ას სახლსა და კედელს ჩაიგდებდა ხელში ასაჭრელელებლად სახელოვანი წინამორბედის მსგავსად. ჩვენი აზრით, მას ძალიან გაუჭირდებოდა იმის განხორციელება, რაც შეძლო რიგითმა, არაფრით გამორჩეულმა მხატვარმა, რადგან ჩვენგან რამდენიმე მეტრის დამორებით მყოფ კაცს არაფერი ეტყობოდა ავანტიურისტიკა, რომელსაც გადაადქუებული კომუნისტი ლიდერების „დაბოლება“ შეეძლო მდარე გემოვნებაზე გათვლილი თაღლითური ტროუკებით. დიდი-დიდი, მონუმენტურად ნოდებული მხატვრობის ყავლის გასვლამდე წვრილი და საშუალო შეკეთებისთვის გამოიკრა ხელი მლიქვნელობის წყალობით.

სანამ ქალაქისკენ მიმავალ ავტობუსში ავიდოდით, ლუდი დავლიეთ. ცალი ხელით ვერ ვიყუდებდით ბოთლებს, მეორეს ვახმარდით, ხელისგულზე ვიჭებდით თითვე თითვე დაბინტული გვექონდა მოკრივეებივით. არაყიცი მივაყოლოთო, მთავაზობდა ძმაკაცი, ტკივილს გავგიყურებს, ღამით ტკივილად დაგვეძინებო, მაგრამ ვერ დამიყოლია, დალილი და მშვიერი ერთმა ბოთლმა ლუდმაც ისე მომთენთა, რომ კინაღამ სასაუზმეშივე ჩავთვლიე, სადაც ჩვენ გარდა „ქალაქის“ მშენებლობაზე დასაქმებული მძღოლები ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და ყბედობდნენ.

ვინაწე, რომ არ დავუჯერე, წინა ღამე მონაგონი აღმოჩნდა იმასთან, რაც იმ ღამეს გადავიტანე. არ მიძინია, ტკივილ-გამაყურებელი აბები გაჭყებილს გამოე-

ბულები. სამი დღე ვერავინ ძლებდა თურმე ფილების დამქუცმაცებლად — ერთი, დიდი-დიდი დღეებზე. ფულს არც იმით უხდინდნენ, ყველას ერთი და იმავეს ეუბნებოდნენ, სიტყვა-სიტყვააო და რამდენიმე ათას მანეთად ღირებულ საქმეს უფასოდ აკეთებინებდნენ. სხვები როგორ ეგუებოდნენ ამას, ვერ გეტყვით, თუმცა ისინიც პირში ჩალაგამოვლებები რჩებოდნენ და შინისაკენ მიმავლებს ფულის ნაცვლად დაჩხილ-დასიებული, მუშტად შეკრული ხელები ეწყობდნენ.

ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა, მას კიდევ ერთი ეპიზოდი დაემატა, ოღონდ მოგვიანებით, ცამეტი წლის შემდეგ. მომხდარის შესახებ იმ მოხალისეებისგან შევიტყვე, ვინც ჩემ ძმაკაცთან ერთად შავნაბადაზე გადიოდა წვრთნას აფხაზეთში შემოჭრილ რუსებთან საომრად წასვლის წინ. ერთ ღამეს რაღაცნაირ ყრუ ბავუნს გაუღვიძებია მებრძოლენი. ამდგარან, მიუგნიათ იმ ადგილისთვის, საიდანაც ხმა მოისმოდა და რას შესწრებოდა — მიმდგარიყო თურმე ეს ჩემი ძმაკაცი უზარმაზარ კედელზე გადაჭიმულ მოზაიკურ პანოს და მთელი ძალით, გამეტებით ურტყამდა ავტომატის კონდახს. ფრონტზე ჩასული, მესამე დღეს, ტამიში, ზღვიდან გადმოსხმული დესანტის მოგერიებისას მოცულა ტყვიამ. აფხაზეთში დაიღუპა „პირველი“ მშენებლობის დასახედად მოსული მაღალი კაციც, მხატვრის დამხმარეები რომ შეგვაქო — ის ტყვედ ჩაიგდეს რუსების მხარდამხარ მებრძოლმა დაქირავებულებმა და სადღაც, სოხუმთან ახლოს, გზისპირას დახვრიტეს...

შენაქოს გახსენება

ერთ-ერთი ასვლა მახსენდება მთათუშეთში. კარავი ომალოში რომ დავეცი და იქიდან რომ დავწინააღმდეგებდი ხეობებსა და სოფლებში. ღამეს სხვაგან არ ვათევდი, შეზინდებისას ვბრუნდებოდი „შინ“, სადაც გემრიელ ვახშამს მახვედრებდა ჰელიკოპტერის ასაფრენ-დასაფრენ მოედანთან მდებარე სასადილო მზარეულ-დახლიდარი. მის „სამფლობლოს“ რიყის ქვით ნაგები მოგრძო, ერთსართულიანი შენობის განაპირა ნაწილი ეკავა. ამავე შენობაში იყო სანჯოები და ფოსტა. სასადილოს აბრაც ჰქონდა, გაშალაშინებულ ფიცრის ნაჭერზე ამომწვარი ნახატი — ეგრეთ წოდებულ „აჭურულ“ წინდებსა და მოკლე კაბაში გამოწყობილი ქალი, რომელსაც ხინკლებით სავსე სინი ეჭრა წინგანვილი ხელით. აბრაცე წარწერაც იყო — „კოსმოსი“. თქმა ზად უნდა, რომ მთავარი კერძი ცხვრის ხორცის ხინკალი გახლდათ. ხინკლის გარდა, შეგეძლო, დაგეგმონებინა გუდის ყველი, შურთხის ჩახობილი, მთის ბალახებით შეკმაზული კალტი. სასმელიც მოეპოვებოდა ლეოს, ბარიდან ამოტანილი მსუბუქი, მანავის მწვანესავით გემრიელი ღვინო ლიტრიან ბოთლებში.

ერთხელაც შენაქოსკენ ავიღე გეზი. ჩავიზრინე გრძელი დაღმართი, გადავიარე ალაზანზე გადახრილი ხის ხიდი და შევუდექი აღმართს. მსუბუქად ვიყავი, ცოტაოდენი საქმელი — ყველი, პური და მოხარული ხორცის ნაჭერი მედო ზურგჩანთაში, მეტი არაფერი — სიგარეტი, ბლოკნოტი, საშუელიანი ფანქარი და ორზირიანი დასაკეცი დანა „შტორმოვის“ ჯიბეებში მენყო. შენაქოს სილამაზეზე ბევრი რამ მსმენოდა თელაველი ძმაკაცის, თბილისური ბოქმის თვალის, ბადურ ბალაჯიშვილისგან, მაგრამ აღმართი რომ ავათავე და გავივარე, ისეთ სურათებს ვკვიდე თვალად, დღემდე რომ არ ამომდის მეხსიერებიდან.

მარცხნივ სონეხის მთა იყო, ყაყაჩოებითა და გვირილებით დაწინკლული კალთებითა და რამდენიმე რიგად ჩანოქნიკებული, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული ნაბინავარებით. პირდაპირ — შენაქო, ისიც გორებზე შეფენილი; მორუხო, ჟანგმოდებული სიპებით ნაშენი სახლების ერთობლიობას გორის თავზე დასკუპებული პატარა ეკლესია აგვირგვინებდა, კომპოზიციურად კრავდა, ანსამბლურობას სძენდა სოფელს. ეკლესიამდე პატარა მოედანი უნდა გაგველო, ბეხვინე, შესაკრები, სალაყბო ადგ-

ილი, სადაც ერთ-ერთი სახლის კედლის გასწვრივ თეთრად ყბებდაეკლილი ბერიკაცები ისხდნენ. აქ, ამ ადგილას, რამდენიმე წლის წინ ჩემსავით ამოხეტებულ ბერიკაცები დახვედრიან და უკითხავთ, ვინა ხარ, რა ხელობის კაცი ხარო. ამას უპასუხია, პოეტი გახლავართო; იმით კიდევ უთქვამთ, პოეტი თუ ხარ, აგე იმ მთას გამოუთქვი ლექსიო... რა თქმა უნდა, სონეხისკენ გაუშვერიათ ხელი. ჩემთვის არაფერი უკითხავთ, თვალი გამომაყოფეს მარტო. საყდარში შესულს ასანთის გაკვრა მომიხდა — ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. იატაკის ფილები აყრილი იყო, კედლებზე მიჭყლეტილი სანთლის ნარჩენებს შორის ზოგი ახალი გახლდათ, ზოგი კიდევ ვინ იცის, როდინდელი.


გარეთ რომ გამოვედი, იქვე, კედლის ძირას ჩავჯექი და ქვევით გავიხედე, ფერდობისკენ, რომელიც აქ ამოსვლამდე არ ჩანდა. იქაც სიპებით ნაგები და სიპებითვე გადახურული სახლები ხის აივნებით და ერთ-ერთ აივანზე სრულიად მოულოდნელი სურათი — ნაჭრის ლითონისჩარჩოიანი გასაშლელი სკამები — ეგრეთ წოდებული „შეზლონგები“, მოხარატებულ მოაჯირზე გადმოფენილი დიდი, ფერადი, ხაოიანი პირსახოცები და კედლებზე ჩამოკიდებული ბაფთებიანი ჭილის ქუდები.

ასეთი რამ ორმოცი წლის წინანდელ მთათუშეთში მოულოდნელობაზე მეტი გახლდათ. აქ მხოლოდ უცნაური თბილისელები ამოვიდოდით, ბიჭებიც და გოგოებიც, უცნაურებს კი ასეთი რამეები ნაღდად არ ეწყობოდა ზურგჩანთებში. ეს სურათი ბეხვინე მსხდარი ბერიკაცების ჩემი პერსონით დაუინტერესებლობას მიება და მივხვდი, რომ ამ მხარეში რაღაც დამთავრდა.

დილის კაცი

ბაბონილი გექნებათ — ტყის კაცი, მთის კაცი, წვიმის კაცი... მე დილის ვარ, სისხამი დილის კაცი. გამთენიისას მიყვარს კითხვა, განსჯაც და წერაც, მიყვარს და მგონი, უკეთ გამოიძის კიდევ. დღეს დილას ორჰან ფამუქის „მდუმარე სახლს“ ვკითხულობდი, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში დაწერილ ნიგნს. ტექსტმა გამიტაცა და ორმოც წუთში თითქმის სამოცი გვერდი წავიკითხე. „მე მქვია ნითელის“ მსგავსად ამბებს აქაც პერსონაჟები ჰყვებიან. თხრობას ჯუჯა იწყებს, ოთხმოცდაათი წლის ქალბატონი აგრძელებს და მიდის და მიდის, ემატებიან მთხრობელები, სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები. კითხვისას დროდადრო ნანასკენ და ბავშვისკენ ვაპარებდი მზერას — გვერდივერდ ეძინათ, სალომემ ღამით მოითხოვა „დიდ“ ლოგინში გადმოზარგება. ნიგნი მაშინ დავხურე, როცა ბებია და შვილიშვილმა გაიღვიძეს. თვალი ვეღარ მოვწყვიტე მათ ალერსს და გავიფიქრე — მგონი, ბევრი რამე გავაკეთე იმისათვის, რომ ჩემ უძვირფასეს ადამიანებს თბილ და ნათელ სახლში გაეღვიძათ, ერთმანეთის ყურებით დამტკბარიყვნენ და არ ეფიქრათ საკვებისა და სამოსის მოპოვებაზე.

ჟან ვალჟანი მარტოკაცი იყო და მარტოკაცი ვარ მეც. მაქსიმალისტი გახლავართ, საკუთარ თავს ძალიან ბევრს ვთხოვ და როგორც ჩანს, დაახლოებით იმდენივეს მოვიტხოვ სხვებისგანაც. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ მეგობრების ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც კი მყოფნის. არ ვნანობ იმ ადამიანების ჩამოცილებას, ვისაც მეგობრებს ვუწოდებდი, მე ჩემი გზა მაქვს გასავლელი და ამ გზაზე ისინი ვერ ივლიდნენ. ზოგმა სცადა და არ გამოუვიდა, ზოგს არც უცდია.



ანა კორძაია-სამადაშვილი

დათუნა

ცხელ ზაფხულში, ქუჩურ, კუნაპეტ ღამესა, ლალელის უნივერსიტეტთან, კიბეზე სამნი ვისხედით: თეა, ლაშა და მე. მერე შემოვივრეთა კატა — მოზრდანი, ლაშას ზურგზე მიეფერა, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად თეას მკლავზე კუდი გაუსვა და გვერდით ჩამოგვიჯდა, ძალიან არხინდა. ლუდი შევთავაზეთ, მაგრამ იუარა, დაღვით არ დავლეო, მაგრამ ამბავს სიამოვნებით მოვისმენო.

ამბავს თეა გვიყვებოდა. თეა ჰყვებოდა, რომ ძალიან შორს, მაღალ მთაში, უღრანი ტყის პირას, პანანინა სახლი აქვს.

უფრო ქოხი ეთქმისო, ლაშამ. ამ სახლის ერთი კედელი კლდეს ებჯინება და კიბეც ქვისა აქვს, ამ კლდესი გამოკვეთილი. სახლი სვეტებზე დგას, რაღაც უცნაურ, თეთრ მინაზე, და ეს თეთრი მინა ნახირს თავდავინყვებით უყვარს. თურმე, ზაფხულში სულ სახლის ქვეშევანან ძროხები, მინას ლოკავენ და კმაყოფილებს სვეტებს ეხახუნებიან.

სვეტებს ამაყად ჰქვიათ სვეტები, სინამდვილეში ადამ და ევას დროინდელი მორები, აღარ არიანო კარგად, ლაშამ.

ასეთი სახლი ჰქონიათ თეას და ლაშას, ცოტა სასაცილო და სრულიად შესანიშნავი.

ასი წელია, იქით აღარ ვყოფილვართ, მაგრამ წელს მაინც ავიდეთო, ლაშამ.

ერთხელაც თეას კაცმა დაურეკა, უცხომ. თეას არც ხმა ეცნო, არც სახელი, მაგრამ კილოთი მიხვდა, რომ იმ მხარის კაცი იყო, სადაც სახლუკა დგას. კაცმა თეა დარბაისლურად მოიკითხა და უთხრა, საქმე მაქვს, მაგრამ ისეთი, ქალს ვერ მოგიყვები, შენი კაცი დამალაპარაკეო.

თეამ, ახლავეო. უცხო კაცმა ახლა ლაშა მოიკითხა და მერე ამბავიც უთხრა. ამბავი — საკვირველი: თქვენს სახლში დათუნა შევიდა და რა ვქნაო?

ეგ არაფერი, როგორც შევიდა, ისე გამოვა, იქ ნასაღები არაფერი, ლაშამ.

კაცმა მიუგო, ვერ გამოიგე, დათუნა შევიდა, ქურდი კი არაო.

მით უმეტესო, ლაშამ. კაცმა სვეტით ამოისუნთქა. ძალიან მიხარია, რომ ასე ფიქრობ, იმიტომ რომ ძალიან კარგი დათუნაა და მისთვის თოფის

სროლა ძალიან გამიჭირდებოდაო. დათუნა!

ჩვენ მოვიფიქრეთ, რომ დათუნამ კარგახანს უყურა ამ სახლს. უყურა, უყურა... მერე იფიქრა, მაინც კაცი-დაბადებული არ აკითხავსო, და ჩემზე კარგი ვინ ესტუმრებაო, რად მინდა ბუნაგი, შევალ და ამ კარგ სახლში გამოვიძინებო, და აბაჯბაჯდა ქვის საფეხურებზე და კარი გააღო.

ნეტავ, როგორ, ჰა? თათით? იმის გაღებას რა უნდოდაო, ლაშამ. დათუნა კი არა, ეს სტამბულელი ფისოც შეაღებდაო.

ვისხედით კიბეზე, ლუდს ვსვამდით, ვიცინოდით და ვნატრობდით: ერთი იმ ოთახში გაგორებული დათუნა გვანახა! როგორ ფიქრობ, ლაშა, მთელი ზამთარი იქ ეძინა? ალბათ, რატომაც არაო, ლაშამ.

ცალი თვალით მაინც დაგვანახა, რა მაგარი იქნებოდა, არა?


სტამბულელმა ფისომ თავი დაგვიკრა, მაღლობელი ვარო, და თავის კატურ საქმეებზე წავიდა. ჩვენ ერთხანს კიდევ ვისხედით კიბეზე, ამ მთისას, იმ ბარისას ვლაპარაკობდით. ცხელი ღამე იყო, ქუჩური, კუნაპეტი.

...ახლა თეა შორსაა, სხვა მინაზე, უცხო მხარეში. მასთან ჩასასვლელად დიდი დრო და ბლომად ფული დამჭირდება, და ახლა არც ერთი მაქვს, არც — მეორე.

ლაშა კიდევ უფრო შორსაა, ძალიან შორს.

ახლაც ღამეა, ქუჩური, კუნაპეტი, ცივი და საძაგელი.

ჰოდა, ვზივარ ამ ღამეში და ვფიქრობ, რომ სადღაც, ძალიან შორს, მაღალ მთაში, უღრანი ტყის პირას, პანანინა სახლი დგას, და ერთხელაც იქნება — ბევრი, ძალიან ბევრი წლის მერე — იმ სახლთან შევხვდებით ერთმანეთს თეა, ლაშა და მე, და ვუყურებთ, როგორ აბაჯბაჯდება ქვის საფეხურებზე ძალიან კარგი დათუნა, კარს თათით შეაღებს, ოთახში შევა და დაწვება, დრუნჩზე თათს დაიფარებს და დაიძინებს. და ჩვენც შევალთ იმ სახლში და თბილად და მხიარულად ვიცხოვრებთ. გარეთ კი მონვიმს და მოთოვს და ქარი იქროლებს და ღამე იქნება — რაჭული, ბნელი, კუნაპეტი...



ვახტანგ ჯავახიძე

ელეგია პირველი: ყელსაბამი

„ვერველი უშენობას!“
მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე

დაცარიელდა კაბა, სანოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა — შენები, ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს, მაგრამ მე ველარ შევეშვებები. ყველგან შენ ხარ და შენ აღარა ხარ, ყველა ნივთი და ყველა საგანი — შენ მიიზიდე, შენ მიითვისე, შენ ამოავსე ჩვენი საკანი, რომელიც თითქოს ცარიელია, საიდუმლოა თითქოს სერობა, სადაც ერთმანეთს ედავებიან შენი შენობა და უშენობა. ადრე დაღამდა, შენი სენაკი მიმწუხრის მთვარემ მოავარაყა, გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ. მაინც ყველაფერს შენი სახელი ჰქვია და ჩემებს აღარც დავეძებ, ადრე არასდროს არ მიფიქრია ჩემეულების სიცოცხლეზე. ქალი უფრო მეტ სამხილს სტოვებსო, — იუნყებიან ღვთისმოსავები, ამიტომ კაცმა უნდა გაასწროს, უნდა ჩააცვას დროზე შავები. შენ კი კედლებიც გამოგეტირა და ცრემლი ისე გადმოგიღვარდა, წეგატივივით გამოამყლავნა, რა გიყვარდა და რა არ გიყვარდა. ფოტოსურათებს გადავამრავლე, რომ ნაწილ-ნაწილ გადაგარჩინო, გადავამრავლე და მომევიღინე უფრო საჩინო და თვალსაჩინო. ახლა ბევრი ხარ და მემუქრება ღამე ბნელი და ღამე ღარიბი, ისე ბევრი ხარ, არ მესინია, თუ რომელიმე გამეპარები. იმდენი წყვილი თვალით მიყურებ, თვალებში თითქმის ვერ ვიხედები, ენაცვლებიან სუფთა პროფილებს — პროფილის სამი მეოთხედები. ლაშას — და არა ლაშარის — ჯვარმა დახატა შენი ფოტო-კოლაჟი (ჯვარი — თაყვანის-საცემელია, როგორც წერია „სიტყვის კონაში“). სარკესთან, სადაც საკუთარ ანფასს ველარ და ველარ ესაბამები, ახალ პიეტას ელოდებიან შენი ჯვარცმული ყელსაბამები, რომლებსაც აქებს საღამური და აქებს ჩანგი და აქებს გიტარა, ველარ შეიბი ერთი, რომელიც შენმა ირაკლიმ ჩამოგიტანა. მოდი, კასეტას გადავახვევ და არ შეგაშინოს ჩემმა შექება, მოგტეხავ მაგ შენს ყელსაბამებს და ხელსაბამებს და ისე შეგაბამ. და, რაკი ქვეყნად კიდევ ვეთრევი, შევავედრებ და შევევედრები, რათა ვარდების ლიტურგიაზე დაამწყალობნონ შენი თეთრები. შენ ხომ იმ პირველ დაბადების დღეს არ მაინყებდი არასდიდებით, როცა ნითლები — მოპარულივით — შემოგაჩეჩე ხელში ტიტები. ნანები! — შენი იავნანები: ნანები! — შენ და ვარდონანები: გინანე! — კვლავაც მაგ ჩანისწული დედის ლოცვისთვის დამენანები. დასანანია: ჩვენს ბედისწერას უსმი რადარი არადარბდა, ჩვენ ვერ დავებრდით, გავითამაშეთ არჩევანი და არადანი და ჩვენ არ დავებრდით, გზები გავიგნეთ შარავანდით და შარავანდით, ჩვენ ერთმანეთს და ერთიმეორეს შევაბერდით და გადავაბერდით და გავიხსენეთ მოსკვა-რეკა და ჩვენი თაფლობის სამი დეკადა, კრემლის საათი როცა ჩვენთვისაც რეკავდა, მაგრამ მშვიდად რეკავდა. ვაქებდით არბატს, სადაც ქართული იყიდებოდა მაშინ ლავაში და სადაც ახლა უპედესტალო ძეგლი დგას ბულატ ოკუჯავასი, და გაგებურე (თუმცა ხუმრობას ვერ მიგვიხვდება ზოგი პინგვინი): დაბერებულეც ისე მომწონხარ, მოდი, მეორედ ვიფსკვნათ გვირგვინი. მაგრამ სიმაღლე ვერ გადავლახეთ — გათვლილი უხილავი თამასით — და ვედარც ნიკო ლორთქიფანიძის ბებრები ველარ გავითამაშეთ. ვერ გაგამდირე, ალმას-ლალებით ვერ დაგიმძიმე კაბა-კუბანი, ჩვენ ვაჟკაცურად მოვიგერიეთ ცხრაასი მილიონი კუპონი და მერე, როცა ავთანდილივით წამოგვეშველა ლარის ტირაჟი, მე შენ დოლარი გადაგიხადე „უცნობის“ ყოველ კორექტურაში. ახლა ბირჟაზე ავდარია და ისე უბერავს ევრო-მისტრალი, არ ვიცი, როგორ მოვიგერიო, ჩემო ფინანსთა ნამინისტრალი. მაგრამ მე უფრო მაინტერესებს გასაშიფრავი წლების ქაოსი: აქედანა და შენამდე კიდევ რამდენი დამრჩა სააქაოსი.

ვინ იცის, რამდენს გამოიმეტებს ჩემი გენების ენერგები, ანდა — რამდენჯერ გადამარჩენენ ეს ჩემი სისულელეები? ცხრა წლის ვალი მაქვს, ჩემო მევალე, ჩვენ გაგვიმეტა ჩემმა ასაკმა: აქეთ დამტოვა, აქეთ განმსაჯა, აქეთ გამსარჯა და დამასაქმა. აქეთ — ბრინჯაოს ორი მხედარი — ვახტანგ (ელგუჯა) — დავით (მერაბი), იქით — ბრინჯაოს ხელსაბამები — შენი ფერადი ეფემერები! ისე დამძიმდა შენი ხელკავი, ველარ გავბედე ხელის გაშვება და, თუმცა დათომ ხელეები კიბის მოაჯირით შემოგაშველა, — ჩვენი ზიარი ნაფხურები კატაბალახამ ააბალახა: გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ.

ამიერიდან სალხინებელის ცალმხრივ ტრასაზე უნდა გეძიო და, რაკი ველარ მომიბრუნდები, მე თვითონ უნდა წამოგწიო და, ვინაიდან ჩემი მყობადი მოკლეა, ვიდრე შენი მერმისი, ძალიან დიდხანს არ დამაყოვნებს ჩვენი ჰადესის ჩემი ჰერმისი. არ დააყოვნა თურმეთობაც, თურმე ნუ იტყვი, თურმე ძალიან — მხოლოდ შენთვის და შენთვის და შენთვის — აღარავისთვის აღარ მცალია. უარი ნარდის მღერას და ბანქოს! — მარაოიან-მუარებიან ვარჰალალებს ვეუარები: აუარება უარებია. — ხმა ამოიღე! — ასე მღეროდნენ, ასეთი იყო ძველი ჰიტები, — ხმა ამოიღე! — ამჯერად მიქელ-ანჯელოსავით აგხიბრდები. შენ კი სდუმხარ და ასე მგონია, შვიდივე სიმი გაწყდა გიტარის, ასე მგონია, მხოლოდ და მხოლოდ მე მომიკვიდი და სხვებმა გიტარეს. იცრემლებიან ჩვენი ფანჯრები და მე ფიქრებში ჩავიძირები, მაგრამ არავის აინტერესებს ჩემი და შენი ჭრელი წვიმები. ცა ტირის, როგორც ბავშვი (ტირიფი), რომელიც დედამ (ქარმა) გალახა: გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ.

ბედმა ქვრივობა არ გაღირსა და შენი ვარსკვლავი აღარ აანთო, გადავაინყა ტკბილი სიტყვა და სიტყვები, ჩემო ოთარაანთო. რას აშავებდი? რა იქნებოდა, მაგ შენი ვითომ-ბრილიანტებით — შენც გეზაჩუნა ამ პლანეტაზე ამ რამდენიმე მილიარდით?! ერთი პლიუსი! — მსოფლიო ბალანსს რას დააკლებდა ერთი პლიუსი, — აჯასა ამას დასტურს დასცემდა მარკუს (ბაჩანა) ავრელიუსიც, თავს არც იოჰან (დავით) გოეთე (წერედიანი) შეიკავებდა და აღარც სულხან (ეზოპე) საბა — მესაიდუმლე მეიგავთა. ახირებული ჟინი ამიტანს და შერეკილი ვნება წამიტანს: — იქნებ შეჩერდე, კაცობრიობავ, თუნდაც ამ ერთადერთი წამითაც! — რა ვქნა, მე თვითონ მეხამუშება ჩემი მაზალო სენტიმენტები, შინაურები შემინდობენ და მაპატიებენ, შენ თუ მენდობი. თუმცა, შენ ვერც კი წარმოიდგენდი, ჩემო ურწმუნო თომას დაიკო, და ვერც ვერავინ დაგარწმუნებდა, ფიანდაზიც რომ ფეხქვეშ დაეგო: ერთბაშად გატყდა ნავსი ხანგრძლივი ურწმუნობა-უიმედობის: მოგიხსენიეს და შენს სახელზე ხატი აკურთხეს ნანა დედოფლის, და ახლა ესე ჩვენი სიმართლე ღმერთმა უწყის და არა ალახმა, გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ.

ადრე დაბერდი: შენ ნაიკითხე წარსული, როგორც ძველი აფიშა, შენ მოესწარი მეგობრის ღალატს, რომელმაც მირონს გადაბიჯა, მაგრამ გწყალობდა ზარი ანასი და სალარაძის შანდორ პეტეფი და კიდევ — დავით კაკაბაძის და შენი ბავშვობის იმერეთები. შენ არ გახსოვდა მამა, გახსოვდა თბილისის ბნელი ქუჩა წვიმაში და სამი სოკო: წითელქუდასი, ნაგასაკის და ხიროსიმასი. გახსოვს: უცნობი ჩამოასვენეს ქერჩიდან, დრამა გაითამაშეს, და ჩვენ ვარდები მივართეთ — როგორც ჩვენი შვილების პაპას — მამამენს. შენ მობილური ჩაგინერია ჩვენი დედების სასაფლაოსი, შენ სვანეთიდან ჩამოყვანილი არ მოგეწონა სანტა-კლუსი,


შენ ბიჭვინთაში (აფსუს აფსუსა!) სააგარაკო ნერგს დაეძებდი,
 შენ თიანეთში ბესიკის დედამ ჩაგანერინა ხინკლის რეცეპტი.
 შენ შვილიშვილი განუგებებდა შენი მამისძმის — ალექსანდრესი,
 შენ ანგელოზმა დაგიდასტურა უკანასკნელი შენი ადრესი.
 ხოლო ვინც შენი თავი წამგვარა და მომანიჭა ურვა ასმაგი,
 ვახო მომგვარა თექვსმეტისა და გადამაფინა ვახოს ასაკი,
 რომელმაც ჩვენი გაითავისა ყველა უფრა და ყველა განჯინა
 და აიპედში გადარჩენილი შენი რეპლიკა აღმოაჩინა:
 — ბიჭო, გაჩერდი! — არ გაჩერდა და, რაკილა მაცხოვარი წყალობდა,
 შენი ალუბლის სამი კუნწულა ჩამოგიტანა მუხათწყაროდან.
 ჩემი უდაბნოს ეფემერამ კი ფოთლების მადლი მალე მოისხა:
 ოაზისივით შემომაშველა ლოცვანი დილა-სალამოსა.
 მავანთ წყურვილი უნდა მოიკლან და სიამენი უნდა მოიკლონ,
 ხოლო რომელი ცრემლით თესვიდენ, მათ სიხარულით უნდა მოიკლონ.
 როგორც პლატონი ბაჩანა ბრძანებს, სხეული სულის საპყრობილია:
 სულს აღსარება გადაარჩენსო, — დასძენს მამაი ჩვენი ილია.
 ამიტომ სმენას ვათვინიერებ წმინდა წიგნების კილოკავებთან
 და ნერვიული ტელეფონები გირეკავენ და გირეკავენ და...

შენმა გრანიტმაც გამოიღვიძა: სიტყვა სდუმდა და ქვა ლაღადებდა,
 ხელი ჩამჭიდვ, აღარ გამიშვი და მიმიყვანე ნაცნობ ხატებთან
 და მიმატოვე და შემატოვე ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი,
 თან უმოკლესი გზები მასწავლე სამებისა და სიონისანი.
 შენ შემატოვე ჩემი ვინსენტიც: ორნი დავრჩით და ჩვენმა მესამემ
 შენთვის — მოცარტის „რეკვიემით“ — წამომაშველა ბახის „მესა“ მე.
 ხოლო კეთილმა ჩვენმა მზახალმა — „მთვარის სონატის“ ფრაზა პატარა —
 სიმძიმლივით გაიხსენა და სამძიმარივით გამომატანა.
 ქრის რი კი თვითონ ამოიჩიო: „გზა შავეთისა“, — რატომ შავეთი? —
 სახიფათოა, როგორც ცამეტი ან კიდევ — როგორც ოცდაცამეტი,
 და რატომ ქრის რი? — და რატომ ოთხ მარტს დაბადებული უფლის სეხნია? —
 მელომანები იკითხავენ და შვილიშვილები დაიკვებინან.
 შენს ფოტოებთან მოვისაკლისებ, მოვიპატიუებ მოტივს მოტივად,
 ანთებულ სანთელს დაველოდები და მერე შენგან შენთან მოვდივარ,
 სადაც, ვიდრემდის ტანს აიყრიდნენ კიპარისები — ჩვენზე მალეები,
 შენ შემირჩიე, შენ მომიზომე ადგილი, სადაც დავიმარხები:
 დაჯავშნულია სამარადისოდ, ვერ გადაჯავშნის სამი სამიტიც:
 ჩვენი სასტუმრო-სასუფეველის ნომერიც ვიცო: 413! —
 და მე ადვილად ამოიცნობენ ამდენ უნომრო მოზინადრეში,
 თუკი შემთხვევით მიქელ-გაბრიელს არ დაავინყდა ჩემი ადრესი.
 ამ წუთისოფლის ანი და ბანი — ჯერ ოცნება და მერე ჟინია:
 რა შეიცვალა ბოლოს და ბოლოს? — შენს მაგივრადაც მე მეშინია:
 თითქოს სიზმარში თითქოს ხანძარი თითქოს გაჩნდა და თითქოს ტაძარი
 დაწვეს და თითქოს რაღაცა უნდა მეტქვა შენთვის და ვერ მოვასწარი.
 ვერ დავამსგავსე სიტყვა და სიტყვა ერთმანეთს, როგორც ლებანს ლებანი,
 ველარ და ველარ დავამულამე უშენობათა განტოლებანი.
 ვერ მოვტვინე და ვერ მოვიპოვე სხვა მისანი და სხვა სპირიტი და
 უშენოდ ველარ გამოვალწიე შენი დოზების ლაბირინთიდან.
 მანამ კი, ვიდრე გამოვალწიე გამოდევნებულ შიშებს მაშინდელს,
 შენი ნახევრად ცარიელი და ნახევრად სავსე ჭიქა მამშვიდებს.
 ვისხენებ, რათა წამოვაშველო ჩემს განზილებულ იმედს ამაოს —
 დოჩანაშვილის ნაჩუქარ ჯვარს და გურამის მიერ მოგვრილ მამაოს.
 ერთი ნუგეშიც შევაკონინე რამოდენიმე აქსიომიდან:
 ჩემი ირინას ნათლია მოვა და უშენობის წამალს მომიტანს.
 ხანდახან, როცა გამინაპირებს ჩემი ერთგული მელანქოლია,
 უცებ შემაკრთობს ზარი ქუჩისა, შენი სასთუმლის ზარი მგონია.
 ძილშიც ჩამესმის შენი „ვახტი“ და — შენსავით — შენზე ჩუმად მეძახის
 და, როგორც დედაჩემი იტყოდა, ვებლაუჭები იმედს ერცახეს:
 ასე მგონია, მეორდებიან სამზადისები საკაიფონი:
 დეზერტირების ბაზარში ისევ დამეკარგე და მალე გიპოვნი.
 ანდა — ქვიშხეთში გახიზნული ხარ — ბავშვებთან ერთად — და მელოდებით,
 მე კი თბილისში ბერბიჭასავით ვცხოვრობ და თავი მომაქვს ლორდივით.
 ან კიდევ — ერთი ყელსამკაული, რომელსაც გულთან ახლოს მიიტან,
 ჩამოვაბრძანე სიცილიდან, მაშასადამე — იტალიიდან.
 შენ დაბერდი და კარგად დაბერდი, მაგრამ ფორტუნამ გვიალმაცერა,
 ვერ მოვასწარი სვეტიცხოველში ჩაფიქრებული ჯვარის დაწერა:
 ვერ დაიკიდე... ვერც დაიკიდე, ვერც დაიკიდებ ამიერიდან,
 თვალი თანდათან მომარიდე და გვერდი თანდათან ამიარე და

ათწლეულების გადასახვევთან ერთი ნაბიჯით გადამასწარი,
 მიტევებათა საზეპიროებს აღარასოდეს გადამასწავლი:
 ისევ შენსავით ვიმეზობლებ და ვიმასპინძლებ და ვინათესავებ
 და — შენი ხატორით — ასაკის გამო — ხელს არ დავიბან პილატესავით.
 აქ შედარებამ მოიკოჭლა და განსანმენდელში გამოვატარე,
 რადგან სხვაგვარად არ შემიძლია: მანამ ვარსებობ, ვიდრე ვადარებ:
 ნეტარ — ბაჩანა — მთანმინდელივით, მიგელ — ბაჩანა — ლამანჩელივით
 და სენტ — ბაჩანა — უფლისწულივით ბევრჯერ ბენვზე ვარ გადარჩენილი,
 მაგრამ ამჯერად ველარ გადავრჩი: უკანასკნელი მატარებლიდან
 საყვედურივით გადმომხედე და უკანასკნელმა შენმა რეპლიკამ
 ღიად დარჩენილ კარადის კართან დამიმონტაჟა შენი ვიდუო-
 თვალი, რომელიც მაშანტაჟებს და მაფრთხილებს: ახლოს არ მოხვიდეო.
 მას შემდეგ ჩვენი ოთხი კედელი უფრო და უფრო მეპატარავა
 და იდუმალი ახლა ამაოდ მარწმუნებს, თითქოს მარტო არა ვარ.
 ვარ და ამიტომ შემოგთავაზე სკაიპი ანუ გასაუბრება,
 შენ კი ორივე გამოიყენე: დუმილისა და ვეტოს უფლება:
 გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ,
 ხარ ოდენ ცისა და ოდენ ღვთისა ანაბარა და ანაბარაღა.

დაინომრა და გადაინომრა წელიწადების გრძელი ალალი:
 უკანასკნელი მიდის შენი და მალე უშენო მოვა ახალი.
 მზე ამოვა და მთვარე ჩავა და დააბალანსებს ხარვეზს ხარვეზთან,
 მე კი რა ვუყო უშენო წამს და წუთს და საათს და დღეს და ღამეს და
 უშენოდ დროს ვინ გამაყვანინებს ან გულს რომელი მომაყვანინებს,
 მესიჯი მაინც გამომიგზავნე, როდის დავუხსნა წყალი ყვავილებს.
 ერთმა ძალიან მეჩქვანა: გიერთგულა და ვერ ამიტანა:
 ნეტავ რომელი მუხლით ისჯება ბეგონიაზე ეჭვის მიტანა?
 ერთიც აყვავდა აგარაკზე და ყოველთა მფარველია სამება,
 მაგრამ მე ვისლა ჩამოვუტანო შენი ბუთხუზა იასამნები?
 ხედავ, რამდენი კითხვის ნიშანი გაათამამა გამოსარჩლებამ? —
 ჩვენ ყველა ერთად მოვიგერიებთ და, რაც ჩვენს შორის დარჩა, დარჩება.
 ჩემო შეთქმულო, რომელ მესამეს ეთანხმები და ეთავადები
 და, რომ გიტოვებ, რას გაუნყებენ ეგ შენი თეთრზე თეთრი ვარდები? —
 რომლებიც უკან მეზიდებიან, მაგრამ მე აღარ ვზივარ საქესთან,
 კიდევ და კიდევ დამენანები, ჩვენ ერთმანეთი მოგვისაჯეს და
 სხვა არჩევანი არ დავგიტოვებ: დანალმულია სამი კედარო,
 სიზმარში მაინც გამომეცხადე, რომ შეგადარო და შეგედარო:
 რაკილა შენი კერა ჩამიქრა და შენი კელაპტარი ჩამიქრა
 და, რაკი გულში ველარ ჩამიკრავ, იქნება თვალი მაინც ჩამიკრა,
 რათა ავკინძო აღმასებვივით გადაღებული წვიმის წვეთები
 და კვლავ შეგაბა ყელსაბამივით, თუკი შეძლებ და გამიჩერდები
 და უკანასკნელ საბედისწერო მერიდიანსაც თუ გადალახავ...
 გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ.

*
 გასრულდა ეს ელეგია და ტრიალი ცალფა რითმის ჯარასი
 და, როცა ბოლო ნერტილი დავსვი, მოულოდნელად შენს ფანჯარაში
 ცისფერი მტრედი გამომეცხადა, ლულუნა მარცვლებს ანამცეცებდა
 და ამ სტრიქონებს ისე დახედა, თითქოს საკუთარ სახელს ეძებდა.
 საოცარია: ჩვენი ცისფერი განმეორებით გამომეცხადა
 და ფრთები ისე მძიმედ აზიდა, თითქოს გაფრენა აღარ ენადა,
 თითქოს შენსავით გამომესალმა — უშვიდესი და უსათნოესი —
 პაბლო პიკასოს არჩევანი და კიდობანელთა ელჩი ნოესი.
 ფანჯარა აღარ დავხურე, თუმცა სასწაულების არა გვეუროდა,
 მტრედივით შეკრთა შენი ლანდი და გამოიხედა ღამის ჩეროდან.
 აქ იყო შენი სალოდინო და სამლოცველო და სამეტანიო,
 აქ ბედისწერა აუტანელი გეძალეობდა — ამიტანეო.
 ეს იყო შენი გადასახედი, შენ ამ ვიდუო-მართკუთხედიდან
 გვაცივებდი და გვაფრთხილებდი და გვავედრებდი და გვაკურთხებდი და
 აქვე გველოდი, ვიდრე უეცრად არ გავითიშეთ ზედა-ქვედანი
 და აქვე, როგორც დაბარებული, არ მომევიღინა მტრედი-ქედანი.
 ჩამოიმარცვლა წელიწადების კრილოსანი ანუ ქარასტა,
 ეს ნახევარი საუკუნეა, მტრედი არ მახსოვს ამ ფანჯარასთან,
 დღეს კი ცა უფრო მტრედისფერია და ჩიორების კოსმოდრომიდან
 კვლავ — არა მარტო მოფრინდება და კვლავ — არა მარტო ამბავს მომიტანს.



დასაწყისი №172

17 მარტი
მაიარალა

ერეკლე მეფის შვილი, იულონ ბატონიშვილი, რუსეთიდან რომ დაბრუნდა, სახლურნი, შინაურნი და თავისი გლეხები შემოეხვივნენ:

„აბა, კურთხეულო, როგორ მოიარე რუსეთი, რა ნახე იქ ღვთისსარგო და კარგი!“

„ვნახე რუსეთი, ველნი, ვაკენი, ქალნი უნიფხვო, კაცნი მაკენი...“ უპასუხა იულონ ბატონიშვილმა და მშობლიურ სათორნეში დურთა თავი — მოიტა, რაიმე რიგიანი მაჭამეთო.

დღეს ორმა ჟურნალისტმა დამირეკა — ერთმა საზოგადოებრივი არხის რადიოდან, მეორემ — ჟურნალ „გზიდან.“

არა, რა თქმა უნდა, წიგნი და ლიტერატურა არ აინტერესებდათ, არც ჩემი, არც — სხვისი. აჰ, როგორ გეკადრებათ, მწერლობა და პოეზია ხომ არც „აქტუალურობადია“ არც „ყურებადი“, „მოსმენადი“ და არც „კითხვადი“...

არა, ბატონო, ჩემი აზრი აინტერესებდათ იმაზე, რაც მათი აზრით უფრო „ყურებადი“, „მოსმენადი“ და „აქტუალურობადია“ მასმედიაში „გასაჟღერებლად“ — უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე და ამ ბოლო დროს გავრცელებულ პირადი ცხოვრების თუ რაღაცა ემბაკების ამსახველ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით...

ბუნებრივია, უარი ვუთხარი. იმიტომ, რომ ამ ყველაფერზე აზრი, რასაც აზრი ჰქვია, არ გამაჩნია და ერთადერთი, რაც გამაჩნია, გრძელი საბურთალოური დედის გინებაა, შიგადაშიგ კაი გემრიელი კახური მინარევებით. რაც უნდა იყოს, დედულეთი იქითა მაქვს, კახეთში, მაგრამ ამ ჩვენს პატიოსან მასმედიას ვითომ ეპატაჟი კი ევასება, მაგრამ ქართული ხალხური დედის ტრაკობია კი მაინც ძალიან შეაძრწუნებს ხოლმე...

ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ძალიან მძიმე, უმძიმეს დღეში ვართ!

სწორედ მაგ დღეებში, შიდა ქართლში, სოფელ ჯარიაშენში, ბებოს ნახირიდან ძროხა მოუვიდა, ჩვეულებისამებრ გომურისკენ წავიდა და... რუსეთში ამოყო თავი. სანამ ძროხა ნახირში იყო, ამ დედაძალმა რუსებმა ჯარიაშენში გააბეს მავთულხლართები, ძროხამ კიდევ მაგის რა გაიგო, თავის გომურში შევიდა და იქიდან შემოზმოუდა ბებოს. ბებო კიდევ ველარ ეკარებოდა. იმიტომ, რომ მისი ეზოს ნახევარი რუსეთში აღმოჩნდა...

აი, რატომ ვძმაკაცობ, ვგულშემატკივრობ და ალაღად მშურს კიდევ ჩვენი ჩრდილოეთკავკასიელი მეზობლების.

26 წელია, ჩვენს თვალწინ, ერთი მუჭა ვეინახები, გამანადგურებელი და სისხლისმღვრელი ომების მიუხედავად, ვიდრე ჩვენ ერთმანეთს საძინებლის ჭუჭყრუტანიდან უთვალთვალავთ, განვიხილავთ, ვჭორაობთ, ინტერვიუს ვიღებთ, პრესკონფერენციებს ვანყობთ და საერთოდ თავს ვიჭრით, არ წყვეტენ რუსეთთან წინააღმდეგობას. სულ ახლახანს კიდევ ახალი რაზმი გავიდა ტყეში, იარაღით ხელში და ახალი დევიზით: „დოლბორ დაქ, დოლბორ დაქ, დეიქორ დაქ!“ — „არ გავტყუდებით, არ დავივინებთ, არ ვაპატივებთ!“

როგორ არ მინდა, დავიჯერო, რომ ჩვენ გავტყუდით, დავივინყუთ და ვაპატივებთ!.. საშინელ, პირდაპირ ფიზიკურ ტყვიის მაყენებს ამის წარმოდგენაც კი!.. და თუ ამ ქვეყანამ, ერთ დროს საქართველოდ წოდებულმა, როდისმე დაივიწყა, აპატია და გატყდა, მაშინ მე, ერთი ადამიანი, არასოდეს გავტყუდები, არ დავივინებ, არ ვაპატივებ!

არასოდეს და არავის! არც რუსეთს და არც იმ ქართველებს, რომლებსაც შეუძლიათ, ფარული კამერები დაამონტაჟონ და ერთმანეთს უთვალთვალონ მაგ ბოზებმა, იმიტომ, რომ სწორედ ეგ არის ბოზობა და არა ის, რომ კაცს ქალი ჰყავს, ქალს კაცი და ვის რამდენი, როგორ და რატომ, ეს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია და მათი საქმე!

არასოდეს გავტყუდები!.. არ დავივინებ!.. და არ ვაპატივებ!.. ვიდრე ცოცხალი ვარ!..

და, რომ მოგვკვდები, მითუმეტეს: არ გავტყუდები, არ დავივინებ და არ ვაპატივებ!..

P.S. მაიარალა — ვეინახური სიტყვაა და სიმამაცეს, თავდადებას ნიშნავს. სიტყვას, რომლის მნიშვნელობაც კი სულ უფროდაუფრო გვაგინყდება საქართველოში და რომლისგანაც ცარიელი და უმწეო პათეტიკადა შემოგვრჩა.

22 მარტი

თოხი და კალამი

ერთხელ კახეთში ჯარას ბაღლი მომადგა, რაღაც საქმეზე გამომყევი მანქანიო. ნავედით.

გზაში ვეუბნები, გაასწორა სახლიდან რომ გამომიყვანე, დილიდან ვწერდი და მაგრა დავიღალად-მეთქი...

ირონიულად გადმომხედა.

ბექა ქურხული

უკანასკნელი ჩანაწერები



— ჰოო, შენა, პასტა იგეთი მძიმეა არა?.. მა შენ თოხი რომ დაგაჭერინონ, რაღას იზამ?

ერთხელ ინტერესის გამო მართლა გავყევი სიმინდის სათოხნელად. დავინყეთ თოხნა და, ზუსტად ორ წუთში, რომ მოვიკიდე ამ თოხს ტარში ხელი და გავაფრიალე, ერთი საათი ექებდნენ მერე ბაღჩის ბოლოში, ჯაგებში ჩავარდნილს ბიჭები.

— ბიჯოო, იქვე ვერ დააგდე, რაღას გვაძებნინებ?! — სიცლი-სიცლით მეჩხუბებოდნენ, — შე „სმეტანაზე“ გაზრდილო, ქალაქელო, შენა...

ახლა, ამდენი წლის მერე, რამე მაგარს რომ ვკითხულობ, სულ ეგ მახსენდება: აღფრთოვანებასთან, გაძლიერებასა და სულიერი სიმშვიდის შეგრძნებასთან ერთად სულ ვფიქრობ, ამ ნაწარმოებების დაწერის დროს, ამ ტექსტის ავტორებს როგორ უჭირდათ, როგორ შიოდნენ, სციოდნენ, როგორ იშლებოდნენ ჭკუიდან, როგორ ლოდებოდნენ, იჩხირავდნენ, როგორ უყვარდათ, როგორ ხტებოდნენ ფანჯრიდან, როგორ იხსნიდნენ ვენებს და იხლიდნენ თავში ტყვიას და სულ მრჩება შთაბეჭდილება, რომ თვითონ ირთმევენ სულს და ჩვენ გვინანობდნენ — შეიძლება სულაც უნებურად, ქვეცნობიერად, ისე, რომ ეს მათ სულაც არ უნდოდათ, მაგრამ ასე გამოვიდა. ნამდვილი ნაწარმოები მხოლოდ ასე იწერება და ასე იკითხება.

კალამი თოხზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა. გაცილებით!

რომ ჩავალ, ჯარას ბაღლს ვეტყვი მაგას და თუ ისევე თავისებურად დამიწყო ლადაობა, რო წავაყრი თავ-პირში, იქნება იძახოდეს: „ნეტაი დღეა თუ ღამე და ისევე აქ არი თუ უკვე წავიდა!..“

თან ვირის ჯანი აქვს, არც დაგენანება და არაფერი...

ვაახ, ტო, თოხიო! რა თოხი?.. თოხი არა ისა...

27 მარტი

რაღაცა ყოველთვის მთავრდება და ახალი რამე იწყება. ახალი ამბავი. ახალი

საქმეები, ახალი ომები, ახალი პრობლემები.

უკვე კარგა ხანია, ვხუმრობ, ღმერთმა პრობლემები იმისთვის შექმნა, რომ ისინი მე მოვავგარო-მეთქი.

ვტრახახობ, ბაზარი არ არი, მაგრამ თან რომ მართლა ვაგვარებ?! აი, ეგ არის ყველაზე მაგარი და უცნაური. თან — ბავშვობიდან მოყოლებული. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ვაგვარებდი. ერთადერთ ამ ბოზიშვილ სიკვდილს ვერ მოვუხერხე ვერაფერი.

და ისიც ვისწავლე, რომ არც იმის ცოდნას აქვს აზრი, რომ ამდენ ბრძოლას, ტანჯვას, ძვლების მტვრევას სტრესსა და ნერვიულობას არ აქვს არანაირი აზრი.

ციალურად ორი ძუქნა კომუნისტის — კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის — ხსენების დღე, ჩვენთვის კი რეალურად „ქალთა დღე“ და რაც მთავარია, ჩვენი კლასელი გოგონების დღე იყო და ახლა ჩვენ ვუკეთებდით საჩუქრებს — უფრო სუნამოებს და ყვავილებს.

8 მარტი „ბიჭების დღესთან“ შედარებით, როგორც წესი, უფრო მშვიდად ჩაივლიდა ხოლმე, თუმცა გაკვეთილები იმ დღესაც იშლებოდა.

ამას მოჰყვებოდა 1 აპრილი და ცნობილი — „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“. მიდიოდა ვაცურება, მოტყუება, ხუმრობა, მასწავლებლების გათამაშება და მათთვის ოინების, ხანდახან „ბოროტი“ ოინების მოწყობაც.

მასწავლებლებიც, იმის მიხედვით, როგორი ხასიათი ჰქონდათ და ახალგაზრდები იყვნენ თუ ძველი ყაიდა მკაცრი და შეუვალი პედაგოგები — ან კლასიდან გვერიდნენ ან ჩვენთან ერთად იცინოდნენ.

მერე იყო აღდგომა — ყველაზე აკრძალული, მისტიკური და იდუმალებით მოცული დღესასწაული ჩვენთვის. შაბათ საღამოს, აღდგომის ღამეს, „ილუზიონში“ შეგნებულად ყველაზე იშვიათ და საბჭოთა ცენზურისგან დაბლოკულ ფილმებს უშვებდნენ, რომ ხალხი სააღდგომო ლიტანიობაზე არ წასულიყო. ასე ვნახე პირველად ჩემი ბიჭობის ერთ-ერთი საკულტო ფილმი — „შესანიშნავი შვიდეული“ იულ ბრინერი, ელაია უოლაჰით, ჩარლზ ბრონსონით და — „მაკენას ოქრო“ გრეგორი პეკით და ომარ შარიფით.

აღდგომის კვირის შემდეგ ორშაბათს, ყველანაირი აკრძალვის მიუხედავად, მაინც აგვექონდა სკოლაში წითელი კვერცხები და მიდიოდა ჭახაჭუხი. ვილაცებთ იხვისა და ციცარის კვერცხებიც ჰქონდათ. საქმეში გადიოდა ხის წითლად შეღებილი კვერცხიც, რომლითაც უფროსკლასელები გვეშუღერებოდნენ და გვათავებდნენ.

ამის შემდეგ სკოლის გვერდით, ბაღში, ნელ-ნელა შემოდოდა ტყემალი და ალუჩა, რომელსაც არავინ არასოდეს აცლიდა დამნიფებას.

და ზაფხულიც მოდგებოდა კარზე — დიდი და ნანატრი ზაფხულის არდადეგები. სწორედ ზაფხულის არდადეგები განსაზღვრავდა ჩვენს ზრდას და კლასიდან კლასში გადასვლას.

7 აპრილი

როგორც ჩანს, მხოლოდ ცუდი კი არა, კარგი დამთხვევებიც არსებობს. რაღაც მაგარი დღე გამოვიდა. ძალიან დიდი კომპლიმენტები მივიღე ჩემს რომანზე — „სამოთხიდან გაქცეულები“ — ლაშა თაბუკაშვილისგან და თამაზ ჭილაძისგან. მით უმეტეს, რომ ლაშას ორგან ჰქონდა ფეხი მოტეხილი და თამაზ ჭილაძეც ავადმყოფობს და, თითქოს, ვერ უნდა მოეცალათ ჩემი წიგნისთვის. მათი აზრები და ემოციები ორმაგად სასხიარულო იყო ჩემთვის, რადგან ზუსტად ვიცი, ლაშა თაბუკაშვილიც და თამაზ ჭილაძეც ძალიან უფრთხილდებიან საკუთარ სიტყვას და არა მარტო ლიტერატურის და მწერლობის ნამდვილი ექსპერტები, არამედ ძალიან მკაცრი შემფასებლებიც არიან.

მივიღე შენიშვნებიც. რა თქმა უნდა, ქება სასიამოვნოა. მთელი დღეა, სხვანაირად ვმოდრობ. როგორია, თამაზ ჭილაძე რომ გეტყვის — „ეს წიგნი ვეშაპის დაწერლია“... ან ლაშა თაბუკაშვილის ემოციები ავლანეთისა და აფხაზეთის საბრძოლო სცენების დროს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის კითხვები და შენიშვნები, რომლებიც ამ რომანის შესახებ გაჩნდა.

იმის მიუხედავად, რომ ბევრმა ადამიანმა წაიკითხა და თითქმის ყველას თავისი სურვილები და პრეტენზიები გაუჩნდა, არცერთი შენიშვნა ერთმანეთს არ დამთხვევია, სულ სხვადასხვა შენიშვნებს მძღვედნენ. ძალიან უცნაურია ეგა და თან იმედი მომეცა, რომ მე და ჩემს წიგნს ერთი დიდი იაღლიმი არ მოგვსვლია. არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ თანამედროვე ისტორიის 80-90-იანი წლების აღწერისას, პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეები მსაყვედურობდნენ, ძალიან „პუტჩისტური“ მიჭირავს და სიმპატიით და თანაგრძობით აღწერ მის მოწინააღმდეგეებს, გამსახურდიას მოწინააღმდეგეები კი მის მიმართ ზედმეტ ლოიალურობაში მდებენ „ბრალს“ და მიაჩნიათ, რომ აშკარად მის მხარეს ვიჭერ...

უბრალოდ, ხელეების ჩამოშვება და დანებება მაგრად ტეხავს. თუმცა უკვე იცი, რომ ტყუილად ბათქაობ, ამ ბრძოლიდან მაინც არაფერი გამოვა.

ერთი ეგ არის, რომ ამ შეურიგებლობის გამო ოდნავ უფრო ნაკლებად გძულს და გრცხვინა საკუთარი თავის და არსებობის, ოდნავ უფრო თავისუფლად სუნთქავ და უფრო ინარჩუნებ ადამიანურ თვისებებს და კეთილ ღიმილს.

და დიდ, საბოლოო დასასრულსაც უფრო იოლად და გულიანად შეხვდები რა... დალილი სიცლითა და შვევით.

ჰა, გავედი, ტო „სვაბოდაზე“... ამნისტია შემეხო თუ „უდო“?..

1 აპრილი

სკოლაში სწავლისა და გაზაფხულის მოახლოებას თებერვლიდან ვგრძნობდით, 23 თებერვლიდან. 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა წითელი არმიისაგან ოკუპაციისა და ანექსიისა და 1944 წელს ვეინახების, ყარაჩაელებისა და ყაზარდო-ბალყარელების დეპორტაციის დღეს, როგორც საბჭოთა კავშირის წითელი არმიის დღეს, ისე გვაზივინებდნენ. ჩვენ კი სკოლაში „ბიჭების“ დღეს ვეძახდით და თანაკლასელი გოგონები საჩუქრებს გვიკეთებდნენ. უფრო ხშირად სათამაშო პისტოლეტებს გვახვედრებდნენ მერხებზე, რომლებიც პლასტმასის ტყვიებს ისროდნენ. ჩვენც სასწრაფოდ ვაყირავებდით მერხებს, კლასის თავსა და ბოლოში, ნამდვილ ბარეკადებს ვაგებდით და ისეთი სროლა და გნიახი ტყედებოდა, ველური დასავლეთის პრიტონები და ბარეხიც არ დაგვიწუნებდნენ.

ჩვენი სანყალი გოგონები წივილ-კივილით გვეფარებოდნენ, რომ თავისივე ნაჩუქარი იარაღებიდან გამოფრენილი ტყვიებისათვის აერიდებინათ თავი. მათ შორის უფრო ყოჩაღები ქიმუნჯებსაც არ იშურებდნენ და სრულიად შემთხვევით იმ ბიჭის მხარეს და ზურგს უკან აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, რომელიც მოსწონდათ. მეორე ასეთი დღე 8 მარტი იყო. ოფი-

ჩემმა ძმამ ლექსი ამაზე მიტხრა: „ე, ეტყობა, მართლა სწორად აღწერე ყველაფერი და იმიტომ!“ ეს ხუმრობით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თემა დღემდე, 25 წლის შემდეგაც, ძალიან მტკივნეულია ჩვენი და ჩვენი უფროსი თაობისთვის. კარგია, რომ არაფერი დაგვეწყვიტა და ჩვენი ჭრილობები, თითქოს დროის მიერ მოშუშებული და შეხორცებული, თითოეულ შეხებაზე ან ამინდის შეცვლაზე და ქარის დაქროლვაზე ისევ გვტყვივა, გვტყვავს და გვაწუხებს.

მგონია, რომ ეს ძალიან კარგია და ამ შენიშვნებსა და პრეტენზიებსაც მართლა გულწრფელი პატივისცემით და სიხარულით ვიღებ. არანაკლები სიხარულით, ვიდრე საქებარ სიტყვებს და ვცდილობ, დასმულ კითხვებსაც, რაც შეიძლება, ალაღობად ვუპასუხო და ასევე ალაღობ მგონია, რომ არ არსებობს ვინერლისთვის უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე ნაწარმოებისგან აღძრული ემოციების გაზიარება, კითხვებზე პასუხის გაცემა ან თუნდაც ის, როდესაც თავადვე უსვამს საკუთარ თავს კითხვებს...

მართალი ხარ რო?.. რამდენად ობიექტურად მოახერხე შენი სათქმელის თქმა?.. მართლა ამის თქმა გინდოდა თუ ნაწერმა თავის გზაზე გაუტია, როგორც ეს ხშირად ხდება? ხომ არ აურიე?.. და საერთოდ, კი ყოველთვის მაგარი თავხედი იყავი, მაგრამ ახლა უკვე ნამეტანი ხო არ მოგივიდა?..

ჰემინგუის — ვისთვის რეკს ზარი? — გამოსვლის შემდეგ ძალიან გაუნაწყენდნენ; არა მარტო ესპანეთის სამოქალაქო ომში გამარჯვებული ფალანგისტები და მათი კაუდალიო ფრანსისკო ფრანკო ბაამონდე, არამედ რესპუბლიკელებიც. ისე, რომ ბოლოს გაბეზრებული ჰემინგუეი შემოუტრიალდა: „რისი თქმა გინდათ, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომში არავინ დაუხვრეტიათ, თუ თქვენ რესპუბლიკელებს არავინ დაგიხვრეტიათ?“

ე, მგონი, მართლა ძალიან გავბლატავდი და ამივინა თავში, ხო იცი, მე და ჰემინგუეი და ისა... მალე ეგრე დაიწყებ ლაპარაკს: „წუხები ეზრა პაუნდმა დამირეკა გაგლეჯილი კაიფში, ბიჭო, ქურხულ, ფიცჯერალდს ზელდამ ისევ გაუტრიაკა, ძან მძიმე ზაპოი აიკიდა და ნამო, ლიონიდან ჩამომავანნი...“

P.S. წუხელ თამაზ ჭილაძესთან ტელეფონზე საუბრისას წამომცდა: როგორ მწყდება გული, ბატონო თამაზ, დედაჩემი რომ ვერ ისმენს თქვენ სიტყვებს, რასაც მეუბნებით-მეთქი. და იმ წამსვე მივხვდი, რომ წარმოუდგენელი სისულელე ვთქვი. მივხვდი იმასაც, რასაც მიპასუხებდა და სწორედ ის სიტყვები გავიგე:

— ესმის, ბუკა, ესმის!
გესმის, დე? ხო გესმის?..

10 აპრილი

8 აპრილს პოეტ ქეთი რიჟარაძის თხროვით ახალგაზრდებს ნივთსაც ლექციის მაგვარი წავუკითხე. თუმცა, რომ მკითხო, ეს უფრო მოგონება იყო, მოგონება იმ დროისა, როდესაც მათი ტოლი და მათზე პატარა ვიყავი. იყვნენ ბავშვები აფხაზეთიდანაც. ინალ კუჩბა და ირაკლი უბილავა. ირაკლიმ ამყარა განაცხადა, უბიხების შთამომავალი ვარო. ეს უბიხები ადიღურ ჩერქეზული ტომია, რომელიც რუსებმა ამონყვიტეს, საკუთარი მიწა-წყლიდან თურქეთში გაყარეს ეგრეთ წოდებული მუჰაჯირობის დროს. იქ კი, რაც რუსებმა დააკლეს, ოსმალებს იმპერიამ გადაუთავა და დღეს არცერთი უბიხი აღარ არსებობს. ამაზეა აფხაზი მწერლის ბაგრატ შინკუბას ძალიან მაგარი წიგნი — „უკანასკნელი უბიხი“. ალბათ კარგი იქნება, ქართულად კიდევ ერთხელ თუ გამოვიცემთ. არ ვიცი რატომ, მაგრამ, როგორც უმეტეს შემთხვევაში, ქართულ-მეგრულ უბიხური წარმომავლობის ირაკლი უბილავა გაცილებით უფრო უკომპრომისო იყო და გაცილებით უფრო „გვიბრაზდებოდა“, ვიდრე აფხაზი ინალ კუჩბა. თუმცა სულ ხუთიოდე წუთის გულწრფელი და ღიმილნარევი საუბრის შემდეგ ყველაფერი დალაგდა და, რა თქმა უნდა, აღმოჩნდა, არამარტო ირაკლი საუბრობდა ქართულ ენაზე, ინალ კუჩბაც მშვენიერი ქართულით ლაპარაკობდა.

9 აპრილს 14 წლის ვიყავი, და იმდენჯერ მაქვს ამაზე დაწერილი და ნალაპარაკები, რომ აღარაფერს დავამატებ, მითუმეტეს, რომ ყველაფერი კარგად მახსოვს

და ეგ უბედურება კი ისედაც მჭირს — ხშირად ვიმეორებ და ვყვები ერთსა და იმავეს, ან, როგორც ციცი მეუბნებოდა — „აკვირებული აზროვნება მაქვს...“

ერთადერთი, რაც არასდროს მომიყოლია და დამინერია, ისიც იმიტომ, რომ მხოლოდ ახლა დავეფიქრე 1989 წლის 9 აპრილის ღამის შემდეგ, აგერ უკვე 27 წელი გასულა, არც ერთხელ არც ერთ 9 აპრილს ღამე იქ აღარ მივსულვარ. არ ვიცი, რატომ, უბრალოდ, აღარ მომიწინა.

და ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსები მაშინ ცოცხლები არ უნდა გაგვეშვა თბილისიდან. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მაგრად უნდა დაგვეყარა. იმიტომ კი არა, რომ ასეთი სისხლისმსმელი ვარ. არა, ნამდვილად არა, ღმერთმა დამიფაროს — უბრალოდ, სულ მაქვს შეგრძნება, რომ მაშინ ძალიან იაფად შერჩათ ჩვენი სისხლი, ჩვენი ქალების დახოცვა. კი, ბოლომდე ჩავიყვით და მოვიტხოვეთ; კი, მთელს საბჭოთა კავშირში ყველაზე მალე თბილისიდან გავიდა საბჭოთა საოკუპაციო რუსის ჯარი, სულ ერთი კვირაც არ გაგრძელებულა კომენდანტის საათი, მაგრამ 9 აპრილის გახსენებაზე, დიდი თავდადების და სულიერი ამაღლების შეგრძნებასთან ერთად, რომელიც უდავოდ ახლდა იმ დღეებს, ძალიან უსიამოვნო ბოლმის შეგრძნებაც მახრჩობს — უმწიბრის ბოლმის, რომელიც, ამდენი წელია, თითქმის ყოველდღიურად მიპყრობს. ასეთი ბოლმის და უმწიბრის შეგრძნება კი სამინლად გამახინჯვებს კაცის სულს.

და კიდევ ერთხელ მათთვის, ვისაც დღემდე აქვს ილუზია, რომ „ერთმორწმუნე რუსეთთან“ მორიგება შეიძლება, ან როდისმე მეგობრულად ვცხოვრობდით:

1801 წელი, პირველი ანექსია და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, რასაც ამ ორსათხუთმეტი წლის განმავლობაში მოჰყვა:

1804 წლის მთიულეთის აჯანყება, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქოს გაუქმება; 1812 წლის კახეთის აჯანყება, სადაც რუსებმა უფროსი ჯარისკაცი დაკარგეს, ვიდრე რუსეთ-ირანის ომის დროს; 1832 წლის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება, რომელშიც ქართველი ბატონიშვილები, მათ შორის, მეფე ერეკლე II-ის ქალიშვილი და ალექსანდრე ორბელიანის დედა, ცნობილი თეკლა ბატონიშვილიც მონაწილეობდნენ; 1841 წლის ეგრეთ წოდებული „ცერკოვნი ბუნტი“, როდესაც იმერელი ეპისკოპოსები საქართველოს ეკლესიის რუსიფიკაციის წინააღმდეგ აჯანყდნენ. სვანეთის სამთავროს გაუქმება და სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანის მიერ ქუთაისის გუბერნატორის მკვლელობა, სვანეთის აჯანყება და სვანური სოფლის ხალდეს დედაბუდიანად ამონყვეტა და განადგურება; 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს და მმართველი დინასტიის შერვაშიძეების განდევნა, აფხაზეთის აჯანყება და მუჰაჯირობა, როდესაც აფხაზეთის თითქმის მთელი მოსახლეობა რუსებმა თურქეთში გადაასახლეს. ვინც გადარჩა, ისიც მაშინდელი ქართველი თავადაზნაურებისა და ინტელიგენციის დიდი ძალიანხვეით (უკაცრავად შესხეებებისთვის, მაგრამ ნამდვილად ასე იყო) და მათ ადგილას რუსების და სომხების ჩასახლება. დიმიტრი ყიფიანის გადასახლება და მოკვლა; 1905 წელს გოლოვინსკის, ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე რუსის კაზაკებისა და შვედრაზმელების მიერ ქართველი ახალგაზრდების და გიმნაზიელების უღმერთოდ ჩახოცვა; 1921 წელს საქართველოს განმეორებითი ოკუპაცია და ანექსია, იუნიკერებისა და მარო მაცაშვილის სიკვდილი; 1924 წლის აჯანყება, რომელიც წარმოუდგენელი სისასტიკით ჩაახშეს; 1930-იანი წლების ეგრეთ წოდებული კოლექტივიზაცია, „გაკუთრება“ და რეპრესიები; 1942 წლის შეთქმულება, იმავე წელს თუშების ამბოხი ადამ ბობლიაშვილის მეთაურობით — ორივე შემთხვევაში თითქმის ყველა შეთქმული ამონყვიტეს; 1956 წლის 9 მარტი, როდესაც რუსთაველზე რუსებმა ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს ქართველები; 1978 წლის 14 აპრილის აქციები, როდესაც კრემლმა, ფაქტობრივად, აპარტიდული კანონის მიღება დააპირა, რითიც საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების დედაენებს კანონგარეშე აცხადებდა; 1983 წლის ეგრეთ წოდებული

„თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე; 1989 წლის 9 აპრილი. ცხინვალის პირველი ომი 1990-1992 წელს; აფხაზეთის ომი 1992-1993 წელს; გალის ბრძოლები 1998 წლის მაისში; ცხინვალის ბრძოლები 2004 წელს; ცხინვალის მეორე ომი 2008 წლის აგვისტოში, იქაური ქართველების დედაბუდიანად გამოყრა საკუთარი სახლებიდან და კიდევ ერთი ოკუპაცია...

და, რაც მთავარია, ჯერ, სამწუხაროდ, არაფერი დასრულებულა. როგორც ჩანს, რუსეთ-საქართველოს „ძმური და მეგობრული“ ურთიერთობის ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი და ტრაგიკული თარიღები მომავალშიც ელიან თავიანთ რიგს...

13 აპრილი

გოგა ჭყონია: კვირაში ერთხელ კი უნდა დალიოს კაცმა...

მე: ბიჭო, კვირაში ერთხელ რომ შემეძლოს დალევა, ყოველ დღე დავლევდი...

იყო დრო, როდესაც მე ვცხოვრობდი ალკაშებთან ერთად. და იყო დრო, როდესაც მე არ ვცხოვრობდი ალკაშებთან ერთად...

ახლა მე არ ვცხოვრობ ალკოჰოლიკებთან და ნარკომანებთან ერთად, მაგრამ ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ წუთას შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს და მე ისევ ჩემ ძველ კორეებთან ამოვყო თავი, რადგან მიუწვდომელია უფლის გზა და მიუწვდომელია განგება მისი, როგორც მუსლიმები ამბობენ...

და იმის მიუხედავად, რომ არასოდეს ნარკოტიკი არ მიზიდავდა და არ მაინტერესებდა და იმის მიუხედავადაც, რომ 13 წლიდან ვსვამ და ვთვრები და ვერც გალოთება მოვახერხე, არავისი ისე კარგად არ მესმის, როგორც ლოთების და ნარკომანების. ამას, ყოველგვარი ზედმეტი სულელური ორიგინალობის გარეშე, სრულიად გულწრფელად, ვამბობ. საერთოდ, არავისი ისე კარგად არ მესმის, როგორც ეგრეთ წოდებული „სუსტი“, „ჩაშვებული“ და „ფსკერზე დაცემული“ ადამიანების, იმის მიუხედავად, რომ თვითონ მთელი ცხოვრება თავზეხელაღებით, სისასტიკემდე მისული დაუნდობლობით და გააფთრებით ვებრძვი საკუთარ თავში ნებისმიერ სისუსტეს, სასონარკვეთილებას და შიშებს. შეიძლება, სწორედ მაგიტომაც ვებრძვი, რომ ასე კარგად მესმის მათი, საკუთარ თავშიც ვგრძობ ამ მონაცემებს და პირდაპირ ქუჩური, კლანური და ნათესაური სოლიდარობის გრძნობა მაქვს ამ კატეგორიის ადამიანებისადმი. ამიტომაც მაღიზიანებს ხოლმე დიდაქტიკური საუბრები „წარმატებულ“ და „წარუმატებელ“, „ლუზერ“ და „ხელმოცარულ“ ადამიანებზე. საერთოდ, ადამიანების ასეთ კატეგორიებად დაყოფა იმდენად მაცოფებს, რომ ვირტყმევინები კიდევ, თან „წარმატებულად“. როგორც ჩანს, ქვეცნობიერად ანიჭებ გაცნობიერებულადაც, საკუთარ თავსაც ამ გალოთებულ, განარკომანებულ, დამარცხებულ და ხელმოცარულ ადამიანებთან ვაიგივებ... ამას მოჰყვება ძველი სულელური ლოთური და უბნური სენტენციის: „აბა, ძმაო, ამ ცხოვრებას ფხიზელმა, მტერმა უყურა“-ს კიდევ უფრო სწორი და დაუნდობელი ვერსია: „აბა, ძმაო, ამ ხელმოცარულ და დამარცხებულ საკუთარ თავს, ფხიზელად ჩემმა მტერმა უყურა...“

და კიდევ უფრო უარესი, როდესაც დამარცხებასთან, ხელის მოცარვასთან და სასონარკვეთასთან არა მარტო საკუთარ თავს აიგივებ, რომელსაც სხვა უკეთესი არც არაფერი დაუმსახურებია, არამედ მთელ შენ ძველ, ჯერ კიდევ შენამდე ასწლებლების განმავლობაში, ათასჯერ გაგლეჯილ-გამოგლეჯილ და სულ მუდამ-დამარცხებულ ქვეყანას, რომელსაც უკვე შენს თვალწინ გლეჯენ და ამარცხებენ და შენს საკუთარ გიჟურ მარცხსა და ფიასკოებს ესეც ემატება...

მახსოვს, 1995 წლის დეკემბერში, როდესაც ყობოსა და ოთხმოცასთან ერთად ბოზი ელიზას ბორდელში გავიჩიეთ, სადაც გოგა ნაბიაშვილის მამის, დათო ძიას, საახალწლო გდადებულ და გამოტანებულ ფული მივაფშვნიტე — ეგ ამბავი „ნაინანელ ქაღმე“ მაქვს აღწერილი — პირველად დავფიქრდი იმაზე, რა უცნაურად დაემთხვა ჩემი თაობის და ამ ქვეყნის დამოუკიდებელი საქართველოს გარდატეხის ასაკი ერთმანეთს. მაშინ სულ რაღაც მეხუთე წელი იყო, რაც საქართვე-

ლო 9 აპრილით, სროლით, ცეცხლით და სისხლით დაეღწია საბჭოთა კავშირის „დიად რუსულ იმპერიას“ და თან საკუთარი სისხლხორცეული ნაწილები შემოეფლითა. ჩვენ კი პატარა ბიჭები ვიყავით და ერთმანეთის ახლად გათხრილ საფლავებთან ვიზრდებოდით. 21 წლისანი კი უკვე გადარჩენილ, სიცოცხლით გაუმადლარ ხროწნებად მივიჩნევდით საკუთარ თავს და თბილისში ცნობილ ნათქვამთან ერთად („საერთო სურათი გადავიღოთ და გაისად დავითვალოთ, რამდენი გადავრჩებით“) საკუთარი ხუმრობაც გვეკონდა: ვინც ექსპერიმენტალურ სკოლაში ვსწავლობდით და დღემდე ცოცხლები ვართ, წითელ წიგნში უნდა შევიტანოთ...

ახლა ხშირად მიწვევს ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ჩვენზე გაცილებით ჭკვიანები, პრაქტიკულები და წინდახედულები არიან, ერთი მარტივი ჭეშმარიტების მტკიცება, რომ ეს დედაატორებული ომები ჩვენ არ დაგვინყია. თუნდაც იმიტომ, რომ 16-20 წლის ბიჭები ომებს არ იწყებენ და ყველანი მკვლელები და მორფინისტებიც არ ვყოფილვართ. როგორც ჩანს, ამ ოცი წლის განმავლობაში, ფანტასტიურად იმუშავა ჩვენს წინააღმდეგ დაწყებული კომკავშირულმა და ჩეკისტურმა შავმა პიარმა!..

პირველად კი სწორედ დეკემბრის ბნელ ღამეს ბენზინის „დევიუოკის“ რახრახში, „კერასინკის“ ნავთისა და იაფფასიანი მოტოპო სუნით გაჯერებულ ელიზას ბორდელში მივხვდი, რომ ამ ასაკში უკვე სამინალად, გამოუსწორებლად დავმარცხდი ჩემს სამშობლოსთან ერთად, რომელიც სულ ახლახანს, ყველაზე ღამაში, ყველაზე კეთილი, ყველაზე უცოდველი, ყველაზე მართალი და, რაც მთავარია, ყველაზე უძლეველი მეგონა. მახსოვს ის აზრიც, რაც თავში მიტრიალებდა:

„რა მინდა აქ, ამ აქოთებულ ბორდელში, ან ამ დასირებულებთან და ან ამ საცოდავ ბოზეთან ერთად. და რატომ ვხვდები ყოველთვის დამარცხებულებს მხარეზე, დამარცხებული კლანი, დამარცხებული მოდგმა, დამარცხებული ქვეყანა...“

არსებობს მთელს მსოფლიოში განთქმული, მტერს ბოლომდე შემწყდარი, ბიჭების დევიზი და შეძახილი:

- Mors aut Victoria (ლათ).
- Victory or Death (ინგ).
- Ya Qelebe ya Olium (თურქ).
- Vittoria o Morte (იტ).
- Tollam ie Vallar (ვეინ).
- La Victoire ou la Mort (ფრანგ).

რაც ჩვენი თაობის და ჩვენი დროის საქართველოსათვის კიდევ უფრო სასტიკ და გამოუფალ გზად და ყიფინად იქცა: დამარცხება ან სიკვდილი!!!

სხვა არჩევანი ჩვენ არ გვექონია... და ვისაც არ დაგეზარებათ, შეგიძლიათ, გვაძახოთ და გვითვალეთ — ნარკოტიკი, სასმელი, რამდენი, როგორ...

და რატომ გადავრჩით და როგორი სიმთვრალე გვაქვს!..

15 აპრილი

„თქვენ სამინლად დაილაღეთ, გატოკების თავიც აღარ გაქვთ. მე კი გაჩვენებთ, რომ გაცილებით მეტი შეგიძლიათ, ვიდრე გგონიათ, და ეს დალოლობა არაფერს ნიშნავს!“

1978 წელი. არგეტინის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი — ლუის მენოტი.

როდესაც მეტი აღარ შემიძლია, როდესაც ვეღარ ვუძლებ, ვერც ფსიქოლოგიურ, ვერც მორალურ და ვერც ფიზიკურ წნეხს, ვიხსენებ არა იულიუს კეისარს ან მითრიდატე პონტოელს, იან ჰუსს ან გიორგი სააკაძეს, სამას სპარტელს ან სამას არაგველს... არა!

ამ დროს, რატომღაც, ყოველთვის ორი ამერიკელი ზანგის ბიჭი მახსენდება, ორივე სამხრეთული მონათმფლობელური შტატებიდან. სამხრეთ კაროლინელი ჯო ფრეზერი, რომელმაც ბავშვობაში მარცხენა ხელი მოიტეხა, არასწორად შეუხორცა და ეს ხელი პირდაპირ იქცა მის განთქმულ და გამანადგურებელ მარცხენა ჰუკად. არასწორად შეხორცებულ მარცხენას საათობით ამუშავებდა ხეზე დაკიდებულ, ყვითელი სიმინდის მარცვლებით ამოვსებულ ტომარაზე...

მანანა ჩიტიშვილი

ჩვენ რომ მამული გვქონდა და...

მგონია, სიზმრად მოგვლანდა,
დრომ ისე სწრაფად მოლია,
ჩვენ რომ მამული გვქონდა და...
ჩვენ რომ მეფენი გვყოლია...

ძლივსლა მესხნება ბაგე და
უცხო დგას ცხმორთან, ჰერეთთან,
ჩვენ რომ ციხენი ვაგეთ და...
ჩვენ რომ წიგნები ვწერეთა...

ლომ-ვეფხენი გვყავდა მორბედად,
ცხრა მხრით მოგვექონდა ალაფი,
ჩვენ ამირანიც ვშობეთ და
მერმე ჯაჭვებით დავაბით.

დრო, სისხლით მიმონამული,
იცვალა,
რადღა, გულო, სცემ,
ამირანიც და მამულიც
ყავ-ყორანს გადავულოცეთ.

ზურგში მახვილი ვადამდე,
ფხიზლად არც ერის გონია,
„ნიკოფსით დარუბანდამდე“ —
ზოგჯერ ზღაპარი მგონია.

იქნება მართლა მოგვლანდა,
დრომ ასე როგორ მოლია,
ჩვენ რომ მამული გვქონდა და...
ჩვენ რომ მეფენი გვყოლია...

აგვისტო

ელავდა ქუჩა
ფერად-ფერადით,
აგვისტოს სიცხე,
მზე და აგატი
და ჩემი მზერა,
როგორც პერანგი,
მოშილიფებულ
ტანზე ჩაგაცვი.

დრო მოგონებებს
თოვლივით ალხობს,
გვიმრავლებს დღეებს
ჩუმს და ნაცრიანს,
სადაც არ უნდა
შეგხვდეთ და განხო,
ტანზე კვლავ ჩემი
მზერა გაცვია.

პირველად პატივში

კალმახი ფეთქავს, როგორც ლალუმი,
ეს წყალია, თუ საღმრთო მირონი,
მთების სისხლივით მოჩქეფს არღუნი
და ჩემს ძარღვებში ჟრჟოლად მიმოღის.

რა გოროზი და რა უეცარი,
აქ, ამ კოშკებთან ჟამი ბერდება
და ქარი, როგორც ქისტი მუცალი,
ღრუბლების რემას მიერეკება.

ისა პარ ახლა

ჟამი მავსებდა
და ჟამი მყოფდა,
სული ცოდვისგან
ბევრჯერ იძლია,
ისე ვარ ახლა,
არც შენთან ყოფნა,
არც უშენობა

არ შემოძლია.
ყველა შეცდომის
მივიღე ხურდა,
ბედმა უდაბურ
ტევრში გამრიცა,
ისე ვარ,
როცა არავინ გძულს და
არც აღარავინ
რომ აღარ გიყვარს.

გამდლობთ, მამულები

ნიქოზისა და ცხინვალის
მიტროპოლიტის ისაია ჭანტურიას

გშვენით მამულზე ფიქრით ზეობა,
მტირალ სულს შვების კალთას აფარებთ,



გამდლობთ, მეუფევე, ჯვარცმულ ხეობას
ქრისტეს აღდგომა რომ მიახარეთ.

თვალეზე ცრემლის მწარე აკიდო,
ბაგე რა ხნიდან ღიმი დატოვა,
ჩვენგან დათობილ სახლს და სამკვიდროს
თქვენ გამოუჩნდით მწედ და პატრონად.

ქსნის ძველ ციხეებს გრიგალი თოფავს
და ცივი წვიმა იგლოვს ამ გორებს,
მეუფევე, ქსანზე დღეს თქვენი ყოფნა
ყარაყორუმში ყოფნას მაგონებს.

ქარი, თითქოსდა ქვრივი ვინმეა,
ცივ საფლავებთან იმგვარად ოხრავს,
ჯაჭვის პერანგზე უფრო მძიმეა
თქვენი უბრალო ბერული ჩოხა.

სულს თქვენსას ვერამ დაატყო ბზარი,
უფლის თვალვით დაგყურებს ზეცა,
დიდო მეუფევე, ეგ წმინდა ჯვარი
მამულის დამცველ მახვილად გექცათ.

ყრუ ნასოფლარებს სიბნელე დამზერს,
მზეც კი ვერ ათბობს სხივით ამოთი,
მგონია, ყველა ყვავილი ქსანზე
ღვთისმშობლის მბრწყინავ ცრემლზე ამოდის.

გშვენით მამულზე ფიქრით ზეობა,
მტირალ სულს შვების კალთას აფარებთ,
გამდლობთ, მეუფევე, ჯვარცმულ ხეობას
ქრისტეს აღდგომა რომ მიახარეთ.

რა იქნებოდა

ხევისპირს ალვა და მაცვლის ბარდი,
ქარი აჩალებს ნისლის სამოვარს,
არ მეშინია, მზე როცა ჩადის,
ვიცი, რომ ხვალე ისევე ამოვა.

უფალო, თუმცა მე ვინ და რა ვარ,
სულს სხვა ოცნებებს ვაცემე სამოსად...
რა იქნებოდა, ჩვენც როცა ჩავალთ,
ამ მზესავით რომ შევძლოთ ამოსვლა.

ცისკარი

ჩემს ცაზე ჯავრის ღრუბელი
შვიდპირად წამოიმართა,
მუხლზე რომ მეჯდა ცისკარი,
სხვის კარზე ამოინათა.
მე მტრად მომკიდა სანუთროს,
სხვისთვის აქცია ღიმილად,
სისხლი დანელდა, გადიქცა
ქსელის სამღებრო ინადა.
ჩამშალა შემონათვალმა,
რვალი ჩამომფხვნა მინადა, —
„შენს მკლავზე მწოლიარესა
ეს მიყვარდაო წინათაც.“

დაგვიანებული მონოლოგი

მე სხვა ვიყავი, თითქოსდა ლუპით
მაკვირდებოდა ვილაც ზეციდან,
და მთვარის სხივთა ყვითელი ყულფი
ჩემი სხეულის გასწვრივ ეკიდა.

ვინ შემარჩინდა ყოფნას ნებისად,
ვინ მიმიშვებდა ნატვრის წყარომდი
და განსხვავებით სხვა ქალებისგან
სულ ერთი ბენო სითბოს ვეპარობდი.

და ბევრს რომ არც კი უღირდა გროში
ეგ ბაგეები და ეგ თვალეები,
მიყვარდა, მსურდა და შენსკენ თოვლში
შიშველი ფეხით მოვწანალეობდი.

ვით ვიოლინოს გამწყდარი სიმი,
კიოდნენ ქარში ცრუ იმედები,
მე გთხოვდი ციციქნა სითბოს და ღიმილს,
მაგრამ ამასაც ვერ იმეტებდი.

მტანჯავდა შენი დაკარგვის შიში,
თუმცა სიყვარულს მაინც ვებედავდი,
შენ კი გეძინა და ალბათ ძილში
ძალიან ლამაზ ქალებს ხედავდი.

მე სხვა ვიყავი ნოემბრის ქუფრში
დაბადებული ქაცვის ეკლიდან
და მთვარის სხივთა ყვითელი ყულფი
სულ ჩემი ყელის გასწვრივ ეკიდა.

ბედისმწერლებმა სხვაგვარად მთაღეს,
რაკილა უცხო დავრჩი აქამდი...
იმ განაზებულ და კეკლუც ქალებს,
საუბედუროდ, არც რით არ ვგავდი.

მე შენ მიყვარდი, სურვილის ლაგამს
ვხრავდი, როგორმე რომ დამეცარა,
და მწველ კოცონში ყელამდე ჩამდგარს
თამამისათვის სადღა მეცალა.

სხვები გხიბლავდნენ ღიმიით თუ ლიქნით
და შენც უძღვნიდი ხოტბის ბალადებს,
და ვერც ამჩნევდი, ღიმილის იქით
რომ სიცრუეს და ლალატს მალავდნენ.

მე კი მოვარდნილ გრიგალს მიექონდი
და მომკიოდა უკან მაცილი,
და ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი
შენზე ოცნებით იყო აცრილი.

ის ოცნებები ჟამმა გათელა,
დღეს სიახლოვე მაშინებს ლეთის,
ჯერ კი დაფრინავს ციციანთელა —
დიდი სინათლის პატარა წვეთი.

ჯერ კვლავ მამშვიდებს შრიალი თუთის,
ვხედავ, ნისლევი როგორ მიდიან
და მთვარის სხივთა ყვითელი ყულფი
კვლავ ჩემი ყელის გასწვრივ ჰკიდა.

თქვენ ჩაიბარეთ

გიორგი ლობჯანიძეს

დღეა მზითა და მთვარით ნაფერი,
რამდენჯერ ვუთხარ აპრილს ქება და
თქვენ ჩაიბარეთ სუყველაფერი,
თუ რამ მქონდა და თუ რამ მებადა.

მე ცივი წვიმა მისველებს სახეს,
ყველა ზარდახშა უკვე დაცლილა,
ხვალ სხვას გადაჰკრას ბედმა ის სახრე,
მე რომ არასდროს არ ამაცილა.

არა მქონია სკიპტრა და ტახტი,
არც დაველივარ მათზე ოცნებას,
მე თქვენ გიტოვებთ ველ-მინდვრებს ქართლის
საალერსოდ და დასაკოცნებლად.

ვერა ვთქვი სიტყვა მათი საფერი,
ვერ განვასრულე გულის ნება და
დღეს თქვენი იყოს სუყველაფერი,
რაც კი მქონდა და რაც კი მებადა.

ბასაუბრება ჯარჯისთავს

დრო მეც იმგვარად გამრჯიდა,
ცაზე რო მთვარე ქანაობს,
სხვათ არც მე ვსჯერდი, ჯარჯივ და
მათთვის მეც მოვცდი ამაოდ.

ცის კიდის ვგრძნობდი შერხევას,
ქარის ვუსმენდი ნანინებს,
ლექსს ხო მეც დავკარ ბერხენსა,
ჭალა ხო გავატანინე.

პირ ვამყოფინა

შენს თვალეებს,
ვნების ცეცხლით მიღალულს,
ვუმზერდი,

ამინდს ცვლიდა ამინდი და კარგად ვგრძობდი, რომ შენს სიყვარულს ერთ სიცოცხლეში ვერ ვისწავლიდი.

დროს გაპყვა სიყრმის თავდავინყება, ქარებმა ზამთრის სუსხი მომფინეს, შენს სიყვარულს და შენს დავინყებას ერთი სიცოცხლე ვერ ვამყოფინე.

ნ ა მ ც ვ რ ე ჯ ი

რისთვის ასწრაფდი, რისთვის ჩქარობ, თქმა რომ მოასწრო? რა უნდა თქვა განა ისეთი, დრომ ვერ წაშალოს, უამმა რომ ვერ გააცამტვეროს.

ეს გვირილები, პეპლის ჭრელი მარაოებით, ძველი თბილისის კეკლუც ასულთ არ გახსენებენ?

შენ სულ ისეთი ვინმე გიყვარდა, ვისი სიყვარულიც არ შეიძლებოდა... ნუთუ ღვთის რისხვა ზოგჯერ ასეც გადმოდის კაცზე.

სიყვარულზე წერა ან ლაპარაკი ჩემთვის სისხლის ამონჩქრევას ჰგავს, თითქოს ვარვარა ნაკვერჩხლები მიწვევენ ბაგეს. შეგიძლიათ, ქალბატონო, სიყვარულზე ღიმილითა და ღუღუნა ხმით რომ ისაუბროთ? ნეტავი თქვენ! ნეტავი თქვენ!

კარი ისეთ ქალს უნდა გაულო, რომელსაც შენ თუ არ ეყვარები, მანდ ვისთან მოდის, ის რომ მაინც ეცოდინება.

შენი თვალებიდან აფრენილი ლურჯი ფრინველი იმ დროდან დღემდე ჩემი სულის ტბებში დაცურავს.

ჩვეულებრივიდან არაჩვეულებრივად გაქციე, როცა შეგიყვარე.

სიცოცხლე ერთადერთი გზაა, რომლითაც უკან ვერ დაბრუნდები, მარტოდენ წინ, სიკვდილისკენ უნდა იარო.

სიძულვილსაც თავისი ასაკი აქვს, როგორც სიყვარულს. ბევრს რომ ნახავ და ბევრს რომ გამოსცდი, სიძულვილიც შემოგესწავლება.

ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ „ნატურის ხეს“, ქართული სიტყვის რა ბრწყინვალე გამოფენაა...

ყველას სულშია შემონახული თითო ლოცვა და თითო წყევლა. დედის ძუძუებს კი მხოლოდ ლოცვა შეუძლიათ და სამყაროს სიმშვიდეც ამ ლოცვაზე დგას.

მანანა ქურდაძე

ჩემს ზამთარს როგორ ყინვის სუნი აქვს, ხილვები დააქვს თვალის გუგებით და ზარმაც ფანტელს, ცივს და უნიათს, ხელისგულები ხაფანგს უგებენ.

დღეს ძალი ვნახე, დიდი და თეთრი, ამოთეთრებული თვალებით, მერე ბავშვმა მითხრა (ჩემმა თეომ), თოვლია, ყინავს, სულში ჩაუგუბდა ქარები? მე ეკლესიიდან მოვდიოდი, მომდევდა, შიოდა უთუოდ, მე მეცოდებოდა და თან მეშინოდა, შევცოდე, აქ რაა სათუო. მერე ბავშვმა მითხრა (ჩემმა თეომ), რით ვერ მოიფიქრა სადარბაზოში შემოსვლა. მე კი სიბრაღულთან ბრაზი მღრნიდა, მას ხომ ძალის ტყავი ემოსა... ეს ყველაფერი, ხო, დღეს მოხდა, თეთრია ის ძალი, თეთრი თვალებით, მე ეკლესიიდან მოვდიოდი აღსარება ჩანაბარები.

შროშანები

შროშანები შარავ ზიდან მოშორებით შრიალებენ, შეშლილ გულებს შლეგი თრთოლვით ახელებენ, განთიადი მზის სხივებით მოქარგული, აირეკლა ჭრელა-ჭრულა მნახველებით. ცისარტყელამ წვიმის წვეთი, გამოლმიდან გაღმა კიდეს გადააბა, ხელგაშლილი და გულაღმა მდებოს ვერთვი და შროშანი სიმორცხვისგან თვალებს ნაბავს.

ახლა ოთხ კედელში მნიფდებიან გულზე გამობმული კუნძულები, სული უმძიმდებათ, მონყდებიან, არიან სხეულით უძღურები. გვანან ეშვებიან ბეგემოტებს, ერჩიან სუყველას და თან არაფერს, სიკვდილის კარიბჭეს დარაჯობენ,

სიკვდილის აკლდამებს დარაჯობენ, სიკვდილის სარდაფებს დარაჯობენ და მყრალი ხახა აქვთ დაღებულნი, რომ შთანთქან ნუთები, საათები, ღმერთო, შენ უშველე დაღებულებს, ღმერთო, მოახედე ყველა თვალი, ღმერთო, მოაბრუნე ყველა გული... „გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ჩადექ საგულესა“. ისევ ოთხ კედელში მნიფდებიან გულზე ამოზრდილი კუნძულები, გვანან ეშვებიან ბეგემოტებს, სულით და სხეულით უძღურები. მინა ჭამს ყველაფერ უნაყოფოს, მინაში თვალებამდე ჩალპობილებს, ღმერთო, შენ უშველე უნიათო სხეულებს, სულები აპოვინე. გაძლა ეშმაკი და განზე გადა, გვამი დააპურა, ამოივსო, ისევ წარღვნაა და ისევ ომებია, ღამა საბაქთანი, უფალო იესო! ღამა საბაქთანი, უფალო იესო!

მე შევინახე ჩანაწერი ტვინის მარჯვენა ლაბირინთში, იქ მნიფდება და იბადება წარმოსახვითი კაფსულები. ვყლაპავ ხან წყლით და ხშირად ცრემლით.. სავსე მაქვს ცხოვრება ლაფსუსებით. აქ არის ღმერთიც და დრო და დრო (უფრო ხშირად) მიბიძგებს ვიყო კაცთმოყვარე და როგორც მუცელი სანოვაგით, ტვინი ფიქრებით ამოვყორე. გავუშვი მფრინავი მანქანები, ღრუბელს ჩიტებივით მოსდებიან და მსგავსად ერთგული დაქალების, მათი მონაჭორიც ბოღვებია... და ტვინის მარჯვენა ლაბირინთში (როცა მარცხენას სძინავს ტკბილად), ხდება შეუცვლელი პროცესები, ამ დროს ისევ ბლუის ჩართული მაგიდაზე ჩემი პროცესორი, სავსეა მონიტორი მეგობრებით, იმედი ციმციმებს მწვანე შუქით, მონაცვლეობით კი, მაგრამ მაინც... და ჩემი ტვინის ყველა სფერო, ახლა ემსგავსება ერთ დიდ საიტს.



ბეპერი ყორანი ზანტად დატრიალებდა თავს გაყვითლებულ, ხრიოვ ტრამალებს. დაქანცულ ფრთებს თითქმის არ იქნევდა, ოდნავი რხევით იჭერდა ცხელი ჰაერის მიწიდან ამომავალ ტალღებს და ზედ დასრიალებდა აუჩქარებლად. ძალა თითქმის არ შერჩენოდა. რა ხანია, არაფერი ეჭამა. გვალვის სეზონი იდგა და მზისგან გადაბუჯულ მინდვრებში თითქმის არანაირი სიცოცხლე არ ჭაჭანებდა. ეგეც რომ არა, მზერაც აღარ ქონდა ძველებური და გახუნებულ მინაზე თავის დანახვას ვეღარ ახერხებდა. უფრო იოლად მოსახეთიბელი საკვები სჭირდებოდა. უნდა მოეთინა, იცოდა, ოდესმე ბედი გაუღიმებდა. ტრიალ მინდორზე ეულად მდგარ ხესთან ადამიანები შენიშნა. ეს კარგი ნიშანი იყო. ადამიანები თითქმის ყოველთვის ტოვებდნენ რამე შესაქმელს. დროის ამბავი იყო, მაგრამ დრო ცოტა ჰქონდა. უკანასკნელი ძაღლები ენურებოდა, ცოტაც და შიმშილისაგან ღონეგამოცლილი ქვასავით დაენარცხებოდა სწორედაც რომ იმ ადამიანების ფეხებთან, ვისგანაც ახლა ხსნას ელოდა. მაგრამ ჯერ ითმენდა, დიდ წრეებს არტყამდა და ელოდა...

ნიჩაბი ხრიალით თლიდა გამომშრალ მინას. ორმოს კედლები საოცრად სწორი და თანაბარი გამოდიოდა. „უცნაურია, თურმე ჯერ კიდევ მაქვს სურვილები, რომელთა ასრულებაც შემძლია“ — უკვირდა კლინტონს. თითქოს ყოველივეს უნდა დაეკარგა მნიშვნელობა, მთელი სამყარო ერთ დიდ უაზრობად უნდა გადაქცეულიყო უკვე, მაგრამ როდესაც ნიჩაბი ზუსტად ისე ჩამოჭრიდა მინას, როგორც სურდა, თავისდაუნებურად კმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდა. ნამით შეჩერდა და ნიჩაბს დაეყრდნო. „ნეტავ, როგორი იქნება ჩემი უკანასკნელი ასრულებული სურვილი? — გაიფიქრა, — აი, მაგალითად, იქნებ და ზუსტად გასროლის წინ უკანალი მომეფხანოს? მოვიფხან და ვიტყვი, აი, მსურდა და ავისრულე კიდევ. ცხოვრება გრძელდება და როგორც ყოველთვის რაღაც გამოდის, რაღაც კი ვერა, ან ეგებ და ბოლო წამს სიომ წამოუბეროს უეცრად და ოფლიან შუბლზე მისი შეხება მეამოს... აგე, უკვე ისეთი რამებიც კი მისრულდება, რაც არც კი მისურვია...“ გაეღიმა და ნიჩაბის ყურს ძალუმად დააჭირა ჩექმის ძირი.

„ან ეს ჩექმა რატომ არ გამხადეს აქამდე? ეტყობა იციან, რომ მაგის გარეშე თხრას საუკუნეს მოვანდომებ და სად აქვთ ამდენი ცდის თავი? შუბლში ტყვიას რომ მითავაზებენ, მერე გამაძრობენ. ჩექმას ვინ ჩივის, ესეცა თუ შემაჩვენებ, ეგაა საკითხავი, ესენი ხომ ველურები არიან. ვერ მოგართვით, ყველაფერი ასე მალე არ მოხდება, ამ სიამოვნებას არ გაჩუქებთ, ჩემი საფლავია და საგულდაგულოდ გავთხრი. არსად მეჩქარება. თანაც ბავშვობაში მამამ დამარიგა, რასაც უნდა აკეთებდე, კარგი საქმე იქნება თუ ცუდი, ხელს თუ მოკიდებ, საფუძვლიანად გააკეთეო. ჰოდა, ამ საქმესაც ბოლომდე მივიყვან“.

— ჰა, მოუჩქარე! — შემოსძახა იქვე ხის ჩრდილში ჩამომჯდარმა თოფმომარჯვებულმა კაცმა, თითქოს მის აზრებს კითხულობდაო, — ღამედე გელოდო?! — და თუ გინდ, სულ ნუ დამელოდები, ნითურო, განა კი გიჭერ? ნადი გაქუსლე, ბედს ენეი, — უპასუხა თავაუწევლად.

— სწორედაც რომ სახუმაროდ გაქვს საქმე, აი. დროზე გათხარე, თორემ ახლავე დაგახლი და აქ დაგაგდებ ყორნების საჯიჯგნად.

— კაი ერთი, ნუ მაშინებ, რა დიდი განსხვავებაა, ყორნები დამკორტნიან თუ მატლები დამხრავენ? თქვენი თავი გადარდებთ, სუნმა რომ არ შეგანუხით, თორემ არც ამდენს დამაცდილი.

— მიდი, იმუშავე, ბევრს ნუ ლაპარაკობ, — ცალკებად გამოსძახა თოფიანმა, რადგან ამ სიტყვების პასუხად რიგიანი ვერაფერი მოუვიდა თავში.

კლინტონმა თავი ასწია და გავარვარებულ ზეცას შეხედა, ყორნები მართლაც ზანტად დასტრიალებდნენ თავს — ეგენი სიკვდილის სუნს მუდამ პირველები გრძნობდნენ. „არც ამათ გავახარებ“ — გაიფიქრა გულში და თხრა გააგრძელა.

ის ამ მხარეში დაიბადა, აქ გაატარა მთელი ცხოვრება და ახლა აქვე უნდა დაესრულებინა არც ისე გრძელი და არც ისე

დალხინებული სიცოცხლე, რომელსაც თითქოს დიდად არც არასოდეს აფასებდა, მაგრამ ახლა კი ძალიან დაენანა.

ეჩვენებოდა, რომ ჯერ ძალიან ადრე იყო, რაღაც ნაჩქარევად ხდებოდა ყოველივე. წინ კიდევ ბევრი რამე ელოდა თითქოს. მას ხომ მუდამ შეელოდა ჯადოსნური სიტყვა — ოდესმე. იმ „ოდესმეში“ ცხოვრობდა ყოველივე კარგი — ოდესმე ყველაფერი უნდა შეცვლილიყო, ოდესმე ყველაფერი უნდა მოსულიყო, ოდესმე ისეთი იქნებოდა, როგორც თავი ოცნებებში წარმოედგინა, ოდესმე ამ სტეპებს დატოვებდა, ქვეყანას ნახავდა, ბედს ენოდა და მერე ისევ აქ დაბრუნდებოდა ბედით ხელდამშვენებული ყველას დასანახად... ახლა კი გაირკვა, რომ „ოდესმე“ აღარ მოვიდოდა. აღარასოდეს მოვიდოდა. ეს ნყვეტდა გულს ყველაზე უფრო.

მისი სახლი იქვე მდინარის გადაღმა იდგა. თუმცა სადღა იდგა, მის ადგილას, მხოლოდ მბოლავი ნანგრევებიღა დარჩენილიყო. მისთვის აქ ყველაფერი ნაცნობი და ძვირფასი იყო. აი, თუნდაც ეს ხე, რომლის ძირსაც ახლა მისი სიკვდილი ჩამომჯდარიყო. ჰო, მისი სიკვდილი, იმიტომ, რომ ამ კაცს უნდა მოეკლა, როგორც

იყო, თუმცა ფასად სიცოცხლე ედო. ერთ დღესაც მათ ეს მწირი განძი ველ-არ იპოვეს, ჭირმა მოსპო მოსავალი და მათ მხარეში დიდი შიმშილი მოვიდა. სახლში კი, როცა შიმშილი სტუმრობს, მასპინძლის ადგილი აღარ რჩება. ბევრმა აჭედა კარ-ფანჯარა და ბედის საძიებლად შორ გზას დააგდა. ისიც მათ გაჰყვა და ამ ქვეყანაში ამოყო თავი ყოველად უპოვარმა. ასეთ ყოფაში კი ჯარი, უფასო კვება, ტანისამოსი და სულ მცირეოდენი ხელფასი მისწრება იყო მისნაირი ადამიანისთვის. ასე აღმოჩნდა ამ ომში, თორემ საერთოდ არ დაგიდევდათ, ვინ ჩრდილოელი იყო და ვინ სამხრეთელი. საითაც ეტყოდნენ, იქით ნავი-ილოდა, ვიზეც მიუთითებდნენ, იმას ესროდა — ეს იყო ახლა მისი კარტოფილიც, განძიც და ხსნაც.

ამ კაცის მოკვლა კი დიდად არ ეპიტნავებოდა. ბრძოლა მაინც სხვა ამბავია — ან საერთოდ ვერ ხედავდა, ვის ესროდა, ანდა ისეთს ესროდა, ვინც თავად მას უმიზნებდა. აქ კი ადამიანი უიარალოდ იდგა მის წინ. არც იცოდა, ვინ იყო, ან რა დაეშავებინა. ჩვეულებრივი კაცი, რაღაც-ით მისი მსგავსი კი. ძნელი იყო ყოველივე ეს. ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა. უნდო-



ცოტნე ჩიქოვანი
ოდესმე

კი საკუთარი საფლავის თხრას დაასრულებდა. ჩრდილოელები ტყვეებს აღარ იყვანდნენ. ახალი ბრძანება ჰქონდათ. მათი შენახვა არ შეეძლოთ, რადგან საკვები თავდაც არ ყოფნიდათ.

რამდენჯერ ამძვრალა ამ ხეზე ბავშვობაში, როცა ინდიელობანას თამაშობდნენ. მის დაბურულ ტოტებში ჩამალული მოულოდნელად დაუშენდა ხოლმე დაგროვილ რიყის ქვას იანკების კავალერიას...

თავის დროზე აქ მართლა ინდიელები ცხოვრობდნენ, სანამ ჯარმა და ფერმერებმა ისინი ბოლომდე არ განწყვიტეს. ამ ადგილს განსაკუთრებით ეტანებოდა ყველა ჯურის ავაზაკი, რადგან ხმა გავარდნილიყო, აქ ინდიელებს თავის დროზე დიდძალი განძი დაუმარხიათო. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ჭორებს მთავრობა ყრიდა, ქვეყანას ეს უკაცრიელი ადგილები უფრო სწრაფად რომ აეთვისებინა. ხალხი განძის საძიებლად მოდიოდა, დროებით სახლებს იშენებდა იმ იმედით, რომ ოდესმე აქედან მდიდარი ნავიდოდა, შემდეგ კი ხელმოკარული და უკაპიკოდ დარჩენილი ადამიანები აქვე რჩებოდნენ სამუდამოდ და ამავე მიწაში იმარხებოდნენ, რომელსაც მთელი ცხოვრება თხრიდნენ განძის ძიებაში.

თავდაც ხომ ასეთი განძის მაძიებლის შთამომავალი იყო.

„სასაცილოა, — ფიქრობდა კლინტონი, — ჩემს წინაპრებს სწორედ რომ მინის თხრაში ამოხდათ სული და აი აგე, მეც სიცოცხლის ბოლო ნუთუბში იგივე საქმე მარგუნა იღბალმა, მაინც რა ყოფილა ეს მემკვიდრეობა“.

მემკვიდრეობა კი ხის ძირას მჯდარ „მის სიკვდილსაც“ მსგავსი ქონდა. კლინტონმა არ იცოდა, რომ თოფიანის წინაპრებსაც ცხოვრების ნახევარზე მეტი მინის თხრაში გაეტარებინათ, ოღონდ ამ ადგილიდან ძალიან შორს, ირლანდიის ხასხასა მდებარეობდა. თუმცა ისინი ოქროსა და ძვირფას ქვებს არ ეძებდნენ, მათი განძი მხოლოდ და მხოლოდ კარტოფილი

ისევ ხის ქვეშ ჩამოვდა. სურდა, არაფერი შეემჩნია. არადა რა მტკივან ადგილას დაჰკრა ახლა ამ მართლა მოსაკლავმა. თავისი სამშობლოდან თუ კი რამ მოგონება გამოჰყოლოდა, სწორედაც რომ იმ გოგოს სახე იყო. ის გულდამწყვეტილი მზერა, რომელიც გემბანზე მდგარს აცილებდა. იმ ხელების სითბო, მის მხრებს რომ მოეჭიდნენ გამომშვიდობებისას და იმ ტურების გემო, მის ტურებს რომ შეეხნენ მოულოდნელად.

ეჰ, ვინ იცის და სადღა ახლა მართლა? უფრო კი — ვისთანაა? ვის მხრებს ეხება? ვის ტურებს კოცნის? სამი წელი გავიდა. დიდად საეჭვოა, ისევ იმ ნავსაგურთან იდგეს და მას ელოდეს. ამ მხარე ფიქრებიდან ისევ კლინტონმა გამოიყვანა.

— თუმცაღა ტყულად ნუ იდარდებ, მაინც ველარასოდეს იხილავ. შენ ხომ უკან აღარ დაბრუნდები. გახედე ამ უკიდევანო სტეპებს, აქედან ვეღარ გააღწევ, გამოსავალი არ არის. შენც ჩემსავით აქ დაიშარხები. საფლავი თუ გელირსა საერთოდ. გგონია, ვინმე იფიქრებს შენზე? არა, მეგობარო, შენ მათთვის მხოლოდ ხარჯი ხარ. ხარჯი ხარ ცოცხალი და ხარჯი ხარ მკვდარიც. თავს არავინ შეინუხებს, უბრალოდ გაგხდიან, რაც მოეწონებათ და დაგტოვებენ ტურების საჯიჯგნად, — დაასრულა კლინტონმა და ნიშნის მოგებით გახედა ირლანდიელს, თუმცა მის სახეზე ვერანაირი ნუხილი ვერ ამოიკითხა.

ირლანდიელი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ამ დიდი ტირადით სიკვდილიმსგავსა მას სიყვარულზე მწარე ფიქრები გაუფანტა, სიკვდილზე ფიქრი კი არ ამინებდა. სიკვდილს ბავშვობიდან ნაჩვევი იყო. არაერთხელ უნახავს შინ თუ გარეთ და არც ის ადარდებდა დიდად, როგორი საფლავი ერგებოდა — ეს მინა მისთვის მაინც უცხო იყო.

კლინტონი უმაღლეს მიხვდა, რომ სწორი გეზი ვერ აირჩია და სასწრაფოდ შეცვალა მიმართულება.

— მერე კი საშინელ სამსჯავროზე წარსდგები. ჯოჯოხეთი გელის, მეგობარო. ფიქრობ, ღმერთი გაპატიებს სხვის ომში ჩაბმას? ფულის გულისთვის უდანაშაულო ადამიანების ხოცვას, რომლებიც საკუთარ სამშობლოს იცავენ მხოლოდ? ან თუნდაც უიარალო კაცის დახვრეტას შეგინდობს უფალი? — ამ სიტყვებით კლინტონმა ბარი მაიაგდო, ორივე ხელი გამაშრა და მკერდი მიუშვირა ირლანდიელს, — მესროლე, ძმაო, ოღონდ იცოდე, იმ ქვეყნად კუპრის ქვაბში მოიხარშები.

ეს დარტყმა უკვე მიზანში მოხვდა. სიკვდილის არა, მაგრამ ღმერთის ირლანდიელს წამდვილად ეშინოდა. ჯოჯოხეთი მისთვის საკვებით რეალური რამ იყო. ბავშვობიდან სულ ამინებდნენ და მის არსებობაში ეჭვი არც არასოდეს შეპარვია. მას მერე, რაც აქ მოხვდა, ღამე არ გასულა, ამ ამბავზე არ ეფიქრა.

ხშირად საზარელ სიზმრებსაც კი ხედავდა. რამდენი ცვადა, ვერაფრით მონახა თავის გასამართლებელი საბუთი, რომელსაც ღმერთს წარუდგენდა სამსჯავროზე მოხვედრილი. ხან ფიქრობდა, თავს შეეცოდებ — „ხომ იცი, უფალო, რარი გიჭირდა“, ხან კი თავს ისულელებდა — „ასე მეგონა, კეთილი საქმისთვის ვიბრძოდი, შევცდი ყმანვილი კაცი, შემდეგ“ — მაგრამ გულის სიღრმეში კი ხვდებოდა, რომ ღმერთის გაცურება არც ისეთი ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო და ამიტომ ცდილობდა, საერთოდ არ ეფიქრა იმ საშინელ სასჯელზე, რაც იმ ქვეყნად ელოდა. ამ კაცმა კი ახლა სწორედ ეს გაახსენა. მოსაკლავია, აბა, რა არის?! ირლანდიელი უცებ წამოხტა, ხელგამაღილი კლინტონთან მიიჭრა და სიტყვის უთქმელად უთავაზა თოფის კონდახი ყაბში.

კლინტონი გულაღმა დაეცა, შემდეგ ზანტად წამოვდა და დასისხლიანებულ სახეზე ნეტარი ღიმილი გამოეხატა. თოფჩაბლუჯული ირლანდიელი თავს ედგა და გაოგნებული დასცქეროდა. კლინტონი კმაყოფილი იყო, მიადნია საწაფელს, გაახელა, გააცოვა, გაამწარა მოსისხლე მტერი. უიარალომ იარაღიანს ისეთი ტკივილი მიაციენა, ტყვიამ რომ დაეხალა, ალბათ ასე ვარ ატკენდა. ის მართავდა ახლა ვითარებას სიცოცხლის ბოლო ნუთუბში, ის იყო მთავარი გმირი და ამ პატარა ტრაგედიის მეფე, უშველებელ ტრამალებში ჩაკარგულ ეულ სცენაზე რომ ვითარდებოდა.

ირლანდიელი გაბრუნდა და ისევ ხის

ქვეშ დაჯდა. კლინტონმა კი კვლავ ბარს მოჰკიდა ხელი.

ცოტა ხნით ორივე თავის ფიქრს მიეცა. ირლანდიელს ისეთი გრძობა დაეუფლა, უნებლიედ რამე ძალიან უგემურს რომ გადაეცადა კაცი და გულზე მძიმედ დაადგება. ამ დარტყმამ არანაირი კმაყოფილება არ მოუტანა. პირიქით, კიდევ უფრო წაუხდინა ხასიათი. რისთვის დაარტყა ამ კაცს? სიმართლისთვის მხოლოდ, და განა კი ამას ღმერთიც ვერ დაინახავდა? აგე, კიდევ ერთი ცოდვა დამატა მის ისედაც ცოდვილ ყოფას. ოჰ, ნეტავ მალე დამთავრდებოდეს ეს ამბავი ომი. რა უნდათ, რას ხოცავენ ერთმანეთს? თუმცა რაღა ერთმანეთს? თავად არაა ამ საქმეში ჩართული და საკუთარი ხელით არ ხოცავს ადამიანებს?! დაილალა, ძალიან დაილალა.

კლინტონის დროებითი კმაყოფილება კი ისევ სევდამ შეცვალა. კაი, ჰო, გამწარა ეს უბედური, მოუტანა რაღაც უსიამოვნება, მაგრამ საბოლოოდ მაინც ის გამოასალმებს სიცოცხლეს, ჩააგდებს ამ გამომშრალ საფლავეში, მთავრის ხრიკი მინას. მერე კი წავა, თავის გზას გაუყვება. ვინ იცის, მშვენივრადაც გააღწიოს ამ სტეპებიდან სალსალამათმა და დიდხანსაც იცხოვროს დალხენილად.

და ისევ წამოიწყო. — მაგრამ, განა კი დასანანია, რომ მალე ჩაძალდები? შენი ამქვეყნიური ყოფა რაღაა, ირლანდიელი? რით განსხვავდება ჯოჯოხეთისგან? არაფერით. რა გინახავს ცხოვრებაში? ბავშვობიდან მხოლოდ შიმშილი, სიცივე, ტკივილი, შიში. ტანჯვის მეტი არაფერი. რაღაცის იმედი თუ გქონდა, ანდა გაქვს ჯერ კიდევ, უარესი შენთვის, იმიტომ, რომ არაფერია ამ ქვეყნად იმედის გაცრეფაზე მწარე, — აქ კლინტონს საკუთარი „ოდესმე“ გაახსენდა და კიდევ უფრო დასევდიანდა, — ჯობდა, არც კი გეოცნება, იმიტომ, რომ ეგ შენი ოცნებაც შენთან ერთად დაიმარხება აქ, შენთან ერთად დაჯდებიან ყვავ-ყორნები და შენთან ერთად დალბება ამ მიწაში. და ღმერთის წინაშე როცა წარსდგები, ერთი რამ შესწივლე მხოლოდ. ღმერთო, რისთვის გამაჩინე? მხოლოდ იმისთვის, რომ ამქვეყნიური ხანმოკლე ტანჯვა იმქვეყნიურ სამარადისო წამებაზე გამეცვალოს?!

კლინტონი ირლანდიელისაკენ არ იყურებოდა, თავისთვის დუღუნებდა ამ ყველაფერს და იმედი ჰქონდა, რომ კიდევ უფრო წაუხდენდა გუნებას მომავალ მკვლელს. მისთვის შეხედვა და ამ მზის გადამონება კი არ სურდა — ვინ იცის. მის სახეზე კვლავ გულგრილობა ამოეკითხა? სწორსაც შევებოდა. ირლანდიელს თითქმის აღარაფერი ესმოდა მისი, წინა მონოლოგებიც ეყო, რომ განცდებისგან მთლიანად დაცლილიყო. შორეული იავნანასავით ჩაესმოდა სიკვდილისაგან დუღუნით და მშვიდად ელოდა იმ წუთს, როცა ამ ყოველივეს საკუთარი ხელით დაუსვამდა წერტილს. მიუხედავად იმ ბოლმისა და შხამისა, რომელსაც კლინტონი ასე მონდომებით აფრქვევდა, ირლანდიელს უკვე, ცოტა არ იყოს და, მოსწონდა კიდევ ეს კაცი. აოცებდა ის სიმხნევე და თავდაჯერებულობა, სიცოცხლის ბოლო წუთებში რომ ავლენდა ეს ადამიანი. იმ ვითარებაში, სადაც სხვა მუხლებაკანკალებული, ხევწა-მუდარასა და ტირილს მოჰყვებოდა, ის ამაყად გამართულიყო ნელში და ცაქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ნამდვილად დასაფასებელი ამბავი გახლდათ და ირლანდიელიც სათანადოდ უფასებდა.

სტეპებიდან გრილმა ნიავმა წამოუბერა. და ეს ამბავი მსხვერპლსაც და მკვლელსაც ერთნაირად ეამათ, ამ ბოლო წუთს ერთი საერთო სურვილიც კი აუხრულდა ორივეს. ირლანდიელს თვალი არ მოუხუჭავს, მაგრამ, ფაქტობრივად, ეძინა. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, მაგრამ მერე რაღაც შეიცვალა და ამან გამოაფხიზლა. უეცრად ერთფეროვანმა დუღუნმა ჯერ ცოტ-ცოტა ბორძიკი იწყო, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა და სრული სიჩუმე გამეფდა. ირლანდიელმა ამ ხნის მანძილზე პირველად შეხედა კლინტონს და კვირვებით. ის გაშეშებული იდგა და სახეზე დაბნეული ღიმილი აღებჭოდდა. კაცი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მხნეობისა და სიმშვიდის მაგალითად გამოდგებოდა, ახლა სრულიად წამხდარიყო. ბოლომდე



განდგურებული ჩანდა. „გაათვითცნობიერა, როგორც იქნა, რა მდგომარეობაშია“ — ეამა ირლანდიელს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კლინტონი აღარ თხრიდა. — ჰეი, შენ, ღორისშვილო! აბა, იმუშავე ცოცხლად, თორემ სწორედაც რომ ცოცხლად დაგმარხავ, — იხუმრა თავის ჭკუით. მისდა გასაკვირად, კლინტონი უმალ დაემორჩილა, თხრა დაიწყო, მაგრამ რაღაც ძალზე უნიათოდ. ოფლი წურწურით სდიოდა და საშინლად ქოშინებდა. დროდადრო ირლანდიელს გახედავდა ხოლმე დაბნეული ღიმილით და თავს უმალ ისევ დაბლა ხრიდა.

— ხომ ხედავ, არც ისეთი ვაჟკაცი ყოფილხარ, როგორც თავი მოგქონდა, — კმაყოფილი ლაპარაკობდა ირლანდიელი, — გგონია, ვერ ვხვდები, რა ხდება? თავდაც მშვენივრად იცი, რომ იმქვეყნად შენც ჩემნაირი ბედი გელის. შეგეშინდა, არა, ძმაო, სიკვდილის? შეგზარა არა ჯოჯოხეთმა?!

მაგრამ კლინტონს სიკვდილის არ შეშინებია, სულ სხვა რამემ დააბნია, შეაცბუნა და შეზარა კიდევ. მან ჯოჯოხეთი ჯერ კიდევ სიკვდილამდე იხილა, ის, რაც ადრე სამოთხედ წარმოედგინა, რაზე ოცნებებოდა არაერთი ღამე გაუთენებია თეთრად, ახლა უეცრად მის წინაშე ჭეშმარიტი ჯოჯოხეთის სახით წარსდგა. როდესაც ბარმა პირველად გაიჩხრიალა ასე მჭახედ ორმოს ფსკერზე, იფიქრა, ქვას გამოედო, მაგრამ ეს რაღაც სხვანაირი ჩხრიალი იყო. უფრო რბილი და ყრუ. კლინტონმა ქვას გვერდები შემოუთხარა, მერე ერთი მძლავრად ამოჰკრა ბარი და უეცრად მის ფეხებთან მოეღვარე ოქროს ზოდი ამოგორდა. თვალებს არ უჯერებდა, არ უნდოდა, ზარავდა ამის დაჯერება, მაგრამ ეს ნამდვილად ოქრო იყო. თავისდაუნებურად ხელი სტაცა და ფარაჯის უბეში შემალა, მერე ირლანდიელს გახედა უმალ. მისდა სასიხარულოდ, ის ზედაც არ უყურებდა. მაგრამ ამან მხოლოდ წამიერი შვება მოჰგვარა. ერთხანს ასე იდგა სრულიად გაოგნებული. ზოდის მიერ დატოვებული პატარა პირდაფრენილი ორმოდან კი ოქროთი სავსე უფსკრული მოსჩერებოდა და თვალს ჭრიდა ენითაუნერელი სიკაშკაშით. ეჭვი არ იყო, ინდიელების განძს მიაგნო. მართალი ყოფილა ეს ყველაფერი. ის, რასაც ათასობით ადამიანი ამდენი წლის მანძილზე ტანჯვანამებით, სიცოცხლის ფასად ამოად ეძებდა, ახლა მის ფეხებთან იყო გართხმული მორჩილად. ო, ღმერთო, რატომ?! რისი გულისთვის? რის გამო ასეთი სასტიკი დაცინვა, რა დააშავა? რით დაიმსახურა?! აი, მისი სიზმრები, აი, მისი ეგზოტური სანუკვარი „ოდესმე“! და ეს ყველაფერი ახლა მის მოსისხლე მტერს უნდა დარჩეს?!

არააა! არ გამოვა! ვინ იცის, ღმერთი ეხუმრა ასე მწარედ თუ ეშმაკი?! დაე, თუნდ ორივე ერთად, მაგრამ კლინტონთან ასეთი ხუმრობა არ გავიდოდა. ვერაფერს მიიღებენ! აი, თურმე როგორი ყოფილა მისი უკანასკნელი სურვილი. ასეთი მკაფიო, ნათელი და მწველი

სურვილი ცხოვრებაში არასოდეს ჰქონია. ეს ოქრო მასთან ერთად დაიმარხება სამარადისოდ.

სამარე ჯერ ნახევრამდეც არ იყო გათხრილი. კლინტონმა ოქროსფრად მოეღვარე უფსკრულს ცოტაოდენი მინა მიაყარა. შემდეგ თხრილიდან ამოხტა, ნიჩაბი იქვე მინას დაარტყო და გულხელდაკრეფილი გაიფრიალა.

ირლანდიელს ვერაფერი გაეგო. ფეხზე წამოიჭრა და ერთხანს ასე მდუმარედ მისჩერებოდა.

— თხარე! — შეუბღვირა ერთი. მაგრამ კლინტონი არ იმძრეოდა.

— თხარე-მეთქი, ვის ვეუბნები! — დაიღრიალა ირლანდიელმა.

— შე ნითურო მამაძაღლო, გგონია, გასიამოვნებ სიკვდილის წინ? ერთ ნიჩაბ მინასაც აღარ ამოვიღებ. თუ ასე გინდა, მოეთრე და შენ თვითონ გათხარე!

— გესვრი, — ჩახმახი შეაყენა ირლანდიელმა.

— ვერ მესვრი, შე მხდალო! კაცი რომ ყოფილიყავი, შენს გაბოზებულ შეყვარებულს მიხედავდი. რისი თავი გაქვს? მოდი, აბა, თუ მაგარი ბიჭი ხარ. მესროლე, სანამ ჯოჯოხეთის ჭიშკარს გაგიღებენ ეშმაკები, — კლინტონმა გადაწყვიტა, რაც კი რამ შხამის გადმონთხევა შეეძლო, ერთად გადმონთხია ირლანდიელის თავზე, რომ საბოლოოდ გაეხელებინა და ეიძულებინა, ესროლა. აუცილებლად ისე უნდა მომკვდარიყო, რომ ეს ორმო გაუთხრელი დარჩენოდა.

ირლანდიელს კი მისი მოკვლა ჯერ არ შეეძლო, სამარე ბოლომდე უნდა გაეთხრე ვინებინა. იფიქრა, კიდევ ერთს ვუთავაზებ და მოჭკვიანდებო. კონდახმომარჯვებული მიიჭრა მასთან, მაგრამ არც კლინტონი იყო ნაკლებად მკვირცხლი.

თვალისდახამხამებში დასწვდა მინაში ჩარჭობილ ბარს და ჯერ კიდევ ორიოდ ნაბიჯში მდგომი ირლანდიელისაკენ მთელი ძალით გაიქნია. ბარის ბასრმა პირმა მხუილით გასერა ცხელი ჰაერი და ზუსტად მისწვდა ირლანდიელის ყელს. სისხლმა ისე იფეთქა, რომ კლინტონის ფარაჯაც კი დაასველა. ირლანდიელმა ცალი

ხელი ყელზე იტაცა, მეორეთი კი თოფის სასხლეტი დაუშვა. ტყვიამ კლინტონს მკერდში უწია, შეტორტმანდა და ნახევრადგათხრილ სამარეში ჩაემხო პირქვე, წამიც და, ზემოდან სისხლში ამოსვრილი ირლანდიელი დაეცა.

ირლანდიელი მხოლოდ რამდენიმეჯერ შეტორტმანდა. კლინტონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ბოლო ძალები მოიკრიბა და ორმოს ფსკერზე დარჩენილ პატარა ღრმულს ორივე ხელით მიაყარა მინა.

აი, ბოლო ასრულებული სურვილიც. მისი „ოდესმე“ ქვეყნად არავის დარჩა. კლინტონის სახეზე ღიმილი გაშეშდა...

ორიოდ საათის მერე მოსულმა კაპრალმა და რიგითმა ნახევრად გათხრილ სამარეში ორი ერთმანეთს თითქოსდა ჩახუტებული სხეული აღმოაჩინეს.

— ვამბობ, ამ ახალბედებს ამისთანა საქმეებს ნუ ანდობთ-მეთქი და არავინ მისმენს, — ყოვლისმცოდნე კაცის თავდაჯერებით თქვა კაპრალმა, — ვინაა ეს? გვარი ხომ არ გახსოვს?

— არა, სერ, ირლანდიელია.

— ანკი რაღა მნიშვნელობა აქვს?! ამ სულელურ ომში დალუპული მორიგი სულელია მხოლოდ.

— დავმარხო, სერ? — ხელი მოკიდა რიგითმა ბარს.

— არა, ამის დრო სადაა?! ჩადი, გახადე ჩექმები. უნდა ვიჩქაროთ, მზის ჩასვლამდე უნდა გავიდეო.

რიგითი დაიხარა, კლინტონსა და ირლანდიელს რიგრიგობით გახადა ჩექმები და სამარის პირთან დააწყო, შემდეგ კი კლინტონის ფარაჯას დაეჯჯგურა, მაგრამ ძვრა ვერ უყო — მკვდარი კლინტონის მუჭი მას არაადამიანური ძალით ჩაჭიდებოდა.

— გაუშვი, იყოს, — ჩასძახა კაპრალმა, — ვის რად უნდა მაგის მოთხრელი ფარაჯა. წავედით, — თქვა მერე და ჩექმები ამოილილია.

რიგითი ძუნძულით დაედევნა უკან. ხრიკი მინაზე აღარავინ მოძრაობდა. ყორანმა ნელა იწყო დაშვება...



ზარი

ძველი მონასტრის ისტორიის კვლევისას მისი უნიკალური ზარების ამბობა და დავიწყებული. ახლა თითქმის მინასთან გასწორებულ სამრეკლოზე დედოზართან ერთად სხვა მომცრო ზარებიც ხმობდნენ თურმე. მათგან, განსაკუთრებით, ერთი ყოფილა გამორჩეული, დედოზართან შედარებით, რა თქმა უნდა, პატარა, მაგრამ უჩვეულოდ ლამაზი ორნამენტებითა და ხაზებით შემკული. განსაკუთრებით მშვენიერი ჟღერადობა ჰქონდა, ამბობდნენ მოხუცები და ასეთ ამბავსაც მოაყოლებდნენ: ერთ თავმოწონე აზნაურს, რომელიც უცოლოდ დარჩენილიყო, მოგვიანებით ჩვენებური მღვდლის მოხდენილი ქალიშვილი შეჰყვარებოდა. ქალიც არ ყოფილა ვაჟის მიმართ გულგრილი, მაგრამ მის ახლობლებს შეეკავებინათ თავი... ბოლოს მშვენიერი ასული ჩვენი მხარის ცნობილ დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილა. იმედდაკარგული აზნაური ზარების ჩამოსხმის ოსტატი გამხდარა. ერთხელ მას თავისივე ხარჯით ზემოთნახსენები ზარი ჩამოუსხამს და სწორედ დედათა მონასტრისათვის შეუწირავს, სადაც მისი რჩეული იმყოფებოდა...


დიდი ხნის მერე შეყვარებული აზნაურის ნაოსტატარი გამორჩეული ზარი იქვე მთის ძირას მდებარე მამათა მონასტერში გადაუტანიათ. მონასტრის ზარების შეწყობილი ჟღერა საოცარი ხმით ეფინებოდა თურმე ახლომდებარე სოფლებს. თითქმის საუკუნეს მიღწეული ადამიანები, როცა ძველ ამბებს იხსენებდნენ, ზოგჯერ იმ ზარებზეც ჩამოაგდებდნენ სიტყვას — ისე ხმობდნენ, მსმენელს სასოებასთან ერთად საამო განწყობაც ეუფლებოდა. მოშორებით, ვენახებსა და ყანებში მოშავე გლეხები უნებურად შეჩერდებოდნენ და მოკრძალებით ინერდნენ პირგვარს. ზარების ხმა ხეობებში ექოვებდა იღვრებოდა და შორეულ მთებსაც სწვდებოდა...

მერე ქვეყანა რომ გადაბრუნებულა, მონასტერში წირვა-ლოცვა შეუწყვეტიათ. საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს ტაძრის მიმდებარე ნაგებობები ახალი ცხოვრების შესაბამისი შენობებისათვის — საბჭოების, კოლმეურნეობათა კანტორებისა და სკოლებისათვის — გადაუტანიათ ახლომდებარე სოფლებში. სამრეკლოზე ჩამწკრივებული, ხმაშენყობილად მჟღერი ზარებიც წაუღიათ. ზოგი სკოლებისთვის მიუციათ, ზოგი დაკარგულა. აზნაურისული მოხატული ზარი კი ჩვენი სოფლის შუაგულში დიდ ცაცხვზე დაუკიდნიათ და კოლმეურნეთა შესაკრებად შემოჰკრავდნენ ხოლმე, როცა კრებებზე ეძახდნენ ახალი ცხოვრების მამაშენებელ გლეხებს. მერე ჩამოუსხნიათ ცაცხვიდან და თითქოს შეუნახავთ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავის ახსოვდა. ზარის ბედს ვინ დაგიდევდათ, როცა წინა საუკუნეში მონასტერს სპილენძის სახურავი მოხსნეს, სადაც წაიღეს და მის მაგიერ ჟანგბანი თუნუქი დაახურეს.

რამდენიმე წლის წინათ სრულიად შემთხვევით მოვკარი ყური, რომ ჩვენი მონასტრის მოხატული ზარი თურქეთში გაუტანიათ სპილენძის სხვა ძველ ნაკეთობებთან ერთად. აი, ასე დაუნახებლად იკარგება ისტორიული და სულიერი ღირებულების ნივთები. თუმცა განა ნივთი შეიძლება ეწოდოს იმ ზარს, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ღვთის სადიდებლად ჟღერდა ჩვენს ძველ მონასტერში?.. რა თქმა უნდა, მშვენიერი ორნამენტებით შემკული ზარის ღირსება-ღირებულებას უცხო ქვეყანაში არავინ მიაქცევდა ყურადღებას. სავარაუდოდ, ქართული წიაღიდან ამოღებული მანძით, ქართველი ოსტატის მიერ ჩამოსხმული, ღვთის მადიდებელი ჩვენი მონასტრის ზარი სხვა აქაურ ნაკეთობებთან ერთად ფართოდ პირდაღებულ თურქულ ბრძმედში ჩადნა და ჩაინთქა (რამდენი ქართული რამ ჩანთქმულა ბოროტად პირდაღებულ „თურქულ ბრძმედში“ საუკუნეთა მანძილზე და ასეთი ჩანთქმა დღესაც როგორ გრძელდება?!).

ამ ბოლო დროს არქივში მოვიძიე ცნობილი მკვლევარის ნაშრომები. მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენი მონასტრის ტაძართან, ნიგნებთან, წარწერებთან, ხატებთან ერთად მეცნიერს მისი ზარებიც ყურადღებით შეუსწავლია. იგი განსაკუ-

თრებით აფასებს დედოზართან დაკიდებულ მოზრდილ ზარს, რომელსაც ლამაზ ორნამენტებთან და ხაზებთან ერთად წარწერებიც ახლდა. ხოლო იმ წარწერებში განცალკევებით ასეთი სტრიქონიც იკითხებოდა თურმე: „ჩემი გულისთქმა ამ ზარის ხმას მოჰქონდეს შენთან...“ როგორც ჩანს, შეყვარებულ ოსტატს თავის ჩამოსხმულ ზარზე სატრფოსადმი მიმართვაც ამოუტვიფრავს... დედათა მონასტრისათვის მის მიერ შეწერილ ზარს, რომელიც მერე მამათა მონასტერში გადაიტანეს, ქალ-ვაჟის უმანკო სიყვარულის ამბავიც გაჰქონდა თავისი მშვენიერი ხმით ჩვენს სოფლებში, მთებსა თუ ხეობებში...



გივი ჩილვინაძე

ზაფხულის წვიმიანი დღე

ზაფხულში მშვენიერი გოგონები ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩვენს სოფელში თბილისიდან. მოშორებულ უბანში ცხოვრობდნენ და სულ იმათ თვალთვალში ვიყავით მე და რობია. მერე გავიცანით, ერთად ვთამაშობდით ფრენბურთს, დავდიოდით მთის მდინარეში საცურაოდ, სათევზაოდ და იბადებოდა მეგობრული გრძნობა, ხანდახან სიყვარულადაც რომ წარმოვიდგენდით ხოლმე...

ჰოდა, ავედით ერთ წვიმიანი დღეს მათ უბანში მე და რობია. თოფი გავიყოლე თან, ვითომ სანადიროდ მივდიოდით, არადა რის ნადირობა? ისე გვინდოდა მოგვენობინა იმით თავი. ერთი გოგონას ბაბუს ბაღში შევიარეთ, ძირითადად იქ ვხვდებოდით ხოლმე მათ. არავინ ჩანდა. დაძახება არ ივარგებდა, პირველად უფროსებს შევეჩვენებოდით და გვერიდებოდა. რობია მეუბნებოდა, თოფი ისროლე და გამოიხედავენო. ჩხიკვიდი და შაჰვენი შესუდნენ მნიფე ბლებს. ვიღაცას შეიძლება ჰგონებოდა, რომ მათზე ვნადირობდით. არადა, ფრინველებს როგორ მოვკლავდით შუა ზაფხულში?.. მე არ მინდოდა სროლა, მაგრამ არ მეშვებოდა რობია. თვითონ იცოდა, რომ არ ვათხოვებდი თოფს და მე მაქვს შებება, ისროლე. მე კი მერიდებოდა, ვფიქრობდი, გოგონები ამ ნისლიან-წვიმიან შუადღეს ნებვირობენ ალბათ თბილ ლოგინში ჩათვლემილები და ახლა თოფის ხმით როგორ დაეფურთხო ძილი-მეთქი?.. არადა მათთან შეხვედრაც გვინდოდა, იმ-იტომ დავიმშვენიე თოფით მხარნი...

უცებ ბლის ქვეშ ორმოციოდე წლის კაცი, ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი გოგონას ლორმუცელა, ლოთი და სქელ-სქელი ბიძაშვილი გამოჩნდა. ეტყობოდა, დაგვლანდა ნისლში ან ფეხისგან გატყვილი ხმელი ტოტის ხმა გაიგონა და დაგვიცაცხანა, რომლები დაბოდილობთ მაგ ბაღში. ცნობით კი ვერ გვიცნო, შორს ვიყავით... მერე გამოგვიდგა და დაგვიწყო გინება. ჩვენ შორს გამოვედით, ხეებს ამოვეფარეთ, დავიმალეთ, მაგრამ რომ აღარ გაჩერდა,

ძალიან გავბრაზდით. ჰოდა, დავეუმიზნე თოფი და ჩიტის წვრილი საფანტი შორიდან დავახალე უკანალზე... ვაიო, დაიძახა, მომკლესო და გაგორდა სველ ბალახში, თან საჯდომზე იჭერდა ხელებს...

მოვცილდით იქაურობას და ჩავეჯექით ერთი ბუჩქის ძირას მე და რობია. რა ვქნათო, დავინყუთ ბჭობა. არ უნდა გესროლაო, მადანაშაულებდა მეგობარი, მაგრამ ღირსი კი იყო, მე იმისიო — თვითონაც ყელში აწვებოდა ბრაზი იმ გინების დროს — გული კი მომფხანეო... ის ცუდი კაცი ჩვენს გამო მათაც ლანძღავდა, თავის ახლობელ და ჩვენს მეგობარ გოგონებს, ამაზეც ვბრაზობდით...

ბოლოს დავმალეთ ერთ მშრალ მღვიმეში ჩემი თოფი ტყეში გავარდნილი ყაჩაღებით და უკვე მოსაღამოვეულზე გავიარეთ იმ უბნის ორღობეში, იქნებ გავიგოთ, რა მოუვიდა იმ კაცს, ხომ არავინ გვიჩივისო. თუ ვინმე რამეს გვკითხავდა, ვითომ საქონელი გვყავდა დაკარგული და ტყიდან მოვდიოდით. წვიმა ისევე, მთიანი სოფლის კვალბაზე ციოდა თითქოს და გზის პირას ფარდულში თბილად ჩაცმულები დაგვხვდნენ ჩვენი მეგობარი გოგონები. რაღაცაზე იცინოდნენ, რამაც ცოტა გულეტი დავვიმშვიდა. მერე თითქოს ინტერესიანი ღიმილით გვკითხეს, საიდან მოდიხართ, სად იყავით, ან თოფიანი ხომ არავინ შეგვხვდებოდათ? ჩვენ, როგორც მოვილაპარაკეთ, ისე ვუპასუხეთ: მე ვთქვი, საქონელს ვეძებდით-მეთქი, რობია კი დაამატა — თოფიანი მართლა ვნახეთ სამი კაცი, მთებისკენ მიდიოდნენ სანადიროდ, ჩვენებურებს არ ჰგავდნენ, უცხოები იყვნენო... ახლა მე ვიკითხე, თოფიანი კაცი რატომ გაინტერესებთ-მეთქი? ამაზე გოგონებს ისევე სიცილი აუტყდათ, მერე ერთმანეთს არ აცლიდნენ მოყულას — ის ოხერი დანდალა (ასეთ ზედმეტ სახელს ეძახდნენ ჩვენგან გამეტებულ, ნათოფარ კაცს) დაგვიჭრა ვიღაცამ, მთელი საჯდომი წვრილი საფანტით აქვს დაცხრილულიო... ჩვენ შევიცხადეთ, ვინ, როგორ, ვინ იქნებოდა ნეტავო?.. ვინც იყო, ღმერთმა ჩვენ კი გული მოგვფხანა — თქვენც ხომ იცით, თუ ვინმე ბიჭი გამოგველაპარაკა, ჯერ იმას ავინებს უშვერი სიტყვებით და მერე ჩვენ მოგვდებოდა. სად მოხდა ეგ ამბავიო, ახლა რობიამ იკითხა. ჩვენ ბაღში შემოსულიყო ვიღაც, დანდალას დაუნახავს. შუადღის ძილში ვიყავით, ყვირილი რომ ატეხა, ჯერ ისინი გაისტუმრა გინებით, თან ჩვენი მისამართით დაიწყო ლანძღვა და რომ ეგონა, უკვე განდევნა მომხვედური, სწორედ მაშინ დაახალა ის საფანტიანი თოფი იმ გასახარებლად, იცინოდნენ გოგონები... ახლა როგორ არის-მეთქი, ვიკითხე. როგორ არის და წევს თავდაღმა, ჩვენი მეზობელი მოხუცი ქალები ნემსისა და მახათის წვერით უღებენ საფანტებს და თან სპირტს უსვამენ ზედ, ის კიდევ გმი-

ნავს და გაიძახის, მაგ სპირტს სულ მანდ წუწამისვამო, თან დამაღვინეთო...

მერე ერთი გვეუბნება დაეჭვებული, თქვენ ხომ არა ხართ ამ საქმეში გარეულები, გვითხარით, არსად ვიტყვით, ძალიან კი გაგვიხარდება და დაგიფასებთო... რალას ვიზამდით, ისე მოგვინდა გმირობის გამხელა, რომ გავგველიმა ჩვენც და ვუამბეთ ყველაფერი... მერე ერთად ვიცი-ნეთ დიდხანს. რახან ხიფათი არ იყო ჩვენს თავს, რალა გვიჭირდა? გოგონებმა მადლიერებით გამოგვაცვილეს. დანდალას დაჭრა კი ჩვენი და უფრო მათი ძალი-ისხმევით ქვემო სოფლიდან მთაში მიაგვალ გამოგონილ მონადირეებს დაბრაღდა, რომლებმაც მათ ბაღში შეუხვიეს თითქოს გზიდან დანახული ბლით პირის გასასველებლად და დანდალას ლანძღვა-გინების გამო აუწვეს საფანტით დუნდულები. გოგონებმა ვითომ ფანჯრიდან შენიშნეს ისინი და ფანჯრით ისე შთამბეჭდავად წარმოადგინეს სამი უღვაშიანი, სანვიმრებში ჩაცმული, გაბრაზებული კაცი, რომ ყველა მეზობელმა დაიხსომა მათი გარეგნობა...

და ალბათ ისაა ამ ამბიდან მთავარი, საკვირველი და უცნაური, რომ ამ მარცხის შემდეგ დანდალას აღარც ვინმესთვის უგინებია, სმასაც მოუკლო და საქმესაც მოჰკიდა ხელი თუმცა ვერ გირჩევთ, ყველა შფოთიანს, ლოთსა და უსაქმურს საფანტიანი თოფი დაახალეთ. არავინ იცის, ვინ როგორ შეირგებს ასეთ ნამალს...

იმ ზაფხულებმა წაიყოლა ჩვენი მხიარული ბავშვობა და მერე აღარც ის გოგონები გვინახავს მე და რობიას. ახლა სოფელში ჩასვლისას, საქმეებს რომ მივაშუშებ, შევუვლი ხოლმე ჩემი ბავშვობის მეგობარს, ვიგონებთ წარსულ წლებს და ვხალისობთ. ამას წინათ ის გოგონებიც გავიხსენეთ. საზღვარგარეთ ყოფილანო, მითხრა რობიამ, მუშაობენ თურმე, აგზავნიან ფულს და ასე არჩენენ ოჯახებსო. გვენანებოდა ძალიან და ვამბობთ ხოლმე, კარგი იქნება, თითო საფანტიანი პატრონა მათი ქმრებითვისაც რომ დაგვახლები-ნაო...

აღდგომის ღრუბელი

— სად მიდიხარ, შვილო? — ჰკითხა მოხუცმა მამამ ჭიშკარში გამავალ ახალგაზრდა ბრიგადირს.

— სად წავალ? სახნავად მიმყავს ბრიგადა, სასტიკად გამაფრთხილა წუხელ თავმჯდომარემ, საქმეს არავინ დააკლდესო.

— ჰო, მარა, აღდგომაა დღეს, თქვე კაი ხალხო, დღესასწაულია, ეგრე როგორ შეიძლება?

— ეჰ, ვიცი, მამაჩემო, მეც გულით მინდა დღეს მოლხენა, მაგრამ ვინ გვაცდის, ვინ გვაჩერებს?..

— მეტისმეტს შევბიან ეგ თქვენი კომუნისტები, კვირას ხომ არ აუქმებინებენ ხალხს და ახლა აღდგომასაც აღარ ასვენებენ.

— ეგრეა, მაგრამ ვინა ჰყავთ დამშლელი? — ახალგაზრდამ ჭიშკარი გაალო.

— დამშლელი როგორ არა ჰყავთ, შვილო, ღმერთი ყველაფერს ხედავს, დღეს მუშაობას არ დაგვაცლით.

— როგორ არ დაგვაცლის, შე კაცო, მოთოვს თუ მოწვიმს? შეხედე ამ ცას ერთი ღრუბელი არსად ჩანს, — მალლა აიხედა ახალგაზრდამ და ჭიშკარი გაიხურა.

— მე ჩემი მითქვამს და ვნახოთ, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და შინ შევიდა.

ზანტად შეიკრიბენ მეზრე-მეგუთნენი. სოფლის ზემოთ, მაღალი ქედის ძირას გამშლილ მინდორზე შეაბეს სახნავად ხარები. სადილად ბარაქიანად წამოღებული სააღდგომო ნამზადით სავსე აბგები იქვე დიდი პანტის ტოტებზე დაჰკიდეს.

— ბიჭებო, ნუ დავიზარებთ, მარჯვედ ვიმუშაოთ, ადრე მოვრჩეთ საქმეს და მერე აქ მაინც აღვნიშნოთ დღესასწაული! — მიმართა ბრიგადირმა თანასოფლელებს.

— მეტი რა გზა გვაქვს? — ჩაილაპარაკეს ზოგიერთებმა.

— აქ მაინც თუ არ დაგვადგა თავზე ჩვენი თავმჯდომარე, კარგია, — დაამატეს სხვებმა.

— არა, აქ ამოსასვლელად ვერ მოიცლის, — ჩაილიმა ბრიგადირმა.

ორიოდე საათს იმუშავებს. შუადღემდე ტყიანი ქედის თავზე პატარა ღრუბელი გაჩნდა, რომელიც ცოტა ხანში გაიზარდა, გაფართოვდა, გამუქდა და მზესაც ჩამოეფარა. მერე ცა მთლიანად მოიქუფრა, ძლიერად დასჭექდა და უცებ წამოსულმა თავსხმამ ზეზე წამოჰყარა სადილად გამზადებული, ერთ ადგილას მიმსხდარი მხვინელ-მთესველები. სასწრაფოდ შეაბეს ხარები, უღლებზე სახნისები გადაჰკიდეს და შინისაკენ გამოეჩქარნენ. ჩამოვიდნენ სოფელში და წვიმაც შეწყდა. უკან წასვლა აღარ უფიქრიათ. ხარები სახლებისკენ გადენეს და ერთ ოჯახში შეიკრიბნენ ყველანი. მათ საგზალს მასპინძელმა ცხვირით მიამატა. მიუსხდნენ სუფრას, წესისამებრ ღმერთიც ახსენეს, იმ ქვეყნად წასულებსაც წაუქციეს ჭიქა, ცოცხალი და მომავალიც ადღეგრძელეს, კიდევ იმღერეს და იცეკვეს. როცა ღვინს მორჩნენ და გარეთ გამოიშალნენ, გაზაფხულის მცხუნვარე მზეს ისევ გაეთხოვეს. საქმის გაგრძელების აღარც დრო იყო, აღარც სურვილი და აღარც შეძლება. ჰოდა, მხიარული სიმღერით დაადგნენ სახლებისაკენ მიმავალ გზას.

მალა, ტყის პირას, ნანვიმარ და ჩამავალი მზით გამოთბარ საყანეს ნელა ასდინდა ორთქლი...

მინის ნილი

მონსტრს თავადს შეილებსათვის უთქვამს, როცა მოკვდები, დღისით კი არა, ღამით წამსვენებთ ჩვენს საძვალეში... მართლაც, გარდაიცვალა და დიდი მანძილით დაცილებულ მთის მონასტრისკენ დაიძრა პროცესია. რამდენიმე ათეული ცხენოსანი ანთებული ჩირღდნებით მდუმარედ მიდიოდა. უღელტეხილზე, რომლის გადასახედიდანაც მთელი ხეობა მოჩანდა, ერთი საყენი შემა ინვოდა. ცად აზიდული ცეცხლის ალი ქარში ირხეოდა და მონასტრისაკენ მიმავალ გზას ანათებდა. მოქანავე ალის გამო გზისპირებზე ხეთა ჩრდილები ცახცახებდნენ, ხოლო უჩვეულო ღამეული რიტუალის მონანილები თითქოს ჟრჟოლას აეტანა და ზოგი მათგანი თავადს თავისი დანაბარებისათვის აუგად იხსენიებდა...

რა უნდოდა ყოველმხრივ განდიდებულ თავადს, თავისი სიკვდილი უნდა დაემაღლა დღისა და მზისთვის, თუ განვლილი ცხოვრების გამო მოიქცა ასე — თავი დაისაჯა? მას სამეფო ქვეყნის სახელთუხუცესის სახელო ეკავა. ქვეყნის გასჭირის უამს კი მეფეს განუდგა და რუსი დამპყრობლების მხარე დაიჭირა... იქნებ მტრის ვრცელ ქვეყანაში სამწვლგატარებულს, მისი ძალისა და ხასიათის შემცნობს, წარმოუდგენლად ეჩვენებოდეს დამპყრობელთან გამკლავება და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა?..

ათი წლის შემდეგ, როცა რუსმა მოხელეებმა ეკლესია-მონასტრების ძარცვა დაიწყეს, ყოფილი სამეფო აჯანყებამ მოიცვა. აჯანყებულების წარმატების შემყურე თავადი შეფიქრიადა, მათკენ შეტრიალდა და ისევ თავში რომ მოქცეოდა სოფლის დინებას, თავისი შვილი შესთავაზა მეფედ... მაგრამ მერე, როცა თანამემამულეთა დამარცხება განჭვრიტა, ისევ მტერს მიეტმასნა...

არ უნდა დაეუკარგოთ, ამბობენ, აჯანყებულთა მეთაურების ცოლ-შვილს ინახავდაო...

თითქმის ორი ასწლეული მიილია მას შემდეგ. ვინ იცის, როგორ აგო პასუხი მოლაღატე თავადმა იმქვეყნად... ამქვეყნად კი მინისძვრისაგან დანგრეულ მონასტერში სწორედ მისი საფლავი დაზიანდა. თითქოს ყველაზე დაცულ ადგილას იყო დაკრძალული, მაგრამ ის ნაწილი, ტაძრის ამალღებული, უკანა მხარე ჩაინგრა და ცნობილი თავადის ძვლები ძირს მიმოიფანტა (მზემ ორასი წლის შემდეგ გაიგო მისი გარდაცვალება). მერე კარგა ხანს არ აღირსეს მინა, ტაძრის აღდგენის მოლოდინში რამდენიმე წელი ისე ჰქონდათ შენახული... ვითომ თავისი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის დაემართა ასე?... ვინ იცის?..

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო და რას იქმოდა, ბოლოს ხომ ყველა მინის ნილია, კარგსაც და ავსაც ხომ მინა უნდა ფარავდეს... სამზეო ხომ მახინჯდება მინით დასაფარის დაუფარავად ყოფნით?!

მურად მთვარელიძე



ოლინკა

— აწსწს, ეს იყო მთელი სოფლის მკვდრების გამპატროსნებელი, — იტყოდნენ ოლინკას ღარიბულ სახლში შესული ქალეზი, მიცვალებულს გარს შემოუვლიდნენ და ჭირისუფლების სკამზე რაკი არავინ იჯდა, თვითონ დასხდებოდნენ.

— იმსახურებს ჩვენს ჭირისუფლობასა, — დაიწყებდა ერთი.

— მარტო ჩვენსასა, ქალოო? — გაიკვირებდა მეორე, — ამისი ჭირისუფალი მთელი სოფელი უნდა იყოს. ყველა აქ უნდა იჯდეს და ტირილს ერთმანეთს არ უნდა აცლიდეს.

— რა ვქნათ, ეს ტირილი და მოთქმა ყველას ხომ არ შეგვიძლია? — იტყოდა მესამე, — ისე კი გული გვიტრის, გვენანება, ყველას გვიყვარდა ეს ცხოვრება, ესა. მერე რა გული ჰქონდა, რა სიტყვა-პასუხი, რა სიკეთით დადიოდა ამ დედამინაზედა! — ეს ნათქვამი თანდათან ტირილად გადაიქცეოდა ხოლმე და იმ ადამიანს, ვინც თვლიდა, რომ ხმამაღლა ტირილი არ შეეძლო, კარგა გვარიანი დატირება გამოუდიოდა...

სამი დღე გაგრძელდა ასე. სამი დღე ჭირისუფლობდა სოფელი ოლინკას. სამი დღის მანძილზე აბარებდნენ ამბებს შვილმკვდარი დედები შვილებთან, ქვრივები — ქმრებთან, ახალგაზრდა ობოლი გოგოები ახლადგარდაცვლილ მშობლებთან.

ოლინკა კი იწვა სოფლის დურგლის მიერ გამოწვეულ კუბოში და თითქოს ყველაფერს იმახსოვრებდა. მშვიდ სახეზე რაღაც ნათელი გადაჰფენოდა.

— აი, ოლინკა, შე სოფლის ჭირისუფალი, ქვეყნის დამტრეხელი, გამპატროსნებელი, სოფლის ქომაგო და გულშემატკივარო, რა ეული იყავი, მაგრამ როგორი გულსასვე ცხოვრება გქონდა, — შესტირა მეზობელმა ქალმა შუშანამ ოლინკას გამოსვენებისას.

მართლაც საოცარი ქალი იყო ეს ჩვენი ოლინკა, რადგან თავის უპირველეს მოვალეობად ადამიანების საბოლოო გაპატროსნება მიაჩნდა.

ვისაც სული ამოუვიდოდა, ისიც იქ იყო. იმას უნდა ჩაეცმია, გაეპატროსნებია, დაესვენებია, დაეტირებია... მერე, წლების მომატების გამო, ამას რომ ვეღარ ახერხებდა, მარტო დატირებითა იკლავდა თავისი გულის მურასს.

როგორი შორი თანასოფელიც უნდა მომკვდარიყო, გამოსვენებისას აუცილებლად გამოჩნდებოდა ჩვენი ოლინკა და ისე შეამკობდა გარდაცვლილს, ისევე სიტყვებს ისე ლამაზად ჩაატრიალებდა, ხალხს ხომ ატირებდა და ატირებდა, მიცვალებულს ხომ განადიდებდა და განადიდებდა, ჩამოსულ სტუმრებსაც ანცვიფრებდა.

— ეს რა მადლიანი ადამიანი გყოლიათ, სადღა არიან ახლა ასეთები, — იტყოდნენ და გაკრახმალებული ცხვირსახოციტ ცრემლს ამოიმშრალებდნენ...

ჰოდა, ასეთი ქალი მიდიოდა ამ სოფლიდან და მთელი სოფელი ამიტომაც იდგა ფეხზე.

— ვინ არის უჭურისუფლო, აბა ნახეთ, ხალხო, მთელი სოფელი ოლინკას ჭირისუფალია, — შესტირა შვილმკვდარმა დედამ და გულში მჯილი ჩაირტყა, — ოლინკა, ჩემი შვილის გამპატროსნებელი, რა უნდა გითხრას დედის მკვდარმა გულმა, ერთს მაინც გთხოვ, ჩემ მაგივრად

აკოცე იმ ლამაზ სახეზე ჩემს ლამაზ ბიჭსა.

— ვაიმე, ოლინკა, ახლა მე მომისმინე, ქალოო, ჩემს შვილსაც ნუ დამიტოვებ უყურადღებოდ, დედა მოუკედეს იმასა, ჩემს ვაჟსაცა. მეც შემისრულე ერთი თხოვნა და უთხარი, რომ დედამისს უმისოდ ამ მზის ყურება არ სურს, სინათლე შეჯავრდა, მასთან შეხვედრას ესწრაფვის.

მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს მეოთხე და ოლინკას მყუდრო გარემო ხალხის შეუნყვეტელმა ტირილმა ერთბაშად გლოვის ნამდვილ ზეიმად აქცია.

— კარგით, ხალხო, კარგით, საკმარისია, ღამდება და ეხაა, — თქვა მეზობელმა, დროულმა კაცმა დათამ და ჭირისუფლების ამალას თხოვა, განზე გამდგარიყვნენ, გზა დაეთმოთ...

ჩიხი რომ აათავეს და სოფლის შარაზე გავიდნენ, ჯერ წინა რიგებში მიმავალმა დედაკაცებმა შენიშნეს, ოლინკას კუბო, ექვსი კაცი ზურგით რომ შესდგომოდა, მათი მხრებიდან აშკარად მოშორებული იყო და ოდნავ მაღლა მიცემიყვნენ.

მიცვალებულის მატარებლებიც გაოცდნენ, მუხლები აუკანკალდათ. კუბოს მხრებით იყვნენ შემდგარნი და ის კი მათ მხრებზე არ იდგა. ათიოდე სანტიმეტრით მაღლა, ჰაერში ისე მინარნარებდა, ვერ გაერკვიათ, რა ხდებოდა. კი მიყვებოდნენ ერთმანეთს, თან ჩუმად, ქვეშ-ქვეშ მუშინებული თვალებით უყურებდნენ, თან მეორე ხელით მუშინებია თუ გაოცებისაგან შუბლსმომდგარი ოფლს იწმენდნენ.

წინა რიგის გაკვირება ჯერ შემდგომს გადაედო, მერე ამ ტალღამ თანდათან უკან გადაინაცვლა და ახლა ყველა ხედავდა, თუ როგორ მიირწეოდა კუბო სოფლის ვაჟკაცების მხრებს ზემოთ თავისით და მაინც მათი ნაბიჯების შესაბამისად.

— აი, მისი მადლი სად გამოჩნდა, დაილოცოს უფლის ძალა და სამართალი, — თქვა ხმამაღლა დათამ, წამით შეჩერდა, პირფარა გადაინერა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი სასწაულს, რომელიც მათ თვალწინ ხდებოდა...

იაკინთა

— იაკინთა უუ!!! — გამოუდგებოდნენ სოფლის ბოლოდან ბავშვები და სოფლის თავამდე სდევდნენ...

— იაკინთა უუ!!! — უყვიროდა ცა და ქვეყანა...

— იაკინთა უუ!!! — თითქოს ექოს გამოსცემდნენ მთები და ხეობები...

ის კი მიდიოდა მშვიდად და წარბშეუხრელად, თითქოს ეს ამდენი ფორიაქი ოდნავადაც არ სწვდებოდა მის თვალსა და გულს, თითქოს იყო და არც იყო ამ ქვეყანაზე, ანდა სულაც არ ეხებოდა ეს გულისგამანწვრილებელი მოძახილი.

— რა ნახე, იაკინთა, როდემდე უნდა იარო ასე, შე უბედურო, — ჩაილაპარაკებდნენ სოფლის დედაკაცები და ორღობეს აეკვდილიდნენ. ეგ არის, თითქოს სიკვდილი მოდის და ემალებიანო.

— იაკინთა, იაკინთა, ზეცას აღარ მიაკითხე? — გამოედევნებოდა სოფლის აბეზარი და ავენა ჯღარკა მედოლე და თან წაუმღერებდა, ისე მწარედ და გულისგამამირავად, რომ იფიქრებდი, იაკინთეს სიკვდილმა ამას რაღაც განსაკუთრებული ბედნიერება უნდა მოუტანოსო.

ის კი მიდიოდა სოფლის ბოლოდან სოფლის თავისაკენ. მშვიდად, დინჯად, აუღელვებლად, თითქოს არც ესმოდა და ვერც ხედავდა ვერაფერს.

— აი, შენ, იაკინთა, — შესძახებდა უკვე ყმანვილობაგადასული ვინმე თავქარიანი და ქვას ისე ალმაცერად ესროდა, თანაც ისე ბზრიალ-ტრიალით დააქანებდა, იფიქრებდი, იაკინთეს ფეხებს შემოამტკვრევს, აქვე დაეცემა და ეგ არისო, მაგრამ ის დალოცვლილი თითქოს ისხლიტავდა, არც შეტოკვდილობდა, თვალსაც კი არ გააყოლებდა წიკბზე ჩამოქროლებულ, ციბრუტივით მოტრიალე ქვას.

მიდიოდა და მღიმარ სახეზე ამავედროულად უდიდესი ტანჯვაც ეხატებოდა.

— ვის უღიმი, იაკინთა? ვის ემზეტკბილება, კაცოო, ასე უჩუმრად, ვისა? — აედევნებოდა სოფლის თავში შემოხვედრილი ჯავარა დედაკაცი მას მერე, ყველა უკეთურს რომ აქეთ-იქით მიყრიდა, ყველას რომ დაუცავსანებდა, დაანოკებდა, შემოაცლიდა იაკინთეს ამ პატ-

არა ბრბოს, როგორც ეკალი შემოაცალი ვარდს.

— არ გესმის, ადამიანო?! ვის უღიმი ასე ჩუმად, ასე ჩუმტრფიალა ღიმილით ვის ესიყვარულები, არ იტყვი?

იაკინთე არაფერს იტყოდა, მხოლოდ აქეთ-იქით გაიხედავდა, მერე ზეცას ახედავდა და გზას გააგრძელებდა.

ასე იყო ამჯერადაც. სოფლის აღმართი რომ აიარა და ზედა უბანს მიადგა, რომლის იქითაც უკვე მთები ხევებს მისჯროდნენ, ჯავარა შემოეგება.

იაკინთეს ადევნებულ ლლაბუცა ბრბოს დაერია, მიჰვანტ-მოჰვანტა, სულ კუდით ქვა ასროლიან.

მერე მღიმარ იაკინთეს მიუბრუნდა, დონინჯი შემოიყარა და მისი სიმშვიდით გაოცებულმა, ვინ იცის, მერამდენედ ჰკითხა:

— კაცოო, ამდენი ხალხი მოგდევს, რას არ გეძახის, ამდენ შურაცხყოფას გაყენებს და შენ კიდევ ღიმილიანი სახით მოდიხარ. გამაგებინე ერთი, იმდენს მაინც ვერ ხვდები, რომ გაბრაზდე მაინცა, ჯოხი აიღო, ქვას დასწვდე, დაერიო, მოიგერიო, ერთხელ და სამუდამოდ დააშინო?!

ბნელდება. დეკემბრის ყინვიანი დღეა. ორ დღეში ახალი წელი უნდა დადგეს...

— ამ დაღამებულზე ეს უბედური სადღა გაიგნებს გზასა, — გაიფიქრა ჯავარა დედაკაცმა და იაკინთეს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა:

— სად მიდიხარ, იაკინთე, ვერა ხედავ, რო ცას ქუფრი ეფინება, განა ეს ღამე გარეთ უნდა გაატარო, შე უბედურო, შენა?!

არაფერს ამბობდა იაკინთე... იდგა და ხან დედაკაცს შეჰყურებდა, ხანაც ცას. ცას კი თავის მრუმე კაბაზე ღრუბლების ვეება ჯიბეები მიეკერებინა და თითქოს დღის სინათლეს შიგ მალავდა.

იაკინთე მშვიდად, მღიმარი სახით იდგა და ცას გაჰყურებდა.

— ნატაა! ჰაი, ნატა! — გამოსძახეს სახლიდან ჯავარა დედაკაცს.

— ჰოო, — გაეპასუხა ნატა.

— ხო მშვიდობაა, სადა ხარ? — ისევ გაისმა კაცის ხმა სიბნელებში.

— სტუმარი მომყავს, სტუმარი.

იაკინთემ მცირედ ივანშმა. ილიმოდა... მხოლოდ, ჯავარამ და მისმა ქმარმა საძინებლამდე რომ მიაცილეს, ორივეს მადლიერებით შეხედა და ისეთი სითბოთი, სიყვარულით და სასოებით ამოთქვა ეს სიტყვები: „გმადლობთ, ძალიან მადლიერი ვარ“, რომ ცოლ-ქმარი გაოცდა, ვერ დაიჯერა, თუ ამ უსიტყვო იაკინთემ ასეთი სასიამოვნო და გამართული საუბარი იცოდა.

— ძალით აიტყვივებ ხოლმე რა აუტკივარ თავსა! — უსაყვედურა თავის ოთახში გასულმა კაცმა მეუღლეს და ქვეშაგებში გაეხვია.

— რატომ ამბობ მაგასა, — რაც შეიძლება ჩურჩულით თქვა ქალმა, — მამ გაყინულიყო?!

— ჰო, რა ვიცი, — ჩაილაპარაკა კაცმა და კედლისაკენ გადაბრუნდა...

ღილით, როცა ირიჟრაჟა, ნატამ კაბა ლოგინშივე წამომჯდარმა გადაიცვა, ფეხზე წამოდგა და ფანჯარას მიაშურა.

მოეფიფქა. მინა თეთრი თოვლისმაგვარი ფიფქით დაფარულიყო და ფანჯრის გასწვრივ ტყისკენ მიმავალ აღმართს ქათიბად შეჰყვნოდა...

— ღმერთო, ადვიდებულო, ადექი, კაცო, მოდი, მოდი, აი, სასწაული, ნამდვილი სასწაული, — აღელვებულმა ჯავარამ თავი ქმრისკენ ნერვიულად შემოატრიალა და ქმარი ფანჯარასთან იხმო.

კაცი წამოხტა, შარვლის ტოტებში ფეხები სწრაფად გაუყარა და შარვლის აწვეწვეთი ფანჯარას რომ მიადგა და გაიხედა, გაოცდა.

თეთრად შეფიფქულ ტყისკენ მიმავალ ქათიბზე იაკინთე მიაბიჯებდა. უფრო სწორად, ჯერ მისი ნაფეხურები ჩანდა. მერე იმ ნაფეხურებს თვალი რომ გააყოლეს, ორივეს განცვიფრებული ოხვრა აღმოხდა.

იაკინთე ცოტა ხანს ისევ თოვლის ქათიბზე მიფარავატებდა. მერე თანდათან მოსცილდა მინას, აინია, მსუბუქად, ჰაერონად, ნელა-ნელა და ცის რძისფერ სითეთრეში გაუჩინარდა.

მეორე ოთახის შეღებულ კარის იქით კი, იაკინთეს ქვეშაგებიდან უცნაური სინათლე იფრქვეოდა და იქაურობას ღეთაებრივ ნათელში ხვევდა...

ლიზიანერი

ბესიკ დანელია

სერია „ამერიკელების“ სახით გამოცემლობა „დიოგენემ“ შემოგვთავაზა ოცი მნიშვნელოვანი მხატვრული ტექსტი, რომელიც XX საუკუნის II ნახევარსა და XXI-ის დასაწყისში ამერიკაში შეიქმნა. ზოგადად, ნიგნის, მით უმეტეს, ასეთი მასშტაბური საგამომცემლო პროექტების ვიზუალური მხარე არანაკლებ მნიშვნელოვანია. დიზაინერმა ბესიკ დანელიამ ამ სერიას შთამბეჭდავი სახე მისცა. დიზაინი სადა, მინიმალისტური ხერხებით არის შესრულებული, შინაარსობრივად დატვირთულია, დიდი ვიზუალური ეფექტი აქვს და რომც არ ნაიკითხო, ზედ რა სერია, სერიას მაინც იცნობ. ამიტომ, ალბათ, ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო, რომ მწერალთა სახლის ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის — „ლიტერას“ — ჟიურის წევრები „ნლის საუკეთესო ნიგნის დიზაინი“ სწორედ „ამერიკელები“ დაასახელებდნენ.

ბესიკ დანელია მრავალ სფეროში მუშაობს, მისი გალერეა მრავალფეროვანია, თუმცა იმდენად სახასიათო ხელწერა აქვს, რომ მისი ნამუშევრები ყველასგან გამოარჩევა, როგორც ვიზუალურად, ისე ტექნიკური შესრულებით.

— როგორ მუშაობდით პროექტზე „ამერიკელები“ და თუ გქონდათ სხვა ვარიანტები?

— მინდა, თქვენი გახეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო გამოცემლობა „დიოგენეს“ დირექტორ თამარ ლებანიძესა და მთელ სარედაქციო ჯგუფს ნდობისთვის, „ამერიკელები“ ჩვენი ერთობლივი ნამუშევარია და წარმატებასაც თანაბრად ვინანდობთ. მადლობას ვუხდით, ასევე, პრემია „ლიტერას“ ორგანიზატორებსა და ჟიურის. ნამდვილად არ ველოდი, თუ ჩემი ნამუშევარი მათ ყურადღებას მიიქცევდა და მას გამოარჩევდნენ. მინიმალისტური სტილი ხელოვნებაში, რომელიც მე ძალიან მომწონს, არ გულისხმობს სიმარტივეს, სიბრავეს. „დიოგენეს“ სერიას დიდი შრომა უძღოდა წინ. დაახლოებით ოცი ვარიანტი მოვაზამდე, მათ შორის იყო ისეთები, ძალიან რომ მოგვწონდა და დიდხანს ვერ გადაგვეწყვიტა, რომელი აგვერჩია. სხვათა შორის, გამომცემლობამ თავიდანვე განსაზღვრა, რომ მისი პროდუქცია, არა მხოლოდ შინაარსობრივი და მხატვრული თვალსაზრისით, არამედ ვიზუალურადაც აბსოლუტურად განსხვავებული ყოფილიყო ბაზარზე და ვფიქრობ, მიაღწია კიდევ მიზანს. ქართულ საგამომცემლო სივრცეში ცოტა სხვა სურათია, გამოცემების უმეტესობა თვალს გჭრის, ყველაფერი ერთდროულად არის გამოყენებული — ადგილობრივი ლაქი, ლამინაცია, ოქრო, კლიშე, გოფირება. შეიძლება, ზოგს მოსწონს კიდევ. მეტროში საკითხავი პოლიტიკურა, ეგრეთ წოდებული ჯიბის ნიგნები, ალბათ, ჭრელი უნდა იყოს, მაგრამ სერიოზული საკითხავი, კლასიკა, ჩემი აზრით, მაინც სხვანაირი მიდგომას, მეტ სისადავეს ითხოვს. ევროპაშიც ეს ტენდენციაა — მინიმალისტური მეთოდებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევა. ჩვენს სერიასაც რომ შეხედავთ, ამის გაკეთებას რა უნდაო — შეიძლება იფიქროთ. ალბათ, ბევრს გაუკვირდა კიდევ, პრემია „ლიტერა“ რომ მოგვანიჭეს. ასეთ ადამიანებს სიამოვნებით ვაჩვენებდი მთელ სამუშაო პროცესს, რომელიც გავიარეთ, სანამ ნიგნს საბოლოო სახეს მივცემდით. კრიტიკის მიმართ გახსნილი ვარ. რა გასაკვირია, რომ ერთი და იგივე ნამუშევარი ზოგს მოსწონს, ზოგს არა — როგორც იტყვიან, გემოვნების ამბავია. მთავარია, ის ტექნიკურად და კომპოზიციურად იყოს გამართული.

— სერიების დიზაინს, ალბათ, თემატიკა განსაზღვრავს, მაგრამ ცალკეული ნიგნების დიზაინს როგორ ქმნით, რაზე აგებთ კონცეფციას?

— მართალია გითხრათ, საკითხს ძალიან სერიოზულად ვუდგები და ვფიქრობ, სანამ ნიგნზე იმუშავებ, ის აუცილებლად უნდა ნაიკითხო. რა სახის, რა ჟანრის ტექსტს უნდა იყოს, დიზაინერი,

გრაფიკოსი მას უნდა იცნობდეს. ეს ჩემი გამოცდილებაა. თუმცა, ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, იმდენად ვიზუალურად დროში, რომ ამ პრინციპით მუშაობა, სულ უფრო რთულდება. ბევრ ორგანიზაციაში, ავტორთან ვთანამშრომლობ. უმეტესობა ძალიან საინტერესო ადამიანია. მათ თავისი მოთხოვნა, თავისი ხედვა აქვთ. ზოგჯერ ჩვენი სურვილები არ ემთხვევა და სწორედ ესაა დიზაინერის ვალდებულება — შეასრულოს დამკვეთის მოთხოვნა და მოამზადოს ისეთი პროექტი, როგორც



დამსაქმებელს სურს, მაგრამ იმავდროულად, სულ ცოტა, ორი ათეული სხვა ნიმუში შესთავაზოს მას და შეეცადოს, საუკეთესო ვარიანტზე შეჯერდეს.

— „ამერიკელების“ გარდა, სხვა სერიებსაც თუ გადვხედავთ, მაგალითად „დიოგენეს ბიბლიოთეკას“, ორჯან ფაშუქის ნიგნებს, ასევე, ცალკეულ გამოცემებს — მივხვდებით, რომ თქვენი თანამშრომლობა „დიოგენესთან“ საოცრად ჰარმონიულია, ერთ ენაზე საუბრობთ და შედეგიც სახეზეა. თუმცა, როგორც თქვით, ზოგადად, შემკვეთთან საუბარი იოლი არ არის.

— დიახ, ჩვენ ვიმუშავებთ არაერთ პროექტზე, მათ შორის იყო „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ — თავდაპირველად სპეციალური ესპანური ქალაქი გამოვიყენეთ, ხაოიანი, იშვიათი ფაქტურით. შეხებისას საოცრად თბილია, საკითხავად განგანყობს, ბიბლიოთეკის სიმყუდროვეს გაგრძობინებს, ფერებიც საგანგებოდ შევურჩიეთ — ნახევრად ნაცრისფერი, ნახევრად კრემისფერი, სათაური გოფირებულია, ხელის შეხებითაც მიხვდები, რა ნიგნია. ასეთი აქცენტები ჩემთვის უფრო საინტერესოა. ორიგინალური გამოვიდა ნატო ინგოროყვას პოეზიის კრებულიც ორ ნიგნად — „სმელები და ნედლები“.

გააჩნია, ვინ არის შემკვეთი. ამერიკის ძალიან ცნობილ სარეკლამო კომპანიაში გავდიოდი ტრენინგს და როცა კომპანიის

შეფს ვკითხე, როგორ უნდა მოიქცეს დიზაინერი, როდესაც შემკვეთი შეთავაზებული ნიმუშებიდან ყველაზე უარესს ირჩევს-მეთქი, მიპასუხა: „ამაზე არ უნდა იდარდოთ, არსებობს ეგრეთ წოდებული გაჩუმების პრინციპი, რომელსაც ყველანი ვიცავთ, რადგან მიიჩნევა, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას ისეთი პროდუქცია აქვს, როგორც მისი შეფია. თქვენი უპირველესი ამოცანაა, დიზაინი კომპოზიციურად და ტექნიკურად იყოს უზადო და ფერთა პალიტრა შეირჩეს ზუსტად. უნდა შეძლოთ, იმუშაოთ კლიენტთან და დაანახოთ პროდუქტი ისე, როგორც თქვენ ხედავთ მას. ამისთვის საჭიროა, კარგად იცნობდეთ თემას, გქონდეთ რაც შეიძლება ბევრი ვარიანტი და დამაჯერებელი არგუმენტები“. ამ სიტყვებს საკუთარი გამოცდილებით ამბობდა და გულისხმობდა კომპანიებს, რომლებთანაც ნიგნების განმავლობაში უთანამშრომლია — „ადი-დას“, „კოკა-კოლას“. მას მერე დიდი ხანი გავიდა და დღეს იგივე შემიძლია გითხრათ ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებით — ნიგნები ჰგვანან ადამიანებს.

— საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის მთავარი დიზაინერი ხართ.

ნიგნები ჰგვანან ადამიანებს

როგორია თქვენი ცხოვრება მაღალი მუსიკალური ხელოვნების სამყაროში?

— თეატრი ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ოპერაში, რომელიც შინ და გარეთ დატვირთული კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს, დიზაინერს ძალიან ბევრი საქმე აქვს და მისი სამუშაო თბილისიდან მეტროპოლიტენ-ოპერამდე და მსოფლიოს სხვა დიდ თეატრებამდე არეაღს მოიცავს. ასე რომ, ოპერა ცალკე საუბრის თემაა. ამჯერად მის მსხვილ საგამომცემლო პროექტებზე შევჩერდები. ჩვენ გავიზიარეთ მსოფლიოს დიდი თეატრების პრაქტიკა და გამოვცემთ ნიგნებს, ერთგვარ პროგრამა-ნიგნებს, სადაც სრული ინფორმაციაა ამა თუ იმ ოპერის, მისი კომპოზიტორის, ლიბრეტოს შესახებ, მოთხრობილია დადგმის მთელი ისტორია — სად და როდის დაიდგა, რომელი პრემიერები იყო განსაკუთრებით წარმატებული, ვინ იყვნენ რეჟისორები, შემსრულებლები და ასე შემდეგ. ამასთან, სრულად ვებეჭდებთ ლიბრეტოს ქართულ და ორიგინალ ენებზე. ეს გახლავთ მნიშვნელოვანი ლიტერატურა ხელოვნებაზე, ეს შინაარსობრივად და ვიზუალურად ძალიან შთამბეჭდავი გამოცემებია და არა მხოლოდ მუსიკალური საზოგადოება, არამედ ყველა ოჯახი ისურვებდა ასეთ ნიგნებს თავისი ბიბლიოთეკისთვის. როგორც ვიცით, კოლექციონერები უკვე დაინტერესდნენ ამ გამოცემებით. დღეს ჩვენი პროგრამა-

ნიგნები წარდგენილია პრესტიჟულ დიზაინერულ კონკურსზე „ნლის საუკეთესო დიზაინერული ნამუშევარი“, რომელსაც ექსკლუზიური ქალაქის მწარმოებელი კომპანია „ფედრიგონი ჯგუფი“ იტალიაში მართავს და მასში ის ორგანიზაციები მონაწილეობს, ვინც „ფედრიგონის“ პროდუქციას იყენებს, მათ შორის თბილისის ოპერა. კომპანია 1888 წელს შეიქმნა, ქალაქის ინდუსტრიაში ხარისხის ნიშნით ლიდერობს და მის კონკურსში მონაწილეობა, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანია ქართული ნიგნისთვის.

— არაერთ შემკვეთთან მუშაობთ. გამომცემლობებთან, საერთაშორისო ბიზნესკომპანიებთან, კერძო პირებთან თანამშრომლობთ — ფართო ასპარეზია.


— ჩემმა საქმემ ხელოვნებისა თუ ბიზნესის საუკეთესო წარმომადგენლებთან დამაკავშირა. ეს კავშირები შინაგანად მავსებს და მამდიდრებს. ძალიან საინტერესო იყო ვახუშტი კოტეტიშვილის ნიგნებზე მუშაობა მისი სიცოცხლის ბოლო წლებში. ვთანამშრომლობდი ლევ-ენდებთან — კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა, ნათელა ურუშაძე. თანამშრომლობა გულისხმობს მათ ბოლომდე გაცნობას, ადამიანი მთლიანად იხსნება შენთან, სხვანაირად ვერ ითანამშრომლებ.

ძალიან კარგი გამოვიდა ნიგნი ნინო ანანიაშვილზე, რომელიც მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავს მიეძღვნა — მაღალი დონის გამოცემაა, არანაკლებ საინტერესოა ნიგნი ელისო ვირსალაძეზე, ახლა ვამზადებთ ნანი ბრეგვაძის ავტობიოგრაფიულ ნიგნსაც. როგორ შეიძლება მათ ხასიათს არ ვიცნობდეთ ან მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა მოვლენის მიმართ, საკუთარი ცხოვრების, საქმის მიმართ და შევექმნა ლირიკული პროდუქტი — ნიგნები, რომელიც მათზე მოგვითხრობს. ამიტომ ვფიქრობ, ჩემი პროფესია არ გულისხმობს მხოლოდ კომპიუტერული პროგრამების ცოდნას, ან სურათებისა და ტექსტების ერთმანეთთან შეხამება-განლაგებას. უნდა ჩანდეს დიზაინერის დამოკიდებულება თემისადმი, პიროვნებისადმი. და უცხოელი, რომელმაც ქართული არ იცის, შორიდან რომ შეხედავს ნიგნს, მიხვდეს, ვისზეა ნიგნი — ესტრადის ვარსკვლავზე თუ ბალეტის პრიმაზე.

— მახსოვს, ჩემს ბავშვობაში საბჭოთა გამოცემებს განსხვავებული გარეკანი ჰქონდა, ხშირად ყდაზე მთავარ პერსონაჟს ან სიუჟეტიდან ნაწყვეტს გამოსახავდნენ. მეც სწორედ ისეთი წარმომედგინა მთავარი გმირი, როგორცაც მას მხატვარი თუ დიზაინერი გვთავაზობდა. დღესაც ხშირად ვხვდებით ფოტოსურათებითა და გრაფიკული ნახატი გაფორმებულ ყდაებს. მე კი ის მომწონს, რომ თქვენს გარეკანებზე ზედმეტი კონკრეტული არ არის და მკითხველს წარმოსახვის თავისუფლებას ანიჭებთ.

— ვფიქრობ, ნიგნის ვიზუალი არ უნდა ზღუდავდეს ადამიანს. დიზაინერის დანიშნულებაა, დაუტოვოს მკითხველს ადგილი შთაბეჭდილებისთვის, თავისებურად წარმოადგენინოს მოთხრობილი ამბავი. „ამერიკელების“ სერიის დიზაინი სწორედ იმის მაგალითია, რომ ყველას ჩვენი ამერიკა გვაქვს და რამდენი მკითხველიც არის, ნაწარმოების ვიზუალური ალქმაც იმდენივეა. კონცეფცია ეს იყო — მეტი სივრცე მკითხველს. სერიაში მხოლოდ ფერებზეა აქცენტი. თითოეულ ნიგნს მხატვრული ტექსტისთვის შესაბამისი ტონი შევურჩიეთ. იმდენად მაღალი დონის





ლიტერატურული ნიმუშებია, რომ მჭახე, მყვირალა, მარტივი ფერები უადგილო იქნებოდა. ამიტომ შევადგინეთ რთული ფერები — ისეთი ტონები, ადამიანი ერთი შეხედვით ვერც კი დაახასიათებს. მაგალითად, რა ფერია, ჩარლზ ბუკოვსკის ნიგნი? რა ვიცი, თითქოს ლურჯი. ესეც აღქმავია. როცა ადამიანები ამას სხვადასხვანაირად აღიქვამენ, ჩვენი ნამატებაც ეს არის.

რამდენადაც ვიცი, განათლებით მხატვარი არ ხარო, არც დიზაინერი. როგორ აღმოჩნდით ამ პროფესიაში?

— დიახ, მათემატიკოსი გახლავართ, კომპოზიციის სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე, თუმცა ბავშვობიდან ვხატავდი თეატრს, სცენას. შემდეგ ისე მოხდა, რომ უნივერსიტეტის დამთავრება 90-იანებს დაემთხვა. სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი ძალზე პოპულარულ გაზეთში „დრონი“, რომელიც ერთადერთი გაზეთი იყო, საკუთარი კომპიუტერული ცენტრი რომ ჰქონდა. კომპიუტერთან დამსგვს და მიხერს — ახლა რამდენიმე პროგრამას აგისნით და ხვალღან გაზეთი უნდა გააკეთო. მახსოვს, ძალიან შევეშინდი, მაგრამ თავდაპირველი შოკიდან რომ გამოვივიდი, დავინახე, რედაქციაში არაჩვეულებრივი ჟურნალისტები მუშაობდნენ და იკრიბებოდა საინტერესო ხალხი, მათ შორის რეჟისორები, თეატრმცოდნეები. და, ბავშვობის შემდეგ ისევე დაეუახლოვდი ჩემს საყვარელ თეატრს.

იქ გავიცანი ჩემი მასწავლებელი ვახტანგ რურუა, რომელსაც დიდი ამაგი აქვს ჩემზე. მის გვერდით გატარებულმა მრავალმა წელმა ღრმა კვალი დააჩნია ჩემს პროფესიულ საქმიანობას და შემოიძლია გითხრათ, რაც ვიცი, ყველაფერი მისგან ვისწავლე. ასევე, ნოდარ სუმბაძისგან, რომელიც დღემდე ჩემი ნამუშევრების პირუთენელი შემფასებელი და დიდი გულშემატიკივარია.

ქართული წიგნი, როგორც პროდუქტი რამდენად უახლოვდება მსოფლიო სტანდარტს?

— ძალიან ბევრი პროფესიონალი მუშაობს ამ სფეროში, კარგი წიგნები იქმნება, მაგრამ მთავარი, რაც ზოგადად ხელოვნებაში გვაკლია, ვფიქრობ, გამბედაობაა. ვგულისხმობ ყველა სფეროს, დანეყებული საგამომცემლოდან, დამთავრებუ-

ლი თეატრითა და კინოთი. ჩვენ ძალიან მოგვწონს დასავლური პროდუქცია, მაგრამ იმავს ვერ ვაკეთებთ, ვერ ვხედავთ. ალბათ ამის მიზეზი ჩვენი გარემოა, ჩვენი მენტალობა, საზოგადოებრივი აზრის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება. ასეთ დროს ძნელია წინსვლა. რაც უფრო თამამი, გახსნილი, თავდაჯერებული იქნება საზოგადოება, ეცოდინება, რა უნდა და არ შეუშინდება სიახლეს, პასუხისმგებლობას, მით მეტ წარმატებას მიაღწევს. მე მაქვს ცალკე ფოლდერი, სადაც დანუხებულ ვარიანტებს ვინახავ და ყველაზე მეტად ისინი მომწონს. ხშირად ვათავლიერებ და ვფიქრობ, რომ ის ნამუშევრები, რომლებიც შემკვეთებმა სწორედ იმ მიზეზით დაინუნეს, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, დასავლურ სტანდარტთან უფრო ახლოს დგას — ვგულისხმობ მიდგომებს, დამოკიდებულებას და არა ტექნიკურ მხარეს.


მომწონს ის, რომ დღეს უკვე ბევრს ფიქრობენ შრიფტზე, ქმნიან კორპორატიულ შრიფტებს და სოციალურ ქსელებშიც, სპეციალურ ფორუმებზე, აქტიურად განიხილავენ მათ. ეს ძალიან კარგია.

სანამ ჩვენი შეხვედრის დეტალებს ვათანხმებდით, მითხაროთ გადატვირთული გრაფიკი მაქვს და დილის ცხრიდან შუალამდე ვმუშაობ.

— ბევრს ვმუშაობ. ვთანამშრომლობ ტრანსნაციონალურ კომპანიებთან, რაც პროფესიული განვითარების არაჩვეულებრივი ასპარეზია და დიდ გამოცდილებას მძენს. მათთან უკეთ ხვდები, რა დატვირთვა აქვს პროდუქციის ვიზუალურ მხარეს, ხედავ, რა სტანდარტით მუშაობენ და თუ გამოგარჩიეს, წარმატების საიდუმლოს აუცილებლად გაგიმხელენ.

იქ განხორციელებული მასშტაბური კომერციული პროექტები საშუალებას მძლევს, პარალელურად ვაკეთო ის, რაც სულისთვის სასარგებლოა და არ ვიფიქრო პონორარზე. დიდი ბედნიერებაა, თუკი შენი პროფესიით ემსახურები შენი ქვეყნის კულტურას, ხელოვნებას და ნებისმიერ ვითარებაში მზად ხარ მხარდაჭერისთვის, რადგან, როგორც მე არა, მის მოსაკლავად და საბოლოოდ გასანადგურებლად გამოვიდა.

ესაუბრა თამარ ქურული



**ბეჯა ქურული
უკანასკნელი
ჩანანერები**

და მეორე — კენტუკელი ბიჭი რომაული სახელით კასიუს მარცელიუს კლეი, რომელმაც, მას შემდეგ, რაც, ქალაქის ბაზრობაზე, დიდი ხნით ნაგროვები ფულით ნაყიდი ნივთი ველოსიპედი მოპარეს, მტკიცედ გადაწყვიტა, მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო მოკრივე გამხდარიყო და მოგვიანებით ჯერ ცნობილი აფროამერიკელი უფლებადამცველის, დისიდენტისა და რევოლუციონერის, მალკოლმ X-ის მიზაძევი კასიუს X-დ გადაიკეთა სახელი, შემდეგ კი რაც ელექტა მუჰამადის „ისლამურ ნაციას“ შეუერთდა, უკვე მსოფლიო ჩემპიონმა და ცნობილმა მოკრივემ კასიუს მარცელიუს კლეიმ, შემდეგ როგორც მუჰამედ ალიმ, ისე გაითქვა სახელი.

მოხდა ისე, რომ სხვა უდიდესი სახელების მიუხედავად — ფლოიდ პატერსონი და სონი ლისტონი — მოგვიანებით, ჯორჯ ფორმენი და კენ ნორტონი — სწორედ ამ ორი მოკრივის — ჯო ფრეზერის და მუჰამედ ალის — სპორტული და პირადი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება იქცა მეოცე საუკუნის კრივის ისტორიის ყველაზე დიდ ლეგენდად და არა, ვთქვათ, როკი მარჩინოს და ჯო ლუისის, ჯეკი ლამოტას და რეი შუგარ რობინსონის, იგივე კასიუს კლეის და სონი ლისტონის, ჯორჯ ფორმენის და მუჰამედ ალის, ჯო ფრეზერის და ჯორჯ ფორმენის, რომლის დროსაც ჯორჯ ფორმენმა უმოწყალოდ სცემა ჯო ფრეზერი — სამჯერ პირველ რაუნდში გაუშვა ნოკდაუნში, სამჯერ მეორეში და მაინც სწორედ ჯო ფრეზერის და მუჰამედ ალის სამი დაპირისპირება იქცა საუკუნის მთავარ მოვლენად, განსაკუთრებით კი მესამე და საბოლოო შეხვედრა, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, რომელიც მრისხანე სახელით შემორჩა ისტორიას:

„Trilla in Manilla!“

ამ დაპირისპირებას სხვა მიზეზიც ჰქონდა. მუჰამედ ალი მთელი ცხოვრება საზიზღრად ექცეოდა ჯო ფრეზერს. შეურაცხყოფდა — მახინჯ გორილას, ბიძია თომასა და მონას ეძახდა. მისთვის ეს შოუს, თამაშის ნაწილი იყო. ჯო ფრეზერი კი მსგავსი ინსცენირებისთვის მზად არ აღმოჩნდა. ამ ყველაფერს პირადი ღირსების შელახვად აღიქვამდა და სიცოცხლის ბოლომდე არ აპატიო. სწორედ ჯო ფრეზერი იყო, ვინაც პირველსავე ბრძოლაში დაანოკაუტა მუჰამედ ალი... ათენის ოლიმპიადაზე, როცა პარკინსონისგან აკანკალებულ მუჰამედ ალი ოლიმპიურ ცეცხლს ანთებდა, ჯო ფრეზერი შვილს მიუბრუნდა და საშინელი რამ უთხრა: „შეხედე, ეს მე დაემართე მას!“ „კარგი, მამა, სირცხვილია, რას ამბობ, რამდენი ხანი გავიდა, რით ვერ აპატიე!“ — უთხრა შეძრწუნებულმა შვილმა. „ეგ თვითონ უნდა დაინგას მაგ ცეცხლში...“ — თქვა ჯო ფრეზერმა...

მათი მესამე ბრძოლა Trilla in Manilla კი ისევე დაუნდობლად და დრამატულად წარიმართა, როგორც მათი ურთიერთობა იყო.

მუჰამედ ალი მანილაშიც განაგრძობდა ჯო ფრეზერის შეურაცხყოფას. მთელ თეატრალურ პერფორმანსებს დგამდა მის დასამცირებლად. ჯო ფრეზერი არ იყო მუჰამედ ალივით ენამახვილი და ვერც მსგავს სკაბრუზულ შაყირს ეგუებოდა. ამიტომ, რინგზე მუჰამედ ალის დასამარცხებლად და საცემრად კი არა, მის მოსაკლავად და საბოლოოდ გასანადგურებლად გამოვიდა.

და დაიწყო! მანილას ტროპიკული ნესტით გაჯერებულ სულისმეხუთავ სიცხეში... ცნობილი საკრივო პროდიუსერისა და განგსტერის — დონი კინგის — მიერ ორგანიზებული ორმაგი მკვლელობა: 15 რაუნდიანი ბრძოლა.

ბრძოლის პირველი ნახევარი მუჰამედ ალის უპირატესობით წარიმართა, რომელმაც იმ დროისთვის უკვე უამრავი ომი გამართა — როგორც რინგზე, ისე ცხოვრებაში — დამძიმდა და მთლად პეპელასავით ველარ დაფარფატებდა, მაგრამ, სა-

მაგიეროდ, ფუტკარზე გაცილებით მწარედ და მძიმედ ინესტრებოდა.

ჩხუბის მეორე ნახევარი ჯო ფრეზერმა ნაიყვანა თავისი ცნობილი ჯვარედინი დაცვით და განთქმული ცაცია ჰუკით, რომლითაც 120 მილიმეტრიანი ჰაუბი-ცასავით ირტყემინებოდა, თუმცა კი ველარაფერს ხედავდა, მარცხენა თვალში ისედაც განახევრებული ჰქონდა მხედველობა ჯორჯ ფორმენთან შეხვედრის შემდეგ. მუჰამედ ალის ელვისებურმა ჯებებმა კი მარჯვენა თვალშიც ჩაუთლია და დაუხურა. მე-14 რაუნდის შემდეგ, შესვენების დროს, მანილას რინგზე დრამის კულმინაცია დაიწყო: „მორჩა“ — თქვა მუჰამედ ალიმ, — „მორჩა! მეტი აღარ შემოიძლია! მგონი, ვკვდები, ბოზიშვილი ვიყო. გამხადეთ ხელთათმანები!“

თავის მხრივ სრულიად დაბრმავებული ჯო ფრეზერის მწვრთნელმა ბრძოლის შეწყვეტა მოითხოვა, რაზეც smoking ჯო ისე გამძვინვარდა, კინაღამ თავის მწვრთნელს აადო და ასე დაბრმავებული, მხეცივით წავიდა საჩხუბრად. „კარგი მაშინ, აბა, ეს რამდენია?“ — ჰკითხა მწვრთნელმა ჯო ფრეზერს და სამი თითი აჩვენა. „One“ — თქვა ჯო ფრეზერმა და მწვრთნელმა თეთრი პირსახოცი გადმოაგდო რინგზე.

მუჰამედ ალიმ, სანამ ხელთათმანებს ხდიდნენ, კვლავ გაიმარჯვა. ის კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მუჰამედ ალი წამოდგა და იმის მაგივრად, ჩვეულებისამებრ, რინგის თოკებზე შემხტარიყო ხელებადმართული და ყიჟინა დაეცა, რომ ის ყველა დროის ყველაზე დიდი ჩემპიონი — ერთადერთი, უდიადესია, მშვენიერია და მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო მოკრივეა, წამოდგა და... იქვე მოცელილივით დაეცა. გასახდელში გონზე მოსულმა კი ჯო ფრეზერის შვილის მოყვანა ითხოვა: „მამაშენს გადაეცი, რომ ბოდიშს ვუხდდი. ვცდებოდი. ის უდიდესი მებრძოლია!“

დამარცხებული ჯო ფრეზერი ამ მობოთებამაც გააღიზიანა: „წავიდე, ერთი მაგის... მარტო ტელეკამერებთან ყებდობა და პოზირობა შეუძლია, თუ კაცია და ტრაკი აქვს, თვითონ მოვიდე...“

ამის მიუხედავად, მუჰამედ ალი მაინც ჩავიდა 2011 წელს ჯო ფრეზერის დაკრძალვაზე და მის კუბოსთან მდგარმა საოცარი სიტყვა წარმოთქვა: „თუ როდისმე უფალი ჩვენი საღმრთო ომისკენ მომიწოდებს, მინდა, რომ ჩემს გვერდით ჯო ფრეზერი იბრძოდეს...“

...და აი, როდესაც ველარ ვუძლებ, ვილლები, აუტანლად მტკივა, ვგრძნობ, როგორ ვკვდები და ერთი სული მაქვს, პირქვე დავემხო და მკერდმელენილი ნადირით ავღრიადლე, მახსენდება ეს ორი ზანგის ბიჭი ამერიკის სამხრეთული შტატებიდან (თავისი სულელური და ხელოვნური ფსევდოპოლიტორექტულობა კი იმან, ვისაც გაუხარდება, ძალიან კარგად დაახვიოს და სადაც უნდა იქ შეინახოს. იმიტომ, რომ ჩემზე მეტად ამ ხალხის ფასი ნამდვილად არ იცის და ეს ჩანანერიც სწორედ მათი ვაჟკაცობისადმი და შეუპოვრობისადმი ქუდის მოხდა) და სასწრაფოდ ფეხზე ვდგები. ვიცი, რომ ფეხზე წამომხტარიც როდესმე მუჰამედ ალივით მოცელილივით დავეცემი, მაგრამ, სამაგიეროდ, გამარჯვებული და წელში გამართული მოვკვდები!

და ვინ მენდომებოდა ჩემს გვერდით რომ იყოს, თუ „უფალი ჩვენი საღვთო ომში საბრძოლველად მომიწოდებს?“

მიფიქრია და მე ეგეთი რამდენიმე კაცი მეგულება: ანრიტო — ანრი კოჭლამაზაშვილი, ორივე პატაშური — ზეზვა და გიორგი პატაშური, რეზიკო — უმცროსი რეზო თაბუკაშვილი და ჩემი პანკისელი ძმობილი, დუთიელი ქისელი ელა გაურგამვილი!..

და ჩემი საკუთარი თავიც, მეორეც რომ ვიყო!

კი, ნაღდად გავიყოლებდი თან!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პიერ რევერდი (1889-1960) არა მხოლოდ ფრანგული პოეზიის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და — აპოლინ-ერთან და მას უკავშირებდა ერთად — გარკვეულწილად, მისი შემქმნელი, არამედ, საერთოდ, მეოცე საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და იდუმალი მწერალი იყო. ის რალაციით თანამედროვე ლიტერატურის სხვა ნახევრად მითოლოგიურ არსებებს მოგვაგონებს: რობერტ ვალზერს, ბრუნო შულცს, ფერნანდო პესოსს. ბურუსი, რომელმაც მოიცვა ეს სახელი, სასტიკად უსამართლოა, მაგრამ ალბათ გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მის განმარტოებულ, კარნაკტილ ცხოვრებას; რევერდი, შეიძლება ითქვას, იყო პოეტი, რომელიც ცხოვრობდა ბერის და არა ავანგარდისტი ხელოვანის ცხოვრებით. სინამდვილეში კი ავანგარდული ხელოვანი იყო. რთულია, რევერდის პოეზია რომელიმე ჯგუფს მივაკუთვნოთ; ის სურრეალიზმისა და მოდერნიზმის შუაგულში ცხოვრობდა, იცნობდა იმ დროის ფრანგ მხატვრებსა და პოეტებს და თანამშრომლობდა მათთან: მისი ერთ-ერთი კრებული ჟორჟ ბრაკის მიერ იყო ილუსტრირებული, რამაც რევერდის „კუბისტი პოეტის“ სახელი მოარგო. ზოგიერთი მისი ლექსი მართლაც კუბისტურადაა აგებული (დაშლილი, დანაწევრებული, თავიდან აწყობილი) — მაგრამ ეს კატეგორია მხოლოდ ნაწილობრივ მიესადაგება რევერდის პოეზიას. რევერდი გულგრილია მძიმე ნიანი მოდერნისტული სიმბოლიზმის, პროვოკაციისა და ლინგვისტური ფორმული კვებისადმი. მისი პროზაული ლექსები მართლმადიდებლურ ხატებს მეტად შვავს მათი მისტიკური სიმბოლიზმით, მათი იდუმალი ორგანოზომილიზმით.

ნამდვილი არსებობის, მისტიკური უძრაობისა და მგრძობლობის ჩუმი სიღრმეების ძიება, რომლებსაც რევერდი მთელი ცხოვრება მიუძღვნა, ის ერთგვარ შუქურად აქცია ნიუ-იორკის სკოლის პოეტებისთვის. ფრენკ ო'ჰარა თავის ლექსში წერს: „ჩემი გული დამაქვს ჩემი ჯიბით, ესაა პიერ რევერდის ლექსები“. ჯონ ეშბერი მხოლოდ საკუთარ აზრს არ გამოხატავდა, როდესაც თქვა: „რევერდი მოახერხა, დაერქმია საგნებისთვის მათი ნამდვილი სახელები, მოესპო სიმბოლიზმისა და ალეგორიის მარად მკვდარი სიმძიმე — ასე მოზღვავებული ელიოტთან, პაუნდთან, იეიტსთან და ჯოისთან“.

პიერ რევერდი

პროზაული ლექსები

ქუჩის ჯამბაზი

ამ ბრბოს შუაგულში, მოცეკვავე ბავშვთან ერთად, არის კაცი, რომელიც სიმძიმეებს წევს. მისი ლურჯად ტატუირებული მკლავები ცას იყენებენ თავიანთი უსარგებლო ძალის მონმედ.

ბავშვი ცეკვავს, მსუბუქი, გამონყობილი უშველებელ მაისურში; უფრო მსუბუქი, ვიდრე ბურთები, რომლებზეც ის წონასწორობას იცავს. და როდესაც თავის ქისას ინვდის, არავინ გასცემს. არავინ გასცემს შიშით, რომ ის მეტისმეტად მძიმე ტვირთით არ გაუფსონ. ის ისეთი გამხდარია.

იმაზე შორს

პატარა ფანჯარაში, კრამიტის სახურავის ქვეშ, გაიხედე. და ჩემი მზერის წრფეები და მისები იკვეთებიან. მე სიმაღლის უპირატესობა მექნება, ამბობს ის თავისთვის. მაგრამ ქუჩის გადაღმა დარბაზებს აღებენ და უხერხული ყურადღება ისადგურებს. მე მექნება საყურებელი მალაზიების უპირატესობა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს საჭიროა ამოძრომა თუ აჯობებს დაეშვა და, მხარდამხარ, გავეშუროთ სხვაგან, სადაც აღარავინ იყურება.

პარსკვლავებზე

როგორც ჩანს, გასაღები უნდა დამეკარგა, და მთელი მსოფლიო ჩემ გარშემო დამცინის და ყველა მაჩვენებს ყელზე ჩამოკიდებულ უზარმაზარ გასაღებს.

მე ერთადერთს არ მაქვს არაფერი სადმე შესასვლელად. ყველანი გაქრნენ და დახურული კარები ქუჩას უფრო ასევედიანებენ. არავინ. მე ყველა კარზე დავაკაკუნებ.

ფანჯრებიდან ლანძღვა იჭრება და მე ვშორდები იქაურობას.

ასე, ქალაქიდან ოდნავ მოშორებით, მდინარისა და ტყის პირას, მე კარი ვიპოვე. უბრალო კარი თვალნათლივ და საკეტის გარეშე. მე მას გავცდი და, ლამის ქვეშ, რომელსაც არ აქვს ფანჯრები, არამედ დიდი ფარდები, ტყესა და მდინარეს შორის, რომლებიც მიცავდნენ, შევძელი დამინება.

მუღამ პარტი

კვამლი მათი საკვამურებიდან მოდის თუ თქვენი ჩიბუხებიდან? მე ვამჯობინე ამ ოთახის ყველაზე მახვილი კუთხე მარტოობისთვის; და ფანჯარა ქუჩის გადაღმა გაიღო. მოვა ის ჩემთან?

ქუჩაში, სადაც ჩვენმა მხრებმა ხიდი შეკრეს, თვლები არავის ჩაუხრია, და სახლები თავს გვიკრავენ.

როდესაც სახურავები ეხებიან, საუბარს ვეღარავინ ბედავს. ყველა ყვირილი საშიშია, საკვამურები ქრებიან. ისე ბნელა.

კვალს თავისი ნილი

მან გაავლო მთვარე, მან მიატოვა ღამე. ვარსკვლავები რიგრიგობით ჩაცვივდნენ მიმდინარე წყლის ბადეში.

ვერხვებს მიღმა უცნაური მეთევზე მოუთმენლად

აცეცებს დაჭყეტილ თვალს, ერთადერთს, დამალულს მისი ფართო ქუდის ქვეშ; და ბანარი თრთოლავს.

ვერაფერს იჭერს, მაგრამ თავის კალათს ავსებს ოქროს ნატეხებით, რომელთა სინათლეც ქვრება დახურულ კალათში.

მაგრამ სხვა ნაპირიდან კიდევ უფრო შორს იცდიდა. უფრო მოკრძალებული, ის თევზაობდა ტალახის გუბეში, რომელიც წვიმას დაეტოვებინა. ეს წყალი, ციდან მოსული, ვარსკვლავებით იყო მოჭედული.

პოეტი

მისი თავი კრძალვით ეფარებოდა ნათურას ჩრდილქვეშ. ის მწვანეა და მისი თვლები წითელი. არის ერთი მუსიკოსი, რომელიც არ მოძრაობს. მას სძინავს; მისი მოჭრილი ხელები უკრავენ ვიოლინოზე, რათა დაავინყონ თავისი გაჭირვება.

კიბე, რომელიც არსად გადის, დაცოცავს სახლის გარშემო, არ აქვს მას, სხვათაგან, არც კარები, არც ფანჯრები. სახურავზე მოჩანან ნარმოქმნილი ჩრდილები, სიცარიელისკენ რომ მიილტვიან. ისინი რიგრიგობით ეცემიან და თავს არ იკლავენ. ნაჩქარევად ხელახლა აღემართებიან კიბეებზე და ხელახლა იწყებენ, მარადიულად მონუსხულები მუსიკოსის მიერ, რომელიც კვლავ უკრავს ვიოლინოზე ხელებით, რომლებიც მას აღარ უსმენენ.

ვერსიონი

ამ დაბალჭერიანი ოთახის 4 კედელს შორის მოძრაობდნენ ბნელი სულელები, და სხვები გასაოცარი სიმსუბუქითა და ნათელმოსილებით.

თითქმის შიშველი კაცი შემოვიდა ამ აბლაბუდას, და ყინულისა და უდაბნოს სივრცეების შუაგულში.

ის მიუძღოდა თავგზაბნულ ქარავანს და მიდიოდა მარტო. სხვაგნადან მოსული ხმა ჩვენ ყურებში აჟღერებდა ახალ ბგერებს. მაგრამ ამ ლაბაბებისა და ხმლების, სიმღერებისა და ყვირილის აურზაურში, მეფობდა კარნავალის გარემო — საგრძობლად ნაკლული სულის მოხდენილობას.

უძველესი სამყარო გვიტრიალებდა თავებში და ველოდით მომენტს, როდესაც ყველაფერი ჩამოიშლებოდა.

მაგრამ, გარეთ, მთვარის შუქის ნაცვლად დეკორატიულ კედელზე — ჩვენ დაგვხვდა ნაცრისფერი ამინდი, სავსე ღრიალა მანქანებით, რომლებიც ფანტავდნენ ნუხილს. ქუჩაში, ჩვენ დავიბრუნეთ ბრბო და ჩვენი საუკუნე. მაგრამ მთელი ეს აჩრდილები თუ ნათელმოსილი სულელები, მსუბუქები და მძიმეები, და შიშველი კაცი, რომელი ხანიდან დაეშვნენ იმ საღამოს?

სული გადის

სულ წიგნები! ტაძარი, რომლის სქელი კედლებიც წიგნებით იყო ნაგები. და შიგნით, სადაც გაუგებარია როგორ მოხვდები, არ ვიცი საიდან, ვიგუდებოდი; ქერი მტვრისგან განაცრისფრებულიყო. სრული სიჩუმე. და ეს დიადი იდეები აღარ მოძრაობენ; მათ სძინავთ, ან მკვდრები არიან. ამ სევდიან სასახლეში ისე ცხელა, ისე ბნელა!

მე ჩემი ფრჩხილებით დავჩხაპნე ტიხარი, და, ნამცეც-ნამცეც, ხვრელი გავთხარე მარჯვენა კედელში. ეს იყო ფანჯარა და მზემ, რომელსაც უნდოდა, დავებრმავებინე, ხელი ვერ შემეშალა, გარეთ გამეხედა.

ეს იყო ქუჩა, მაგრამ სასახლე იქ აღარ იყო. მე ვიცოდი უკვე სხვა მტვერი და სხვა კედლები, ტროტუარს რომ მიუყვებოდნენ.



ბუნდოვანი არსებები

მეტისმეტად დიდი სირცხვილი მიჭერს თავს მალა. მე გავთავისუფლდი ამ ვეება ძონძებისგან და ვიცდი.

თქვენც უცდით, ოღონდ არ ვიცი რას. ეგებ რამე მოხდეს. ყველა თვალს ინთება ფანჯრებში, ჩვენი მეტოქეების მთელი ეჭვიანობა მოგორავს კარის ზღურბლთან. და ვაითუ არაფერი მოხდეს.

ამჟამად მე გავდივარ ორ ტროტუარს შორის; მარტო ვარ, ქართან ერთად, რომელიც ფეხს მიბამს და დამცინის. როგორ გავიქცე, თუ არა ღამეში.

მაგრამ მაგიდა და ნათურა იქ არიან და მიცდიან და ყველა სხვა რისხვისგან მოკვდა კარის ქვეშ.

უსაშველო მოგზაურობები

ალბათ პირველად ხდებოდა, რომ რალაცას ნათლად ხედავდა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს პირველი კლასის მატარებლის ბოლო ვაგონზე აკრული მიემართებოდა რალაც საოცარი ადგილისკენ და უგულისყუროდ უყურებდა ხედს, რომელიც მასზე ბევრად ჩქარა გადაადგილდებოდა საპირისპირო მიმართულებით. ყველა დაკარგული დეტალის ჯამით მივიღებდით ახალ სამყაროს; მაგრამ მას არაფერი სჭირდებოდა. თავისი როლი, რომელსაც სრული სერიოზულობით თამაშობდა, მისთვის უმნიშვნელო იყო.

ყველაზე დიდ სადგურებში არ იდგა მისთვის საკმარისი ხმაური; ყველა ბორცვის კალთაში ის უკეთ იგებდა თეთრი სახლების გარეყულობას. როდესაც ზღვას შლიდნენ, ის ველარაფერს ხედავდა გარდა ნავების აფრებისა, რომლებიც განსაზღვრავდნენ სიშორეს.

ყველაფერი უმოძრაო და მეტისმეტად დიდია მისი თვლებისა და გულისათვის. თავს ის ცარიელად ინახავს და ვერავინ შეძლებდა მის ამოვსებას.

როდესაც ბრუნდებოდა, ბოლოსდაბოლოს, იქ, საიდანაც წასულიყო, მისი ამოცანა დასრულებული, მისი დღე მიწურული, ის ფიქრობდა ერთადერთი მიწის კუნჭულზე, სადაც მისი ცხოვრება შედგებოდა, სადაც მას ექნებოდა საკმარისი ადგილი სიკვდილისთვის.

ნაღმა-შაჰლმა

ის გაუთავებლად მიცოცავს, უკან მოუხედავად, და მის გარდა არავინ იცის, სად მიდის.

ტვირთი, რომელსაც მიათრევს, მძიმეა, მაგრამ მისი ფეხები თავისუფალია და მას ყურები არ აქვს.

ყველა კარს მიადახა მან თავისი სახელი, არავინ გაულო. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ვიღაცას ელოდნენ და ვის, მან შეძლო, სახის შეცვლა. მაშინ ის შევიდა შიგნით იმის ნაცვლად, რომელსაც ელოდნენ და რომელიც არ მოვიდოდა.

მღაბალი შიქრები

მაგიდის ოთხი ფეხი უძრავია; სხვა ფეხებიც. და თქვენი თავები! თქვენი თავები, რომლებიც ჩაგიქინდრავთ და ხელებში მალავთ, რომ არავინ დაინახოს, როგორ ნითლდებიან?

თარგმანი ირაკლი ყოლბაიამ

ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მწერალთა სახლი
 რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტი თამარ ყურული
 მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
 ISSN 2346-7940
 9 772346 794004